Katakidze

წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დღიური

- მოსკოვში ჩამოვიდნენ ინგლისელი კოოპერ[illegible]
- სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებიდან [illegible] მლობაში მოსკოვში ჩამოვიდა 136 პოლიტიკური ემიგრანტი.
- საკავშირო საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა დაამტკიცა ზოგიერთი უწყებების ბიუჯეტი.
- გერმანიაში გრძელდება ოპოზიცია მენშევიზმის წინააღმდეგ.
- ამერიკაში იზრდება უკმაყოფილება ჟენევაში მოლაპარაკების ჩაშლის გამო.

სამშაბათი, 6 აპრილი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 76 (1531)

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 34.

მუშაობის შემოწმება

ჩვენი წარმატებითი აღმშენებლობისა და აპარატის გაჯანსაღებისათვის მრავალ სხვა ღონისძიებათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შემოწმებას, თუ ადგილობრივად როგორ ტარდება არსებული კანონები და უმაღლეს პარტიულ ორგანოების დირექტივები. შეიძლება საუცხოვო კანონები გვქონდეს, საერთო პოლიტიკაც სწორი, ცენტრი მიზანშეწონილ მითითებებს იძლეოდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მაგრამ ყველა ამას ნაკლები ღირებულება ექნება, თუ სინამდვილეში მათი განხორციელების საქმე მოიკოჭლებს. ასეთ მოვლენებს კი ხშირად აქვთ ადგილი. არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ცენტრის ესა თუ ის დადგენილება თუ განკარგულება, სანამ იგი სოფლამდე მიაღწევდეს, მახინჯდება, არ ტარდება ისე, როგორც ეს საჭიროა.

რატომ ხდება ასე? აქ არაფერს ვიტყვით ნივთიერ ხელმოკლეობაზე, რომელიც ჩვენს ზრახვებს ფრთებს აკვეცს, ჩვენი გეგმების გატარებას საზღვარს უდებს. ამჟამად გვაინტერესებს სხვა ხასიათის გარემოებანი. პირველ ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა, რაც, სხვათა შორის, გამოიხატება იმაში, რომ იგი კარგად არ არის გაცნობილი საბჭოთა კანონებს, პარტიის ხაზს და ხელისუფლების ღონისძიებებს. ეს ფაქტი აქა-იქ შესაძლებელს ხდის კანონიერების დარღვევას და აფერხებს საჭირო ზომების გატარებას, რომელთა მიზანია მასსების ინტერესების დაცვა. აქედან ბრძოლა ხალხის იურიდიულ უცოდინარობასთან და მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ შეგნების აწევა შეადგენს ჩვენი მუშაობის საგანს. მშრომელ მოსახლეობას [illegible] სისტემატიურად უნდა ვაცნობდეთ პირველ ყოვლისა იმ კანონებს და ღონისძიებებს, რომელნიც მას ყველაზე ახლოს ეხებიან. ხალხი, მცოდნე და შეგნები თავის უფლებების, არავის მისცემს მათი შელახვის ნებას.

შემდეგ: არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ღარიბი ვართ მომზადებული და გამოცდილი მუშაკებით. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავენი ხშირად ვერ ერკვევიან პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკაში, არსებულ კანონებში, სისწორით ვერ ითვისებენ იმ დირექტივებს და დადგენილება - განკარგულებებს, რომელნიც მუშავდება და ქვეყნდება ცენტრის მიერ. საჭიროა უკანასკნელის მიერ მოცემულ „სახელმძღვანელო მითითებათა გატარება არა მექანიკურად, არამედ კონკრეტიულ პირობებთან შეფარდებით. ეს კი მოითხოვს ადგილობრივ მუშაკებისაგან საკითხის საფუძვლიან ცოდნას, თაოსნობას, შემოქმედებითი მუშაობას, რომელი თვისებებით არაა ყველა დაჯილდოებული. ამიტომ ცენტრის ღონისძიებანი არა იშვიათად მრუდეთ ტარდება, სახელმწიფო აპარატის თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმიანობა სათანადოთ არ არის დაყენებული.

მცირე მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებასაც, რომ საბჭოთა აპარატებში ზოგან მოკალათებული არიან მშრომელი მასსისათვის უცხო და პირდაპირ ბოროტმოქმედი ელემენტებიც, რომელნიც დაკისრებულ მოვალეობათა ასრულებას გულციოვად ეკიდებიან და ოდნავადაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ დაწესებულება მოსახლეობას დაუახლოვონ, უკანასკნელის მოთხოვნილებანი დროზე დააკმაყოფილონ; სამაგიეროდ ისინი „ხალსაყრელ“ შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ სახალხო ქონებაზე ხელი მოითბონ.

ჩვენი მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ მოვამზადოთ და შევქმნათ ნამდვილ საბჭოთა მუშაკების საკმაო კადრი, სახელმწიფო აპარატის მუშაობა დავაყენოთ შესაფერ სიმაღლეზე, მოვახდინოთ მისი რაციონალიზაცია, საეჭვო და უვარგისი პირები რკინის ცოცხით გამოვგავოთ ჩვენი დაწესებულებებიდან.

ამ მიზნის მისაღწევ ერთ უმთავრეს საშუალებათ უნდა ჩაითვალოს აპარატის და მუშაკების მუდმივი შემოწმება და კონტროლი იმ მხრივ, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ ფუნქციებს და იმ დავალებებს, რომელნიც მოცემული აქვთ მათთვის ზევით მდგომ ორგანოებისაგან. ეს შემოწმება უნდა შეეხოს ყველაფერს, როგორც უმაღლეს ინსტანციების ზოგად დირექტივების შეთვისებას და ცხოვრებაში გატარების ხასიათს მათ მიერ, ისე ბიუროკრატიზმის წვრილმან ნაშთებსაც დაწესებულებებში, როგორიცაა, მაგ., მიწერ-მოწერის გაჭიანურება, შემოსულ ქაღალდზე პასუხის გაუცემლობა და სხ. მაგრამ საკმარისი არ არის მარტო ნაკლულევანებათა აღმოჩენა, გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მათი გამომწვევი მიზეზების გამორკვევას და ამ მიზეზეის აღმოსაფხვრელ ზომების გამომუშავებას.

ვის ეკისრება შესრულების კონტროლის და შემოწმების ვალდებულება? რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა საკონტროლო კომისიას და მუშათა და [illegible] ტროლო კომისიის და ინსპექციის ასეთი როლი ხაზგასმით აღინიშნა მე-14-ტე პარტყრილობამ. „კონტროლი და შემოწმება უნდა შეიქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის ორგანოების ძირითად ფუნქციებად“,—განაცხადა აგრეთვე ამხ. კუიბიშევმა მოსკოვში ამჟამად მიმდინარე საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე. ამ მუშაობას უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი, წინასწარ დაწვრილებით გამომუშავებულ გეგმის მიხედვით. ამისათვის საჭიროა, რომ თვით ინსპექციას ჰყავდეს სათანადოთ მომზადებული მუშაკები, რომელნიც ზედმიწევნით იცნობენ კონტროლისა და შემოწმების საკითხებს; ამხანაგების განსაზღვრულ ჯგუფმა ეს საქმე გაიხადოს თავის მუშაობის უმთავრეს დარგად. ამასთან, ამოცანის პირნათლად განხორციელებისათვის მათ უნდა გააბან მჭიდრო კავშირი მუშათა მასსებთან და მათ ორგანიზაციებთან.

ვიმეორებთ, თავის თავად სწორ დირექტივას და მიზანშეწონილ კანონს ფასი არა აქვთ, თუ მათი რიგიანი გატარების საქმე მოიკოჭლებს. ამიტომ იმის კონტროლს და შემოწმებას, თუ როგორ და რამდენად ხორციელდება სინამდვილეში პარტიის პოლიტიკა და ცალკე ღონისძიებები, უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება. ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

სახალხო არმიის მდგომარეობა გაუმჯობესდა

რეაქციონურ ჯარების ზურგში დაიწყო აჯანყებები

მუკდენელებმა ჰაეროპლანიდან ყუმბარები დაუშინეს პეკინს

თეთრგვარდიელები განაგრძობენ თარეშს

მდგომარეობა უმჯობესდება

პეკინი, 4 აპრილი. არის იმის ნიშნები, რომ სახალხო არმიის მდგომარეობა უმჯობესდება; ამის გამო პეკინის ევაკუაციის პერსპექტივა თანდათან შორეული ხდება. **მუკდენელების შემოტევა შეჩერებულია. გავრცელებულ ხმების თანახმად ლი-ჩინ-ჩინის და ჩჟან-ძუნ-ჩანის ჯარებმა უკან დაიხიეს იმის გამო, რომ შან-დუნის პროვინციის გენერლები აჯანყდენ.** იტყობინებიან, რომ მოსალოდნელია შეთანხმება უ-პეი-ფუსა, შან-სის პროვინციის ჯარების და სახალხო არმიის სარდლებს შორის.

უ-პეი-ფუ კვლავ აყენებს მოთხოვნილებას, რომ სახალხო არმიამ შეინარჩუნოს პეკინი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამავე დროს იმ გარემოებას, რომ 4 აპრილს აღდგენილი იქნება სარკინიგზო მიმოსვლა პეკინ-ხანკოუს ხაზზე.

მუკდენელების „მუშაობა“

პეკინი, 4 აპრილი. პეკინში პანიკის გამოსაწვევად მუკდენელების ჰაეროპლანებმა 2 აპრილს ქალაქში ჩამოაგდეს 3 ყუმბარა, 3 აპრილს კი —5. რამდენიმე კაცი მოკლულია და რამდენიმეც დაჭრილი.

ამის გამო ჩინეთის წრეებში აღნიშნავენ, რომ პანიკა გამოწვეული იყო იმ მიზნით, რომ მცხოვრებლებს მოეთხოვათ სახალხო არმიის გაყვანა პეკინიდან.

გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 4 აპრილი. იაპონიის ფაბრიკაში ხელახლა გაიფიცა 2.000 მუშა.

გაფიცვა გამოწვეულია დაქირავებულ ხულიგნების უწესობით, რომელნიც თავს დაესხნენ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს და წევრებს.

იაპონიის ხელი

პეკინი, 4 აპრილი. უკანასკნელი ამბების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ჟურნალისტების საუბარს იაპონიის ელჩთან ჩინეთში იოშიზავასთან., რომელიც ამტკიცებდა, რომ სახალხო არმია რამდენიმე დღის განმავლობაში დასტოვებს პეკინს.

ამ საუბარმა უკმაყოფილება გამოიწვია ჩინეთის წრეებში, რომლებიც იოშიზავას განცხადებას უცქერიან ისე, როგორც მორალურ ზეგავლენას სახალხო არმიის სარდლობაზე.

თეთრგვარდიელები

პეკინი, 4 აპრილი. ნეჩაევის თეთრგვარდიელთა რაზმი სცდილობს არეულობის გამოწვევას ტიან-ძინში. ნეჩაეველები შურისძიებით ემუქრებიან საბჭ. კავშირის წარმომადგენლებს. 2 აპრილს რამდენიმე ნეჩაეველი შეიჭრა საბჭოთა კავშირის საელჩოში ტიან-ძინში და ჩამოგლიჯეს დროშა. თავდამსხმელები დაპატიმრებულნი იქნენ საკონსულოს თანამშრომელთა მიერ და გადაეცენ ჩინეთის პოლიციას.

რეაქციონერების კამპანია

პეკინი, 4 აპრილი. ჩინეთის პრესის რეაქციონური ნაწილი, რომელიც მოელის ჩჟან-ძო-ლინის მთავრობის შედგენას პეკინში, **აწარმოებს კამპანიას საბჭოთა კავშირის ელჩის კარახანის თანამდებობიდან გადაყენების სასარგებლოთ.**

„დადენ-ვან-ბაოს“ დღევანდელ ნომერში ნათქვამია, რომ კარახანის პროპაგანდა, რომელსაც იგი ეწეოდა ჩინეთში ჩასვლის დღიდან, უშედეგოთ დამთავრდა. მისმა პროპაგანდამ, გაზეთის სიტყვით, ვითომდა უკმაყოფილება გამოიწვია ჩინეთის ხალხის ყველა ფენებში და უცხოეთის წარმომადგენელთა შორის პეკინში, რის გამოც მისი დარჩენა პეკინში უხერხულია.

მდგომარეობა კანტონში

პეკინი, 4 აპრილი. შანხაიში გაიმართა გომინდანის ადგილობრივ ორგანიზაციის საზოგადო კრება, რომელსაც ათასი კაცი დაესწრო.

კრებამ მოისმინა სუნ-იან-პინის მოხსენება კანტონში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. სუნ-იან-პინმა განაცხადა, რომ **იმპერიალისტურ პრესაში გავრცელებული სენსაციური ხმები სინამდვილეს არ შეეფერება.**

კანტონის რეაქციონერები ცდილობდენ ესარგებლად იმ შესაძლებლობით, რომელიც შეიქმნა სახალხო არმიის მძიმე მდგომარეობით ჩრდილოეთით და კანტონში მღელვარება გამოეწვიათ, რათა საბაბი მიეცათ უცხოელებისათვის ინტერვენცია მოეხდინათ.

კანტონის მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ კანტონის ჯარებსა და ნაწილობრივ მუშათა წრეებში მოქმედებენ პროვოკატორები, რომელნიც აგიტაციას ეწევიან მთავრობის წინააღმდეგ. ეს ბნელი პირები ძარცვა-გლეჯას აწყობენ შამინის (კანტონის უცხოელთა უბანი) ქუჩებში პროვოკაციული მიზნით.

20 მარტს კანტონის მთავრობამ სამხწესები გამოაცხადა და ჯარების ალყა შემოარტყა საგაფიცვო კომიტეტის შენობას, სადაც დაპატიმრებული არიან გონკონგთან დაკავშირებული ცნობილი რეაქციონერები. მოხდა ჩხრეკა პროვოკატორებს შორის; ბევრი მათგანი დაპატიმრებულია. 8 საათის შემდეგ აღდგენილი იქნა ნორმალური მდგომარეობა და ამჟამად კანტონში სრული სიმშვიდეა. ხმები იმის შესახებ, თითქოს გომინდანსა და კომუნისტებს შორის კონფლიქტი მომხდარიყოს, სიმართლეს არ შეეფერება. ხმები იმის შესახებ, თითქოს კანტონიდან გადასახლებული იქნენ რუსები, დამყარებულია მხოლოდ იმაზე, რომ საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია, კანტონში საქმეების დასრულების შემდეგ გაემგზავრა უკან საბჭოთა კავშირში.

ამერიკა უკმაყოფილოა ევროპით

ბერლინი, 5 აპრილი. [illegible] **შტატებში დღითი დღე იზრდება ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლით შექმნილი უკმაყოფილება.** საეჭვოა, რომ ვაშინგტონმა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ჰააგის საერთაშორისო [illegible] ბას სადაო საკითხების შესახებ უშუალოდ ცალ-ცალკე სახელმწიფოებთან. ლორდ რობერტ სესილის გეგმა სუმგარინის გაუქმების შესახებ შეერთებულ შტატებს მიუღებლად მიაჩნიათ.

საფრანგეთის ბიუჯეტი

ლონდონი, 5 აპრილი. პარიზიდან მიღებული ცნობით, პერემ სენატში განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ჯერ დაამთავროს ბიუჯეტის ბალანსი და შემდეგ მიიღოს ზომები ფრანკის სტაბილიზაციისათვის. ამ პრობლემას უნდა წინ უსწრებდეს საერთაშორისო ვალების საკითხის გადაჭრა. ამავე დროს პერეს აზრით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საფრანგეთის გადახდის უნარი დამოკიდებულია გერმანიის მიერ სარეპარაციო გადასახადების გასტუმრებაზე.

სენატმა 207 ხმის უმრავლესობით 68 ხმის წინააღმდეგ მიიღო ფისკალური დეკლარაცია, რომელიც მოწონებულ იქნა დეპუტატთა პალატის მიერ, ნავთზე და შაქარზე მონოპოლიის შემოღების გამოკლებით.

ლონდონი, 5 აპრილი. „დეილი-მეილის“ კორესპონდენტის ცნობით, **პერეს საფინანსო კანონპროექტი დაამტკიცა ორივე პალატამ. მიღებულ იქნა აგრეთვე მთავრობის კანონპროექტი საბაჟო გადასახადის 30 პროცენტით გადიდების შესახებ.** მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ბიუჯეტი აპრილის ბოლომდე გაატაროს.

კომინტერნში

კომინტერნის აღმასკომის სხდომა

მოსკოვი, 5 აპრილი. 17 მარტს გაფართოებულ პლენუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა კომინტერნის აღმასკომის სხდომა, რომელზედაც მოხდა საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმის და კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს არჩევნები. კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარის ზინოვიევის მოადგილეებათ არჩეული არიან **ბუხარინი, ტელმანი და სემარი.**

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეული არიან: **ზინოვიევი, ბუხარინი, სტალინი, მანუილსკი, ტელმანი, რემმელე, სემარი, ტრენი, ერკოლი, შმერალი, ფერგიუსონი კუუსინენი, კატაიამა, სუფანი, როი, ჩილბუმ, კოლაროვი, რუტენბერგი, კლარა ცეტკინ, ლოზოვსკი და ლომინაძე.**

ამავე სხდომაზე მიღებული იქნა **კომინტერნის აღმასკომის ახალი დებულება მისი ორგანოების და აპარატის შესახებ. ამ დებულებით უზრუნველყოფილია კომინტერნის აღმასკომის, მისი პრეზიდიუმის, საორგანიზაციო ბიუროს, სამდივნოს სწორი, რეგულიარული და სისტემატიური მუშაობა** და საკითხების ზედმიწევნით დამუშავება. მისი გამომუშავების დროს მხედველობაში იქნა მიღებული საკავშირო კომპარტიის მე-14-ე ყრილობის რეზოლიუცია კომინტერნის აპარატის გაძლიერების შესახებ. ამ აპარატმა კურსი უნდა აიღოს უცხოეთის კომპარტიების გაძლიერების ხელმძღვანელობაზე.

სამდივნოს რეორგანიზაციის არსებით ნაწილს წარმოადგენს სექციების სამდივნოების მოწყობა.

პროფკავშირთა ხასიათის საკითხების დასამუშავებლად შედგენილია პროფკავშირთა კომისია ზინოვიევის, ბუხარინის, პიატნიცკის, ერკოლის, ტოუნის, ფერგიუსონის, შმერალის, გეშკეს, ტომსკის, ლოზოვსკის და პინის შემადგენლობით.

მენშევიკების საბოტაჟი

[illegible]ლა მუშათა პარტიების და პროფკავშირების გაერთიანებულ გამოსვლის შესახებ პირველ მაისს.

ამის გამო კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის რაიონულმა კავშირმა სოციალ - დემოკრატიული პარტიის აღმასკომს და პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანებას მიმართა წინადადებით საერთო გამოსვლის შესახებ. სოციალ-დემოკრატებმა უპასუხეს, რომ ისინი მოუწოდებენ თავის წევრებს საერთო გამოსვლისაკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულიად გერმანიის პროფკავშირების გაერთიანება გამოიტანს დად[illegible] მონსტრაციაში მონაწილეობა მიიღოს. პროფკავშირების მონაწილეობის გარეშე სოციალ - დემოკრატები არ გამოუშვებენ საერთო მოწოდებას კომუნისტებთან ერთად. ბერლინის პროფკავშირთა აღმასკომმა თავის მხრივ აცნობა კომპარტიას, რომ მან დაადგინა უარყოს უკანასკნელის წინადადება, მიიღო რა მხედველობაში „წარსული წლის გამოცდილება“.

ამის გამო კომპარტიამ მიმართა ბერლინის ყველა მუშებს მოწოდებით პროტესტი განაცხადონ პროფკავშირების პოზიციის წინააღმდეგ.

შტრეზემანის წინააღმდეგ

ბერლინი, 4 აპრილი. რეიხსტაგის სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, **რომ გერმანიის სახალხო პარტიის რიგებში ოპოზიცია შტრეზემანის საგარეო პოლიტიკის, განსაკუთრებით ინგლისის ორიენტაციის წინააღმდეგ გაცილებათ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ფიქრობდენ.**

უკანასკნელი ცნობები

რეაქციის მსხვერპლთა დასაფლავება

ვარშავა, 4 აპრილი. ქალაქ სტრიეში პოლიციის მიერ უმუშევართა დემონსტრაციაზე თავდასხმის დროს მოკლულ რვა მუშის დასაფლავებამ ფართო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. დემონსტრაციაში ხუთი ათასამდე მუშამ მიიღო მონაწილეობა.

მუშათა დელეგატები ჩამოვიდენ ბრიუსელიდან, დოროგომიჩიდან, სტანისლავიდან, კალუშიდან; სტემნიკიდან და დომბროვსკიდან.

დასაფლავების დროს სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტ დეპუტატებმა **ხოხატსკიმ და პაშუკმა.**

დასაფლავებას დაესწრენ აგრეთვე პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებიც.

ქალაქში სწარმოებდა მასიური დაპატიმრება.

სახელმწიფო დაწესებულებებს ჯარები იცავენ.

ბოიკოტი პრეზიდენტის არჩევნებისადმი

ათინა, 4 აპრილი. რადგან მთავრობამ უარი სთქვა პრეზიდენტის არჩევნების ერთი კვირით გადადებაზე, კოალიციონურმა პარტიებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ 4 აპრილისათვის დანიშნულ არჩევნებს პირველ ათ ოლქში.

არჩევნები დანარჩენ 23 ოლქში 11 აპრილს შესდგება.

რიფები იერიშზე გადადიან

პარიზი, 4 აპრილი. ფეციდან მიღებული ცნობით, **რიფფებმა დაიწყეს იერიშები მთელს ფრონტზე.**

ზოგიერთმა ტომებმა, რომლებმაც ამას წინად მორჩილება გამოუცხადეს ფრანგებს, რამდენიმე მაძილით უკან დაიხიეს.

საფრანგეთის ჯარები სასწრაფოდ გაიგზავნა იმ პოზიციებისაკენ, რომელთაც საფრთხე მოელით.

პაშიჩის მთელი კაბინეტი გადადგა

ვენა, 4 აპრილი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, პრემიერმა პაშიჩმა დღეს მეფეს გადასცა განცხადება მთელი კაბინეტის გადადგომის შესახებ.

პრესის შევიწროება

ვილნო, 4 აპრილი. პოლონეთის ხელისუფლებამ ვილნოში კონფისკაცია უყო ლიტვის გაზეთ **„ჟიზნ ნაროდა“-ს** უკანასკნელ ნომერს, რომელშიც მკაცრი წერილები იყო მოთავსებული [illegible]

[illegible]ბირის დახურვა

მოსკოვი, 5 აპრილი. 4 აპრილს დამთავრდა მუშათა კოოპერაციის საკავშირო თათბირი.

თათბირმა საჭიროდ სცნო ზომების მიღება აპარატის რაციონალიზაციისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განსამტკიცებლად და საქონლის ფასების დასაკლებად.

ახალი გადასახადები

პარიზი, 5 აპრილი. დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული ახალი გადასახადები გუშინ გამოქვეყნდა „ჟურნალ ოფისიელ“-ში და დაუყოვნებლივ ძალაში შევიდა.

მუშაობის შეწყვეტა

პარიზი. 5 აპრილი. სააღდგომო დღესასწაულების გამო, დეპუტატთა პალატამ 20 აპრილამდე შესწყვიტა მუშაობა.

ერთობიან

პარიზი, 5 აპრილი. პარიზში შესდგა რუსული ემიგრაციის „პარლამენტის“ პირველი სხდომა.

ტისენის გარდაცვალება

პარიზი, 5 აპრილი. გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი **მრეწველო** ავგუსტ **ტისენი.**

ამუნდსენის ექსპედიცია

პარიზი, 5 აპრილი. ამუნდსენი და ელსვორთი ჩავიდენ კოპენჰაგენში ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენის მოსამზადებლად.

საჰაერო ხომალდი „ნერიე“ („ნორვეგია“) კოპენჰაგენში მოფრინდება პულგემის ხაზით, შემდეგ გაჩერდება ოსლოში და ლენინგრადში გაზოლინის და გაზის მისაღებად, იქიდან გაფრინდება შპიცბერგენში, საიდანაც უკვე დაიწყება ფრენა პოლიუსისაკენ.

ამუნდსენმა განაცხადა, რომ საჰაერო ხომალდი „ნორიე“-ს შეუძლია 5.000 კილომეტრის გადაფრენა შეუჩერებლად და რომ შესაძლოა ცოცხალს მიუსწრონ პოლიუსზე დარჩენილ წინანდელ ექსპედიციების მონაწილეთ.

გერმანიის და ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია

პარიზი, 5 აპრილი. გერმანია-ოსმალეთის 1925 წლის ხელშეკრულება დაამტკიცა ორივე მხარემ.

წითელი დროშა ქალაქის თვითმართველობის შენობაზე

ლონდონი, 4 აპრილი. ლონდონის მუშათა უბნის ბერმონდსის მუნიციპალურმა საბჭომ, რომელშიაც უმრავლესობას მუშათა პარტიის წევრები შეადგენენ, **დაადგინა, რომ ამიერიდან ქალაქის თვითმართველობის შენობაზე ჩამოიხსნას ინგლისის ნაციონალური დროშა. მის მაგიერ უნდა აღმართონ დროშა, რომელზედაც კუთხეში ამოქარგული იქნება ქალაქის ღერბი.**

მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ზომიერი ბელადები განმარტავენ, რომ ეს დროშა „ცალკე მუნიციპალიტეტის“ დროშას წარმოადგენს და თავისი დადგენილებით საბჭოს არ სურს ნაციონალური დროშის უპატივცემლობის გამოხატვა.

ადგილობრივი რე[illegible] თებელ სკანდალზე.

მუშათა კოოპერაციის საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 5 აპრილი. მუშათა კოოპერაციის საკავშირო თათბირის 3 აპრილის დღის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გამგეობის ანგარიშის და სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო.

სხდომის დასაწყისში ყრილობას საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელით მიესალმა ამხ. **მანცევი.**

მომხსენებლის **სახაროვის** და **კნოპინსკის** საბოლოო სიტყვების შემდეგ ამხ. ვიტოლდი მოხსენებას აკეთებს მომჭირნეობის რეჟიმის და მუშათა კოოპერაციის ფასების პოლიტიკის შესახებ.

აღმოსავლეთის ცხოვრება

შეტაკება საზღვარზე

პარიზი, 4 აპრილი. **ერაყის საზღვარზე ინგლისის სამხედრო ძალებსა და აჯანყებულ არაბთა რაზმებს შორის შეტაკება მოხდა.**

ინგლისელებმა ჰაეროპლანებისა და ჯავშნიან ავტომობილების საშუალებით უკუაქციეს აჯანყებულთა შემოტევა.

სისხლისმღვრელი შეტაკება კალკუტაში

ლონდონი, 4 აპრილი. რეიტერის სააგენტო კალკუტიდან იუწყება:

„განახლდა სისხლისმღვრელი შეტაკებები მუსლიმანებსა და ხინდუმახარაბის მომხრეებს შორის (უკანასკნელი არის ინდოელების რელიგიურ-შოვინისტური კავშირი, რომლის მუშაობა მიმართულია მუსლიმანთა „ძალადობის“ წინააღმდეგ).

დარბეულია მაღაზიები და მეჩეთები. დაჭრილია რამდენიმე კაცი, მოკლულია—12.

პოლიციამ ჯარის დახმარებით შესძლო წესრიგის აღდგენა“.

შრომის ფონდი გლეხკომების მუშაობაში

გლეხკომების პრაქტიკაში დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ ორგვარი ფონდი — ფულადი და ნატურალური, რაც შეეხება „შრომის ფონდს“, ეს მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს იქნა შემოღებული. შრომის ფონდი სრულიად ახალი საქმეა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მას აქვს უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლეთ შევჩერდეთ ამ საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა განვმარტოთ ცნება „შრომის ფონდი“. შრომის ფონდი ეს არის სამუშაო ძალის განსაზღვრული მარაგი, რომელიც შესდგება გლეხკომის წევრთა პირადი და ნებაყოფლობითი შრომის და ცოცხალი ან მკვდარი ინვენტარის გამოყენების საფუძველზე.

შრომის ფონდის დაარსების მიზანია შრომით ურთიერთ დახმარების საქმის გეგმიანათ, რაციონალურათ მოწყობა. უნდა ვაღვიაროთ, რომ გლეხკომები დღემდე შრომით დახმარებას ვერ აქცევდენ სათანადო ყურადღებას. მათ უფრო ემარჯვებოდათ სოფლის მოსახლეობის დაბეგვრა, ან ვაჭრობის წარმოება და ამ გზით მოპოებული საშუალებებით ღარიბებისა და გაჭირვებულთათვის დახმარების გაწევა. რაც შეეხება შრომით დახმარების ორგანიზაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთგვარ „უსიამოვნებასთან“, ამას გლეხკომები გაურბოდენ და დღესაც გაურბიან. ისინი უპირატესობას ისეთ საქმიანობას აძლევდენ, რომელიც მათი აზრით უფრო იოლი და ადვილი იყო. როგორც მაგ. ვაჭრობა, საწევრო გადასახადის აკრეფა და სხვა. თუ თითო-ოროლა გლეხკომი მიმართავდა შრომით დახმარებას, ამას ჰქონდა უფრო შემთხვევითი, ვიდრე სისტემის ხასიათი. იყო მაგალითები, როცა ერთი გლეხი რამდენჯერმე იგზავნებოდა სამუშაოზე, მეორე კი სრულიად არა. ხშირად გლეხებს ტყუილ-უბრალოდ ეკარგებოდათ დრო, ვინაიდან არ იყო წინასწარ განსაზღვრული და გამოანგარიშებული ვის, როგორი მუშაობა უნდა შეესრულებინა. გლეხკომები ამ საქმეში არ ერიდებოდენ აგრეთვე ადმინისტრატიულ ხასიათის ზომების მიღებას. სხვათა შორის არც ერთ გლეხკომს, თავის მოქმედების რაიონში, არ ჰყავდა აღრიცხული სამუშაო საქონელი, სასოფლო - სამეურნეო იარაღები და ის პირები, რომლებიც საჭიროებენ რეგულიარულ თუ პერიოდულ დახმარებას შრომით.

შრომის ფონდის შემოღებით ამ არევ-დარევას და უსისტემო მოქმედებას ბოლო ელება. ამიერიდან გლეხკომების მუშაობაში ცენტრალურ ადგილს იჭერს შრომითი ურთიერთი დახმარება, რომელიც თავის ორგანიზაციულ გამოხატულებას ჰპოულობს ე. წ. შრომის ფონდებში.

რაში მდგომარეობს შრომის ფონდის შინაარსი. გლეხკომის წევრთა კანონიერი საზოგადო კრება აწესებს თვითეული წევრისათვის განსაზღვრულ დღეების რიცხვს, რომელიც უნდა მოხმარდეს ურიერთ დახმარების საქმეს. ვსთქვათ გლეხკომს ჰყავს ორასი წევრი და საზოგადო ყრილობამ დაადგინა, რომ თვითეულმა წევრმა უნდა გადასდოს ურთიერთ დახმარების საქმისათვის წელიწადში ორი დღე. აქედან აშკარაა, რომ გლეხკომის განკარგულებაში იქნება 400 სამუშაო დღე, რაც არსებითად შეადგენს შრომის ფონდს, რომელიც ნაწილდება გლეხკომის ხელმძღვანელობით. შრომის ფონდის დაარსება ხდება კოლექტიურ ნებაყოფლობით საფუძველზე, ე. ი. თუ ამ ღონისძიებას ემხრობა კრებაზე დამსწრე პირთა უმრავლესობა, მაშინ უმცირესობისათვის სავალდებულოა უმრავლესობის გადაწყვეტილება შრომის ფონდის დაარსების შესახებ. პირიქით შრომის ფონდი ვერ დაარსდება იმ შემთხვევაში, თუ კრების უმრავლესობა ამის წინააღმდეგია.

შრომითი ვალდებულება ვრცელდება არა მარტო პირად შრომაზე, არამედ ცოცხალ და მკვდარ ინვენტარზედაც.

შრომის ფონდის დაარსებას წინ უნდა უძღოდეს ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა — წინასწარი გეგმის გამომუშავება, ობიექტების ზედმიწევნით სწორი აღრიცხვა, შრომის ორგანიზაცია და სხვა. უამისოთ შრომის ფონდის მოწყობა ფუჭი საქმე იქნება. გლეხკომს წინასწარ უნდა ჰქონდეს სწორი და უტყუარი ცნობები სამუშაო საქონლის და სასოფლო - სამეურნეო იარაღების საერთო რაოდენობის შესახებ თავის მოქმედების რაიონში. მან უნდა დაწვრილებით იცოდეს ვის, როგორი და რამდენი სასოფლო - სამეურნეო იარაღი და სამუშაო საქონელი მოეპოება. ამისათვის გლეხკომს შემოღებული უნდა ჰქონდეს საგანგებო წიგნი, სადაც ჩაიწერება ყველა ეს ცნობები.

მეორე მხრივ გლეხკომმა უნდა აღრიცხოს ყველა ის პირი, თუ ოჯახი, რომელსაც ამა თუ იმ სახით ესაჭიროება შრომითი დახმარება. გამომუშავებულ უნდა იქნეს ცხრილი იმის შესახებ, თუ ვის, როდის და რით ესაჭიროება დახმარება. გლეხკომის პრეზიდიუმი წინასწარ განსაზღვრავს აგრეთვე იმას, თუ ვინ, რით, როდის და სად არის ვალდებული შეასრულოს ესა თუ ის მუშაობა.

სასურველია შრომის ფონდის ერთგვარი განაწილება. მაგ. შრომის ფონდის ერთი ნაწილი უნდა მოხმარდეს ურთიერთ დახმარების საქმეს, მეორე ნაწილი დასახიჩრებულებს და ქვრივ-ობლებს, მესამე — გზების და სკოლების შეკეთებას და სხვა. შრომის ფონდის განსაზღვრული ნაწილი ხელუხლებელი უნდა დარჩეს სხვადასხვა მოულოდნელ შემთხვევისათვის. შრომითი დახმარება უნდა აღმოეჩინოს უპირველეს ყოვლისა გლეხკომის იმ ხელმოკლე და სუსტ წევრებს, რომლებიც შემთხვევით ჩავარდნენ გაჭირვებაში, მაგ. სამუშაო საქონლის სიკვდილით ან მუშა-ხელის ავადმყოფობით. ამ შემთხვევაში გაწეული შრომითი დახმარება უნდა ანაზღაურებულ იქნეს თანდათანობით.

შემდეგ შრომითი დახმარება უნდა გაეწიოს შრომის უნარმოკლებულ პირებს და იმ ოჯახებს, რომელთაც არ მოეპოვებათ მუშა-ხელი. ასეთებს ეკუთვნიან: დასახიჩრებულნი, ქვრივ-ობლები წითელარმიელთა ოჯახები და სხვა. შრომითი დახმარება, რომელიც აღმოეჩინება ამ პირებს, იქნება აუნაზღაურებელი, ვინაიდან ის აღარ დაბრუნდება. შრომითი დახმარება გამოყენებული უნდა იქნას აგრეთვე სოფლის კეთილმოწყობის საქმეში—გზების, ხიდების, სკოლების შეკეთებაში და სხვა.

შრომითი დახმარება სხვადასხვა სახისაა. შესაძლებელია მაგ., რომ ერთი უხარო ოჯახი, მივამაგროთ ისეთ ოჯახზე, რომელსაც რამდენიმე უღელი ხარი მოეპოვება. დასაშვებია აგრეთვე ჯგუფის ჯგუფზე მიმაგრება. ღონიერ და შემძლე მეურნეობათა ჯგუფს დაევალება ხელმოკლე და სუსტ მეურნეთათვის შრომით დახმარების გაწევა. ისეთ შემთხვევასაც შეიძლება ექნეს ადგილი, როცა გლეხკომის თაოსნობით მთელი სოფელი გამოვა და გამართავს შაბათობას, ან კვირეულს დასახიჩრებულთა, ქვრივ-ობოლთა, ხელმოკლე გლეხკომის წევრთა ადგილ-მამულის, ან საფონდო მიწების დასამუშავებლათ. არის კიდევ შრომითი დახმარების ერთი სახე—ესაა ისეთი შემთხვევა, როცა გლეხკომი აღმოუჩენს რაიმე სამუშაოს ხელმოკლე და ღარიბ გლეხებს. ამ სახის შრომის დახმარებას ჩვენი გლეხკომები სამწუხაროთ არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. მას კი შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა, როგორც გლეხკომებისათვის, ისე გლეხკაცობისათვის.

შრომის ფონდის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა განსაკუთრებით ეხლა, როცა ერთი მხრით გლეხკომებს ჩამოერთვათ სავაჭრო ფუნქციები. ხოლო მეორე მხრით შემოღებულ იქნა სათემო ბიუჯეტი, რამაც გამოიწვია გლეხკომების შემოსავლიან წყაროების გადაცემა ადგილობრივ აღმასკომებზე. ამ გარემოებათა გამო შრომითი დახმარების საქმემ უნდა დაიჭიროს მთავარი ადგილი გლეხკომების მუშაობაში.

შრომის ფონდის დაარსება იმ სახით, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული, დიდ სარგებლობას წარმოადგენს სოფლისათვის. ჩვენ რწმენას გამოვსთქვამთ, რომ შრომის ფონდის სისტემაზე გადასვლა გლეხკომების მუშაობას მალე გააჯანსაღებს და კვლავინდებურათ მოუპოვებს მათ ნდობას და პატივისცემას მშრომელთა ფართო მასსების თვალში.

გ. პარკაძე.

საბჭოთა პრესა

არჩევნების შემდეგ

ძირითად საბჭოთა ორგანოების ახლანდელი არჩევნები, რომელიც მეტწილად უკვე დამთავრდა, მრავალმხრივაა საგულისხმო. აქ ჰპოვა გამოხატულება მშრომელთა აქტივობის ზრდამ. ამას მოწმობს ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი პროცენტი, მათი ცხოველი მონაწილეობა დღის წესრიგში მდგარ საკითხების განხილვაში, ძველი ორგანოების საქმიანი კრიტიკა და ასეთივე წინადადებების წამოყენება მომავალ მუშაობისათვის, კანდიდატების დაკვირვებული შერჩევა და სხ. გლეხობის მასსამ ერთხელ კიდევ გამოაშკარავა, რომ მისი აქტივობა მიდის საბჭოთა კალაპოტით, რომ ის სრული ნდობით უყურებს კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლულოვანებანი: ჯერ-კიდევ დაბალია გლეხ-ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ალაგ-ალაგ ღარიბი გლეხობა პასივობას იჩენდა, სუსტი იყო საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა (კოოპერაცია, გლეხკომი, პროფკავშირი და სხ). არჩევნებში.საერთო წესად უნდა მივიჩნიოთ, რომ არჩევნები ვერ ჩატარდა წარმატებით იქ, სადაც პარტორგანიზაცია ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამ მომენტებს შემდეგისათვის უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა საბჭოების ახალ წევრების ჩაბმისა პრაქტიკულ აღმშენებლობაში. გაზ. „პრავდა“-ში ი. ბოგოვოი სწერს ამაზე:

„ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში სდგას მეტად დიდი და რთული პრობლემა—საბჭოთა აღმშენებლობის აქტიურ მუშაობაში ჩაბმა ახალ ასეულ ათას გლეხთა საბჭოების და აღმასკომების წევრების, რომელნიც პირველად დაუახლოვდენ უშუალოდ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს (მარტო რ. ს. ფ. ს. რ.-ში სასოფლო საბჭოების წევრთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 600.000-ს). მე-14-ე პარტყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოების გამოცოცხლება, მათი კავშირის ზრდა მშრომელ მოსახლეობის უფართოეს ფენებთან, წარმოადგენს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი შემდგომი მუშაობის აუცილებელ წინასწარ პირობას. საბჭოების პლენუმების, სექციების და კომისიების, ან ცალკე ინდივიდუალურ დავალებათა გზით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მთელი ათეული ათასი ახალი აღმშენებელნი უნდა იქნან ჩაბმულნი საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში. საბჭოების ახალ წევრთა ასეთი ჩაბმა და მათი აქტივობის წარმართვა სწორი კალაპოტით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება საბჭოზე სწორი ხელმძღვანელობა ადგილობრივი პარტორგანიზაციების მხრივ. არა ბრძანება, არა საბჭოს მაგიერობის გაწევა, არა წვრილმანი ჩარევა, არამედ სწორი პარტიული ხელმძღვანელობა—აი განსაკუთრებით რა უნდა დაიმახსოვრონ ამ ჟამად ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა. ამ გზით ჩვენ მოვახერხებთ არა მარტო საბჭოების ასეულ ათას ახალ წევრის ჩაბმას აქტიურ მუშაობაში, არამედ მათი საშუალებით უფრო მჭიდროთ დაუახლოვდებით მილიონ და ათეულ მილიონ გლეხობას, გავხდით მათ პარტიის გავლენის გამტარებლებად გლეხთა ფართე მასსებში“.

არჩევნების დასრულების შემდეგ საბჭოების ახალ წევრების ჩაბმა აღმშენებლობაში, მათზე სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა—ჩვენი უპირველესი ამოცანაა. საქართველოში საბჭოების წევრთა რიცხვი რამოდენიმე ათეულ ათას უდრის. ამ მრავალრიცხოვან არმიის ხელმძღვანელობა მეტად რთული საქმეა, რომლის ღირსეულად შესრულება მოითხოვს ჩვენი პარტიისაგან სერიოზულ მომზადებას და მუშაობას, რასაც ამ თავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება,

სასოფ. მეურნეობის აღდგენისათვის

(„პრავდა“-ს წერილი)

მოსკოვი, 5 აპრილი. „პრავდა“ მოწინავეში „როგორ ტარდება სასოფლო მეურნეობის აღდგენის და განვითარების გეგმა“ სწერს:

„1925—26 წელი არის პირველი წელი, როდესაც ცხოვრებაში ტარდება მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის მიზანია რუსეთის ცენტრალურ სამიწათმოქმედო რაიონის მეურნეობის რეკონსტრუქცია.

როგორც ვიცით მთავრობამ მიმდინარე სამეურნეო წელს შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემის ცხოვრებაში გასატარებლათ გადასდო 25 მილ. მან. ამ თანხიდან უკვე გაღებულია 11 მილიონი მანეთი. ბიუჯეტის მესამე მეოთხედში გაღებულ იქნება 3 მილ. მანეთი, რაც წინად გაღებულ თანხასთან ერთად საფინანსო გეგმის 80 პროცენტს შეადგენს.

ცენტრალურ სამიწათმოქმედო რაიონებში გასატარებელ ღონისძიებათათვის ფინანსების მიწოდება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მისი ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ის ანგარიშს არ უწევს გასატარებელ ღონისძიებათა სეზონურობას.

მაგრამ მაინც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დეფექტები ფინანსების მიწოდების საქმეში შეუძლებლად ხდიან შემუშავებული გეგმის განხორციელებას. საჭირო თანხების დაგვიანებით გაღება უარყოფით გავლენას იქონიებს მხოლოდ გეგმის ცალკე ნაწილების გატარების სისწრაფეზე, განსაკუთრებით იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან საგაზაფხულო კამპანიასთან. საგაზაფხულო გეგმის შესრულების ზოგიერთი ნაკლი, ეჭვს გარეშე, გამოსწორებულ იქნება მიმდინარე წლის ზაფხულში.

ცენტრალურ სამიწათმოქმედო რაიონში სასოფლო მეურნეობის აღდგენის და განვითარების გეგმა გულისხმობს ორგვარ ღონისძიებებს. ღონისძიებათა ერთი ჯგუფის მიზანია რაიონის მეურნეობის დაცემის შეჩერება. მეორე ჯგუფი გულისხმობს რაიონის მთელი სახალხო-სამეურნეო ცხოვრების ძირითად გარდაქმნას, პირველ რიგში, საგლეხო მეურნეობის რეორგანიზაციას ინტენსიფიკაციის და ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე.

მეორე ჯგუფის ღონისძიებათა შერჩევა არ არის ადვილი საქმე და ადგილობრივ ორგანოებისაგან დიდ წინასწარ მუშაობას მოითხოვს. ჯერ არ გვაქვს საკმაო მასალა იმის შესაფასებლად, თუ რამდენად დასძლიეს ადგილებზედ ეს ამოცანა, ეხლა შეიძლება ითქვას მხოლოდ შემდეგი: გეგმის სასწრაფოდ გატარების აუცილებლობა მოითხოვს ადგილებისაგან საწარმოო საშუალებათა სისწორით განაწილებას და მორიგ სასეზონო ღონისძიებათა გატარებას.

ამავე პრობლემისაკენ უნდა იქნეს მიპყრობილი თვით მოსახლეობის ყურადღება. უკანასკნელის ინიციატივა და თვითმოქმედება—ეს მესამე აუცილებელი ფაქტორია, რომლის გარეშე შეუძლებელია იმ რთული, ძნელი და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩვენი კავშირის მეურნობის აღდგენა-განვითარებასთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ინგლისელი კოოპერატორები მოსკოვში

მოსკოვი, 5 აპრილი. ცენტროკავშირის რწმუნებულთა თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ მოსკოვში ჩამოვიდნენ **ტომას ალენი**, საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის წარმომადგენელი, **რამზაი** ინგლისის საბითუმო შემსყიდველთა საზოგადოების წარმომადგენელი, **არკერი ჩემპანი**, მანჩესტერის კოოპერატიული კავშირის წარმომადგენელი, და **სტიურცი** და **აჩბოლდი** შოტლანდიის კოოპერატიული საზოგადოების წარმომადგენელნი.

მეტრიული სისტემა

მოსკოვი, 5 აპრილი. სასოფლო მეურნეობაში მეტრიული სისტემის შემოღების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1927 წ. 1 იანვარი. ამჟამად მიწათ-მოწყობის მუშაობა უკვე გადაყვანილია მეტრიულ სისტემაზე. გადაყვანილი იქნება მეტრიულ სისტემაზე სატყეო სამუშაოები, თესვის ოპერაციები და მესაქონლეობის სამეურნეო დარგი.

ეროვნულ უმცირესობათა კოოპერაცია

მოსკოვი, 5 აპრილი. დაიხურა ნაციონალურ კოოპერაციის რწმუნებულთა მესამე საკავშირო თათბირი, რომელმაც შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებათა ეროვნულ უმცირესობათა კოოპერაციის გასაფართოებლათ.

სინდიკატთა ორგანიზაციების ზრდა

მოსკოვი, 5 აპრილი. სინდიკატთა ორგანიზაციების ზრდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მთელ რიგ ადგილებში სინდიკატთა გაერთიანებებში შეიქმნა სტიქიურად ჯერ კიდევ ცენტრალურ საბჭოს ჩამოყალიბებამდე და ადგილებზედ სათანადო ცირკულიარების დაგზავნამდე. ამ მხრივ პირველ რიგში სდგანან ციმბირი და ბელორუსია.

მანუფაქტურა

მოსკოვი, 5 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მანცოვის ცნობით, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ვაჭრობის სახ. კომისარიატის შეთანხმების გამო, **შესაძლებელი ხდება მანუფაქტურის გეგმიანად გადაგზავნა ადგილებზე და საერთოდ მომარაგების მოწესრიგება.**

იმ სპეკულიანტების მიმართ, რომლებიც სარგებლობენ გაძლიერებული მოთხოვნილებით და სწევენ ფასებს, მიღებულ იქნება ადმინისტრატიული ზომები.

ცოდნის გამოყენებისათვის

მოსკოვი, 5 აპრილი. პროფგანათლების მთავარმა გამგეობამ წინადადება მისცა ყველა უმაღლეს სასწავლებლების პრეზიდიუმებს მიაქციონ ყურადღება, რათა აუცილებლად ტარდებოდეს ცხოვრებაში სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება იმ პირთა კვალიფიკაციის აწევის, რომელნიც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლების კურსს.

უმაღლესი სასწავლებლები მოწყობილ უნდა იქნეს მეცნიერება-ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. უნდა შემოღებულ იქნეს უსასტიკესი ეკონომია და საშუალებათა რაციონალიზაცია.

მიღების პირობები არ უნდა იქნეს შესუსტებული იმ შემთხვევაშიაც კი, თუ დარჩება თავისუფალი ადგილები.

პოლიტიკურ ემიგრანტების ჩამოსვლა

მოსკოვი, 5 აპრილი. **1926 პირველი 3 თვის განმავლობაში მოსკოვში სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებიდან ჩამოვიდა 186 პოლიტიკური ემიგრანტი.**

„ვოლხოვსტროი"

ლენინგრადი, 5 აპრილი. მურმანში დამთავრდა გემის გადმოტვირთვა, რომელმაც მოიტანა მოწყობილობა „ვოლხოვსტროისათვის".

ამჟამად „ვოლხოვსტროის" მთელი ქონებიდან, რომელიც უნდა გადაიცეს სახელმწიფო ფონდში და რომელიც შეფასებულია 5 მილიონ მანეთად, უკვე გადაცემულია 600.000 მანეთის ქონება. მაისში მოხდება სააღმშენებლო აპარატის შემცირება. მუშების რიცხვი შემცირებული იქნება 50 პროცენტით და დაყვანილ იქნება 2.000-მდე.

საკონტროლო კომისიის პლენუმი

კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 5 აპრილი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის 2 აპრილის დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო. კამათი სწარმოებს ორი მთავარი ხაზით: მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაძლიერება, მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით, და რაციონალიზაციის ადგილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის საერთო გეგმაში. [illegible] ადგილობრივ ამხანა[illegible]ბული ყურადღება უნდა მიექცეს დადგენილებათა შესრულების შემოწმებას და კონტროლს, განსაკუთრებით ადგილებზე.

ამხ. როზმიროვიჩი თავის სიტყვაში ერთმანეთს უკავშირებს დადგენილებათა გატარების შესამოწმებელ მუშაობას და კონტროლს რაციონალიზაციის დარგში მომჭირნეობის ლოზუნგის თანახმად. მწვავედ დგას მომადგენელი, რამზაი, ინგლისის საკითხი. ცენტრალურმა ორგანოებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილებს მუშაკების მომზადების გზით.

საბოლოო სიტყვაში კუიბიშევმა აღნიშნა:

„ვღებულობთ რა სავსებით მე-14-ე ყრილობის დებულებას, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთავარ სამუშაოს წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია, ამჟამად ჩვენ აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ ეკონომიის რეჟიმის გატარებაში. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მომჭირნეობის ამოცანებისადმი გულგრილად მოპყრობა, გამოყენებული უნდა იქნეს შემოწმების მეთოდები, შემოწმება და კონტროლი უფრო გეგმიანად უნდა იქნეს დაყენებული.

მომჭირნეობის კამპანიაში მონაწილეობამ, საკონტროლო - შესამოწმებელმა მუშაობამ და რაციონალიზატორულ მუშაობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმამ მჭიდროთ უნდა [illegible] მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას და მოუპოვოს უკანასკნელთ სათანადო ავტორიტეტი. ეს კი უსათუოდ გაამართლებს მათ მაღალ დანიშნულებას.

მოსკოვი, 5 აპრილი. 3 აპრილს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმის დილის სხდომაზე ამხ. იაროსლავსკიმ მოხსენება გააკეთა სასოფლო უჯრედების შემოწმების შესახებ.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოსული მასალები შემოწმების შესახებ საინტერესოა არა მარტო შემოწმების თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე იმ ურთიერთობის გამოსარკვევად, რომელიც ამჟამად სოფლად არსებობს პარტიასა და უპარტიო გლეხებს შორის. ბევრისთვის შემოწმება მოულოდნელი იყო და მიტომ შემმოწმებელ კომისიებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ ენახათ არა საღი უჯრედები, შეულამაზებლად, როგორც ისინი არსებობდენ. უჯრედის წევრებს შორის ბევრი, რომელიც კი გრძნობდა თავის ცოდვას, არ ცხადდებოდა შემოწმებაზე კომისიის გამოძახებით. სხვა ადგილებში უფრო განვითარებული პარტიულები ცდილობდენ შეესწავლად შემოწმებულ კომისიის ტაქტიკა და ხერხები და წინასწარ ემზადებოდენ კითხვებისათვის; ბევრი, ყოვლად უცოდინარი პარტიული, არავითარ მზადებაში არ იყო. ზოგიერთები სრულ პასივობას და გულგრილობას იჩენდენ.

მთელ რიგ ანგარიშებში ნათქვამია, რომ უპარტიო გლეხებმა არ იცოდენ შემოწმების შესახებ და არც მომზადებული იყვნენ ამისათვის. მაგრამ შემოწმების მიზნების და ამოცანების გაცნობის შემდეგ ისინი დიდი ყურადღებით ეკიდებოდენ მას.

გლეხების დამოკიდებულება შემოწმებისადმი მოწმობს, რომ გლეხობას თავისებურად, რასაკვირველია, გლეხურად, გული შესტკივოდა პარტიისათვის. მას სურდა ენახა პარტია, რომელიც მართლაც ატარებს პარტიულ ხაზს, არ ამახინჯებს მას, არ ჩადის დანაშაულს პარტიის გულისთვის.

ცნობების მიხედვით 38—40 უჯრედში შემოწმებულთა შემადგენლობა დაახლოვებით ასეთია: სოციალური მდგომარეობით — 14,7%—მუშა, 59%—გლეხი, 26,3%—მოსამსახურე. უშუალოდ სასოფლო მეურნეობას ეწევა—22%, ათავსებს სასოფლო მეურნეობას სხვა სამუშაოსთან—9%, დანარჩენი 69% არ მისდევს სასოფლო მეურნეობას.

გლეხობის საუკეთესო ელემენტების პარტიაში ჩაბმის სისუსტე აიხსნება მით, რომ უჯრედების მდივნებს წარმოდგენა არ აქვთ ან ნაკლებ აინტერესებთ იმ მოსახლეობის შემადგენლობა, რომელშიც მას მუშაობა უხდება.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

არაპირდაპირი გადასახადები

მოსკოვი, 5 აპრილი. 1 აპრილის საღამოს სხდომაზე საბიუჯეტო კომისიის პლენუმი იხილავდა არაპირდაპირ გადასახადების, ბაჟების და სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურების საკითხებს.

აზრთა გცვლა-გამოცვლის შემდეგ საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა საჭიროდ სცნო არაპირდაპირი გადასახადების ტეხნიკურად გამოსაანგარიშებლად და აქციზის შესამცირებელ თანხის გამოსარკვევად არჩეული იქნეს სპეციალური ქვეკომისია ვეტოშკინის, ზანგვილის, კორნევის, კატტელის, ღლონტის, პახომოვის და პოლიუდოვის შემადგენლობით.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა განიხილა სახ. კომისართა საბჭოს სურვილი მარილზე და ნავთზე სააქციზო გადასახადების გადასინჯვის შესახებ და აგრეთვე საკითხი პურის არაყის რეალიზაციის პირობების შესახებ.

სახელმწიფო ქონება და წარმოებები

2 აპრილის დილის სხდომაზე პლენუმი იხილავს შემოსავალს სახელმწიფო ქონებათა და წარმოებებიდან.

სახ. კომისართა საბჭოს მომხსენებელი ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან და წარმოებიდან 1925—1926 წლ. ბიუჯეტის პროექტში ნავარაუდევია 412 მილიონ მანეთად, შარშან კი —253 მილ. მანეთი იყო.

საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებელი ვეტოშკინი აღნიშნავს, რომ შემოსავალი სახელმწიფო ქონებათა და წარმოებებიდან სავსებით უზრუნველყოფილია.

ამ საკითხის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კორნევმა, პახომოვმა, ბორაიკომ, კატტელმა, ბახადონმა, კარპმა და იზრაილოვიჩმა. საბოლოო სიტყვაში ვეტოშკინმა და ბრიუხანოვმა გაფანტეს [illegible] გამოანგარიშების საკითხში. ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ ვეტოშკინმა, როგორც საბიუჯეტო კომისიის წევრმა, შეამოწმა სახელმწიფო შემოსავლის ციფრები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციფრები სავსებით სწორია. საკითხის განხილვის შემდეგ საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა დაავალა ქვეკომისიას, ვეტოშკინის მეთაურობით, საბოლოოდ გამოარკვიონ შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან და წარმოებებიდან.

სხვადასხვა შემოსავალი

შემდეგ პლენუმი იხილავს ბიუჯეტის იმ მუხლს, რომელიც შეეხება სხვადასხვა შემოსავალს.

კატტელი წინადადებას იძლევა დატოვებული იქნას ეს თანხა ისე, როგორც შეტანილია. წინადადება მიღებული იქნა. სხვადასხვა შემოსავლის თანხად დამტკიცებულია 7.845.000 მანეთი.

საგანგებო რესურსები

შემდეგ პლენუმი იხილავს საგანგებო რესურსებს. სახ. კომისართა საბჭოს მომხსენებელი ბრიუხანოვი აღნიშნავს შემოსავლის ციფრის შემცირებას წარსულ [illegible]თან შედარებით. წელს საგანგებო რესურსები ნავარაუდევია 158 მილ. მანეთად, შარშან იგი უდრიდა 254.000.000 მანეთს. ბრიუხანოვის მოხსენების შემდეგ დილის სხდომა იხურება.

საგანგებო რესურსები

მოსკოვი, 5 აპრ. საბიუჯეტო კომისიის პლენუმის 2 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდება საგანგებო რესურსების განხილვა. განხილვის შედეგათ საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა საგანგებო რესურსები დაამტკიცა სახ. კომისართა საბჭოს მიერ მოწონებულ ციფრებში და დაადგინა გადიდებულ იქნეს 8 პროცენტიან ოქროს საშინაო სესხის შემოსავალი 40 მილიონ მანეთიდან 50 მილ. მანეთამდე, ხოლო მეორე საგლეხო სესხის შემოსავალი—60 მილიონიდან 70 მილიონ მანეთამდე.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის შემოსავალი

შემდეგ სახ. კომისართა საბჭოს მომხსენებელი **ბრიუხანოვი** აღნიშნავს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის შემოსავალი მიმდინარე წელს ნავარაუდევია 153.000.000 მანეთით წარსულ წლის 93.000.000 მანეთის წინააღმდეგ.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი **სმირნოვი** თავის მოხსენებაში საბიუჯეტო კომისიას მიუთითებს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მძიმე მდგომარეობაზე. კომისარიატი ხაზინას აძლევს 13 მილიონ მან. შემოსავალს, ხოლო კომისარიატის გასავალს, ხოლო კომისარიატის გადაუდებელ საჭიროებათა მთელი რიგი დაუკმაყოფილებელი რჩება. ამის გამო [illegible]ნილ ფოსტა-ტელეგრ. სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის შემცირების დროს. ამ საკითხის განხილვის შედეგათ პლენუმი ამტკიცებს სახ. კომისართა საბჭოს ანგარიშებს.

გზათა სახ. კომისარიატის შემოსავალი

შემდეგ სახ. კომისართა საბჭოს მომხსენებელი **ბრიუხანოვი** აღნიშნავს, რომ გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგენს ყველა საბიუჯეტო შემოსავალ-გასავლის თითქმის ერთ მესამედს.

წარსულ წელს ცაკის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში ტრანსპორტის შემოსავალი ნავარაუდევი იყო 902 მილ. მანეთში. მიმდინარე წელს ნავარაუდევია 1.345.000.000 მანეთით. კამათი ტრანსპორტის შემოსავლის ნაწილის გამოანგარიშების გარშემო ვადადებულ იქნა შემდეგი სხდომისათვის.

რა ხდება უცხოეთში

კრიზისი ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

კრიზისი ინგლისის ნახშირის მრეწველობაში ახალი მოვლენა როდი არის. ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე ომის დაწყებამდე მისი პირველი ნიშნები საგრძნობი შეიქნენ ქვეყნის მთელი ეკონომიკისათვის. მაგრამ განსაკუთრებული ძალით მან მხოლოდ ომის შემდეგ იჩინა თავი. ამ კრიზისის შედეგი ის იყო, რომ 1925 წ. აგვისტოში მთავრობა სამი დიდი კავშირის (მაღაროს მუშების, მელითონეების და ტრანსპორტის მუშების) გაფიცვის შიშით იძულებული შეიქნა უზრუნველეყო მრეწველობისათვის 13% მოგება იმ პირობით, რომ ისინი ხელუხლებლად დასტოვებდენ არსებულ შრომის ხელფასს და 7 საათის სამუშაო დღეს. სუბსიდია, რომელსაც ამ პირობის თანახმად აძლევს ინგლისის მთავრობა ნახშირის მრეწველებს მერყეობს 7½ მილიონიდან 24 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

შეთანხმების ვადა (მთავრობასა და მრეწველებს შორის) თავდება მიმდინარე წლის მაისში. მანამდე კი სპეციალურ კომისიას უნდა გამოემუშავებია ნახშირის მრეწველობის გაჯანსაღების პროექტი.

უნდა ითქვას, რომ ინგლისის ნახშირის მრეწველობა მართლა საჭიროებს გაჯანსაღებას. მისი ეხლანდელი მდგომარეობა შემდეგნაირად ხასიათდება:

1925 წ. მარტში რაოდენობა იმ ნახშირის წარმოებათა, რომლებიც ზარალით მუშაობდენ უდრიდა ნახშირის ყველა წარმოებათა, რომლებიც ზარალით მუშაობდენ უდრიდა ნახშირის ყველა წარმოებათა 50%-ს, აპრილში—64%, მაისში—67%, ივნისში კი—70%. 1924 წ. ივნისიდან 1925 წ. ივნისამდე დაიხურა 538 წარმოება და ქუჩაში დარჩა 110.000 მუშა.

1.200.000 უმუშევარიდან ინგლისში 315.000 კაცი ქვანახშირის მაღაროს მუშაა.

ეს კრიზისი, რომელიც ფართოვდება, შედეგია იმის, რომ შესამჩნევად შემცირდა ქვანახშირის გატანა უცხოეთში.

1913 წ. გატანილი იქნა უცხოეთში—73.400.000 ინგლისური ტონა ქვანახშირი. 1922 წ.—64.198.000 ტონა. 1923 წ. (რურის ოლქის დაპყრობის პერიოდი)—79.560.000 ტონა, 1924 წ.61.751.000 ტონა, 1925 წ.—45.000.000 ტონა. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმასაც, რომ ნახშირის მოხმარება შემცირდა თვით ინგლისში, ნათელი შეიქნება, რომ მოთხოვნილება ინგლისურ ნახშირზე 30.000.000 ტონით მაინც შემცირდა.

იმ ფაქტორებიდან, რომლებმაც როლი ითამაშეს ინგლისის ნახშირის მრეწველობისათვის ასეთი მდგომარეობის შექმნაში, პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ქვეყნების მრეწველობაში ნავთისა და წყლის ენერგიის როლის გაძლიერება. გარდა ამისა, შეიძლება გადამჭრელი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ინგლისის ნახშირი შედარებით ძვირია.

მრეწველები ნახშირის სიძვირეს მაღალი შრომის ხელფასით ხსნიან. ისინი აღნიშნავენ, რომ გერმანიაში ერთ ტონა ნახშირზე ხელფასი 6 შილინგსა და 6 პენსს შეადგენს, ინგლისში კი—13 შილინგსა და 6 პენსს. ამიტომ, მათის აზრით, ნახშირის გასაიაფებლათ, პირველ რიგში შემცირებული უნდა იქნას შრომის ხელფასი.

ისინი ივიწყებენ მეორე მაგალითს, რომელზეც სხვა შემთხვევებში ხშირად მიუთითებენ მუშებს. ივიწყებენ მაგალითს ამერიკისას, სადაც შრომის ხელფასი უდრის ამოღებულ ნახშირის მთელი ღირებულების 87 პროცენტს, ინგლისში კი შრომის ხელფასი ამოღებული ნახშირის ღირებულების 65 პროცენტსაც არ შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზედნადები ხარჯები ინგლისის ნახშირის მრეწველობაში არაჩვეულებრივათ დიდია. და ეს ბუნებრივიც არის. თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოებათა არაჩვეულებრივ სიმრავლეს (3235) და თითეულ წარმოებაში მომუშავე მუშების შედარებითი სიმცირეს (თითეულ ნახშირის სამრეწველოზე ინგლისში საშუალოდ 300 მუშა მოდის), ნათელი გახდება საერთო ხარჯების დიდი პროცენტი, რაც ნახშირს აძვირებს. მეორე ფაქტორს, არა ნაკლებ მნიშვნელოვანს, რაც გავლენას ახდენს ინგლისის ნახშირის ღირებულებაზე, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მუშაობა ძლიერ პრიმიტიული წესებით სწარმოებს. მანქანები თითქმის არ მოიპოვება მაღაროებში, ელექტრონის ენერგიაც იშვიათ შემთხვევაშია გამოყენებული. ამიტომ ინგლისის ნახშირს ხელფასი კი არ აძვირებს (ინგლისელი მაღაროს მუშა საარსებო მინიმუმსაც კი არ იღებს), არამედ ცუდ ორგანიზაციაში და წარმოებათა გაფანტულობა.

მაისი გვიჩვენებს თუ რა გზას დაადგება ინგლისის მთავრობა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ინდუსტრიალიზაციისათვის

ბაქო, 5 აპრილი. შემუშავებულია აზერბეიჯანის რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციისათვის გეგმა.

გეგმის მიხედვით **აზერბეიჯანში უნდა გაიხსნას ჩითის ორი ფაბრიკა, რომელთაც უნდა დაამზადონ 100 მილიონი არშინი ქსოვილი წლიურად, აგრეთვე მაგარი ქსოვილის ფაბრიკა, რომელმაც უნდა დაამზადოს 18 მილ. არშინი ქსოვილი; განჯაში უნდა მოეწყოს ახალი შალის საქსოვი ფაბრიკა, რომლისთვისაც მოწყობილობა უკვე გამოწერილია გერმანიიდან. განზრახულია აბრეშუმის საქსოვ ქარხნების მოწყობა 800 დაზგით.**

ქიმიურ მრეწველობის დარგში განზრახულია გოგირდის სიმჟავის ქარხნის და ასანთის ფაბრიკის აგება.

პირველი ხუთი წლის განმავლობაში ლენქორანის რაიონში აგებული უნდა იქნეს სახერხი ქარხანა. ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების სავსებით დასაკმაყოფილებლად ამჟამად არსებული ცემენტის ქარხნები გაფართოებუ[illegible]თორების გეგმა მუშავდება.

აბრეშუმის თესლი მეაბრეშუმეებს

ბაქო, 5 აპრილი. „აზშოლკ"-მა მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით ზაქათალის მაზრის მეაბრეშუმე მუშებს უფასოდ დაურიგდა 12,000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

საქონლის ჭირი

ბაქო, 5 აპრილი. უკანასკნელ დროს საქონლის ჭირი მოედო ნუხის მაზრის რამოდენიმე რაიონს.

მაზრაში 6 ახალი ასაცრელი პუნქტი გაიხსნა.

მთელს მაზრაში ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით აუცრეს 2.156 საქონელს. დაწესებულია კარანტინი.

ნავთის მიწოდება სოფლისათვის

ბაქო, 5 აპრილი. „აზნეფტტორგ"-მა მოაგვარა სოფლისათვის ნავთის ნორმალურად მიწოდების საქმე.

მიმდინარე წლის განმავლობაში **შარშანდელთან შედარებით ნავთის მიწოდება 10 პროცენტით გაიზარდა.** პირველი საფეხური კოოპერაციის მონაწილეობა ნავთის მიწოდებაში 70 პროცენტით გამოიხატება.

თევზის მრეწველობის ხუთი წლის გეგმა

ბაქო, 5 აპრილი. თევზის სახელმწიფო მრეწველობის ხუთი წლის გეგმის მიხედვით, აზერბეიჯანში განზრახულია მდინარეების სათავეების გაწმენდა, თევზის ჭერის მექანიზაცია, ახალი სამრეწველოების, საცივებლების, კონსერვის ქარხნების მოწყობა, რკინის-გზის შტოს გაყვანა. ბაქო-ილიატს შორის.

ამ ღონისძიებების გატარებას დასჭირდება 8 მილ. მანეთი. ნავარაუდევი მოგება პირველი ხუთი წლის განმავლობაში უდრის 12 მილ. მანეთს.

ეკონომიის რეჟიმი

ბაქო, 5 აპრილი. აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ ხარჯები რეკლამებზე 3,000 მანეთით შეამცირა.

აზერბეიჯანის სახელმწიფო კინომ [illegible] რეკლამებზე 30% შეამცირა. ამავე დროს [illegible] ცის 2½ ჯერ მომატების საკითხი.

სომხეთი

მინერალური წყლები

ერევანი, 5 აპრილი. სამკურნალო კომისიამ გამოიკვლია დარალაგეზის მაზრაში მდებარე მინერალური წყლის მრავალი ნაკადები.

გამოკვლევამ დაამტკიცა მათი სამკურნალო თვისებანი. ჯანმრთ. კომისარიატი შეუდგა ფარდულების აგებას ავადმყოფთათვის.

საბავშვო სახლი

ერევანი, 5 აპრილი. სომხეთის წითელი ჯვრის ნიუ-იორკის განყოფილებამ მოაგროვა 23.000 დოლარი ერევანში საბავშვო სახლის ასაგებად, რომელთან მოწყობილი იქნება საავადმყოფოც.

სომხეთის გამოკვლევა

ერევანი, 5 აპრილი. მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტი შეუდგა სომხეთის მეცნიერულ-ბუნებრივ გამოკვლევას.

ამინდი ა.-კავკასიაში

თოვლი თბილისში

გასული კვირის თბილი ამინდები თბილისში შაბათს საღამოს უეცრად წვიმით შეიცვალა. თუ პირველ და ორ აპრილს ტემპერატურა 15-16 გრადუს აღწევდა რეომიურით, შაბათს და კვირის სითბო დავარდა 4 გრადუსამდე.

კვირის დილიდანვე გამუდმებით წვიმდა. ნაშუადღევს წვიმას მოყვა თოვლის წვრილ-წვრილი ფიფქები. საღამოს წვიმაც და თოვლიც შეწყდა, ტემპერატურა კი 2 გრადუსამდი ჩამოვიდა.

გუშინ დილიდანვე თოვა დაიწყო. თოვდა შეუწყვეტლივ და ისეთი გულმოდგინეობით, თითქოს აპრილი კი არა, შუა ზამთარი იყოს.

შუა დღემდი თოვლი კვალს ვერ სტოვებდა, მხოლოდ ახლო-მახლო მთები უკვე დათოვლილი იყო. **ნაშუადღევს თოვა გაძლიერდა და საღამოსთვის უკვე მთელი ქალაქი თეთრად გამოიყურებოდა.**

მოსახლეობა არ მოელოდა ასეთ დაგვიანებულ ზამთარს, მით უმეტეს, რომ რამოდენიმე დღის წინად ნამდვილი ზაფხულის დღეები იდგა. ზოგი კიდეც გამოეთხოვა საზამთრო ტანთსაცმელს.

ქალაქში ისევ შეიქნა სათბობი მასალის ძებნა. მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს შეშა უკვე აღარ აქვს. წარსული წლების გამოცდილებით, აპრილი თბილისში უკვე გაზაფხულია. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეშაც სწორეთ იმდენი ჰქონდა შენახული, რამდენიც ეყოფოდა აპრილის დაწყებამდე.

ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, თოვლი მრავალ ადგილას მოსულა.

ბორჯომში

ბორჯომი, 5 აპრილი. ბორჯომში და მის რაიონში მოვიდა ოთხ გოჯამდე თოვლი, რომელიც კიდევ მატულობს.

ახალქალაქში

ახალქალაქი, 5 აპრილი. მესამე დღეა მაზრაში თოვლი მოდის. მიწა დაფარულია 12 ვერშოკის სიმაღლით, ალაგ-ალაგ თოვლი 1 ნახ. არშინ აღწევს.

კავშირი მრავალ სოფელთან შეწყვეტილია.

რკინის-გზებზე

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოში მოსულ ცნობებით, ლენინაკან-შაგალის უბანში თოვდა განუწყვეტლივ ორი დღის განმავლობაში. იყო აგრეთვე ძლიერი ქარი.

თოვლმა დაჰფარა რკინის-გზის ლიანდაგი ამის გამო მოძრაობის შეფერხების თავიდან ასაცილებლად უბანში **გაგზავნილ იქნენ თოვლმწმენდები, რომლებმაც გასწმინდეს ლიანდაგი. მიუხედავად სასწრაფოდ მიღებულ ზომებისა მოძრაობა შეჩერებულ იქნა** ერთი საათით. თოვლმწმენდები განაგრძობდენ მუშაობას.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

მარტის დამლევს საქართველოს ყველა კუთხეებში მშვიდი, ულრუბლო და მზიანი დარები იდგა. 28 მარტს ტემპერატურა ნაშუადღევის სამ საათზე 11 გრადუსიდან (ლიბანი) ადიოდა 20-21 გრადუსამდე (ბათომ-სამტრედია-ქუთაისი), მზიანი დარები გრძელდება; აპრილის პირველ დღეს ტემპერატურა მატულობს და დასავლეთ საქართველოში აღწევს 23 გრადუსს.

2 აპრილს ამინდი იცვლება. საქართველოს უმრავლეს კუთხეებში, განსაკუთრებით დასავლეთ მხარეში ღრუბლიანი ამინდია. ტემპერატურაც საგრძნობლად კლებულობს. 3 აპრილს მთელ რიგ რაიონებში წვიმა მოდის. ამ დღეს წვიმიანი დარებია სოხუმში (ტემპერატურა—8 გრად.) ქუთაისში (ტემპ.—8,2 გრ.), ბათომში (ტემპ.—7,5 გრ.), ტყიბულში (ტემპ.—5 გრ.). 4 აპრილს ამინდი უარესდება. მთელს საქართველოში იწყება წვიმები. სითბო არ აღემატება 5 გრადუსს, ხოლო ალაგ-ალაგს—0,2 გრადუსამდე კლებულობს (სურამი, ტყიბული, ლიბანი) ამავე დღეს ზოგ ადგილას (მათ შორის თბილისში) სთოვს კიდეც.

თბილისის ალმასკომის პლენუმი

გუშინ, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე შესდგა თბილისის ალმასკომის მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) ელსადგენის გაყვანილობათა ნორმები, 2) „ზაჰეს"-ის ტარიფი, 3) პროექტის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება ტრამვაელების კომ. მუშათა სახლის ასაგებად, 4) მოხსენება ბიუჯეტის შესახებ.

ელსადგენის გაყვანილობათა ნორმები

პროფ. დიდებულიძის მოხსენების მიხედვით ალმასკომის პლენუმმა დაადგინა: თბილისის ბინების ყველა არსებული შიდა-ელსადგენები შეერთებულ იქნენ „ზაჰეს"-ის ქსელთან, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემუშავებულ ნორმებს, რომელიც გამომუშავებულია მე-8 ელექტროტეხნიკურ ყრილობის მიერ და [illegible] მიერ სავალდებულოდ არის გამოცხადებული მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; 2) დაევალოს „ელგან"-ს და „ემ"-ს შეიმუშაოს წესი აღნიშნულ ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად.

„ზაჰეს"-ის ტარიფი

ინჟ. ბ. ქიქინაძის მოხსენების მიხედვით პლენუმმა დაამტკიცა ალმასკომის საგეგმო კომისიის მიერ გამომუშავებული შემდეგი ტარიფი „ზაჰეს"-ის ენერგიაზე:

სახლების განათებისათვის 10—20 კაპიკი —კილოუატ საათზე, ქუჩების განათებისათვის—5 კაპ., მცირე-ძალოვან მატორებისათვის—12 კაპ., დიდ - ძალოვანი მატორებისათვის 4,5—8 კაპიკი. რკინისგზის სახელოსნოებისათვის—5 კაპ., ტრამვაისათვის—7,5 კაპიკი, წყალსადენისათვის—3 კაპ., სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის—2,5 კაპიკი.

ტრამვაელების მუშათა სახლის პროექტი და აღრიცხვა

მომხსენებელმა ინჟ. ჩიხლიევმა პლენუმს გააცნო ტრამვაელების მუშათა სახლის პროექტი, რომლის მიხედვით სახლი უნდა აშენდეს პლეხანოვის გამზირის და მუშტაიდის ბაღის კუთხეში. სახლი იქნება სამ სართულიანი ორ კორპუსად. ერთს კორპუსში მოთავსდება 190 ბინა—ოჯახიანი მდგმურებისათვის და მეორე კორპუსში 248 ბინა მარტო მდგმურებისათვის. შენობას ექნება საერთო სახარგებლო მოედნები, აქვე მოთავსდება მაღაზია, მუშკოოპი, სასადილო, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვა. სახლი დაიტევს 1300 სულს.

სახლს ექნება თავისი ეზო, შენობა აიგება ქართულ სტილზე და დაჯდება 1.900 ათასი მანეთი.

ალმასკომის პლენუმმა პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა დაამტკიცა. სახლის აგება დაიწყება მაისში.

თბილისის ალმასკომის ბიუჯეტი

(მომხსენებელი ამხ. გაგაშელი)

თბილისის ალმასკომის ბიუჯეტის საკავშირო ორგანოების მიერ ყოველგვარი განხილვის შემდეგ, აუცილებელი შეიქნა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. როგორც ვიცით,— ბიუჯეტში თბილისის ადგილობრივი შემოსავალი შეადგენს 9.015.000 მანეთს, თემებისა—218.000 მან., ხოლო ცენტრის დახმარება—1.308.000 მან. სულ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის—10.526.000 მანეთს, ხოლო გასავალი კი 11.436.000 მანეთს. ამგვარად რჩება დაუფარავი 995.000 მანეთი; აუცილებელი ხდება დეფიციტის ამ რაოდენობით შემცირება, რადგან არავითარი წყარო მის დასაფარავად არ არსებობს. ალმასკომის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია საორიენტაციო შემცირების პროექტი, რომელიც ემყარება დაუფარავი ხარჯების პროპორციულ გაყოფას არსებულ ხარჯთაღრიცხვებზე.

თბილისის ბიუჯეტის საბოლოო გასახილველად და დაუფარავი ხარჯების შესამცირებლად პლენუმმა აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან ამხანაგები: ივანოვ-კავკასკი, სუხიშვილი, გაგაშელი, მესხი, ფანცხავა, სვანიძე და ფანცხავა.

ევროპა და ამერიკა

უცხოეთის ბურჟუაზიული და თეთრგვარდიელი გაზეთები არა ერთხელ გამოეხმაურენ ჩემს გამოსვლებს. მაგრამ იშვიათად შემხვედრია იმდენი უმართებულო ცნობების მოთავსება და საკითხის ისე არა სწორად გაშუქება, როგორც გერმანიის მსხვილ ბურჟუაზიულ „კელნის გაზეთ"-ის 9 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში, რომელიც ეხება ჩემს მოხსენებას, კომუნისტურ აკადემიაში წაკითხულს „ევროპის სამეურნეო კრიზისის შესახებ".

„კომუნისტურ აკადემიის მოამბის" ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ჩემი მოხსენების სტენოგრამა, ჯერ კიდევ არ გამოსულა გასასყიდათ, გაზეთებში ანგარიშები არ დაბეჭდილა, ასე რომ „კელნის გაზეთი", როგორც სჩანს, სარგებლობს „სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ" ცნობებით, რათა გაუგებრობა დაბადოს გერმანიის მუშათა შორის ყალბი ცნობების მიწოდებით რუსეთის ბოლშევიკების მიერ ევროპის სამეურნეო მდგომარეობის შეფასების შესახებ. რომ თავი დავანებოთ „კელნის გაზეთი"-ს მსჯელობას, რომელიც დამყარებულია ყალბ ცნობებზე, ჩვენ დროს შესაფერად მიგვაჩნია ჩვენს პრესაში კრიტიკულად განვიხილოთ საკითხის არსებითი მხარეები.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ მოიწვიონ „მსოფლიო სამეურნეო კონფერენცია" და იწვევენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მონაწილეებსაც. „პრავდა"-ში უკვე იყო მოთავსებული ამხ. ხინჩუკის ცნობა ამის შესახებ. ამის გამო გაძლიერდა ყურადღება ევროპის სამეურნეო მდგომარეობის მიმართ (და მასთან დაკავშირებულ საკითხებისადმი), რაც წინათაც დიდ ინტერესს იწვევდა. სხვადასხვა ავტორები და მომხსენებლები თავიანთ შეფასებებში სხვადასხვა მხარესაკენ იხრებიან და, ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ ამ სუბიექტიურ შეფასებებს მივუდგებით ობიექტიურ ფაქტებისა და საღი გონების თვალსაზრისით.

ამ მხრივ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღინიშნოს შემდეგი ნაკლოვანებანი: 1) თანამედროვე ევროპის სამეურნეო როლის მნიშვნელობას ხშირად ნაკლებად აფასებენ, ხოლო ამერიკის როლის ზედმეტად აფასებენ, განსაკუთრებით დინამიკის (განვითარების მიმართულების) მხრივ; 2) აჭარბებენ საწარმოვო ძალთა განვითარების არახელსაყრელ მნიშვნელობას რევოლიუციის შესაძლებლობისთვის ბურჟუაზიულ ქვეყნებში; 3) სოციალისტური რევოლიუციის საკითხის არასწორად დაყენება გავლენას ახდენს ამ ქვეყნების ნამდვილ მდგომარეობის შეფასებაზე.

საკმაოთ გავრცელებულია ის აზრი, რომ ევროპის სამეურნეო როლი („ევროპას" ჩვენ ვუწოდებთ ყველა ევროპიულ სახელმწიფოებს ერთეულს, გარდა საბჭოთა კავშირისა) თანდათან ქარწყლდება. გავრცელებულია მსჯელობა, რომ ევროპის მონაწილეობა მსოფლიო სამრეწველო წარმოებასა, საგარეო ვაჭრობასა, ტრანსპორტში და სხვ. თანდათან კლებულობს. ხოლო ევროპის ადგილს თანდათან ამერიკის შეერთებული შტატები იჭერს, რომელმაც მიაღწია თითქმის სამონოპოლიო მდგომარეობას მრავალ დარგში, როგორც მაგ. ბამბის, ავტომობილების, ნავთის, ელექტრონის და სხვ. მრეწველობაში, რომელმაც თავი მოუყარა მთელი მსოფლიოს ოქროს ორ მესამედს და გახდა მსოფლიოს ერთად-ერთი კრედიტორი.

ასეთი მსჯელობა ცალმხრივია და უმართებულოდ აშუქებს საკითხს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფაქტიურადაც არ არის სწორი. ამ სახით იგი წარმოადგენს იმპერიალისტურ ომის წლების შთაბეჭდილებათა დაგვიანებულ გამოხატულებას. როდესაც ადამიანთა ათეული მილიონები კვლავ დაუბრუნდენ შრომას, ევროპა თანდათან უახლოვდება ომის წინა დროის მდგომარეობას. ამჟამად მრავალ დარგში იგი დაეწია ამერიკას, ზოგიერთ დარგში გაუსწრო კიდეც, ხოლო ზოგიერთში უკან ჩამორჩა. სწორია ის, რომ ამერიკის სიმდიდრე უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში გაიზარდა, რომ იგი აძლევს დიდ სესხებს სხვა სახელმწიფოებს, აბანდებს კაპიტალებს ევროპის სამრეწველო წარმოებებსა და ბანკებში, მაგრამ ამერიკის ასეთი წინსვლა ევროპასთან შედარებით, ხშირად გადაჭარბებულადაა შეფასებული, რაც მთელ სურათს ამახინჯებს, და რაც მთავარია —უყურადღებოდ სტოვებენ არა ამერიკული (კერძოთ ევროპიული) მეურნეობის დინამიკას უკანასკნელ წლების განმავლობაში. ეს დინამიკა ადიდებს მის მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით ომის შემდეგ, პირველ წლებთან შედარებით. რაც შეეხება იმას, რომ ამერიკაში თავმოყრილია მთელი მსოფლიოს ოქროს ორი-მესამედი, რომ ინგლისი მსოფლიო კრედიტორის ნაცვლად გადაიქცა საბრალო მოვალეთ და სხვ., ასეთი მსჯელობა უნდა მივაკუთვნოთ შეთხზულ ლეგენდათა სფეროს.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მსოფლიო მეურნეობის განყოფილებაში, ამხ. კრიჟანოვსკის ნებართვით, შედგენილია ჩემთვის ცნობა ნამდვილ მდგომარეობის შესახებ მეურნეობის მრავალ დარგში. ეს ცნობები ამოკრეფილია არა ომის მომდევნო წლების, არამედ უკანასკნელი (1924—25 წლ.) წლების მიხედვით, და არა რამდენიმე სახელმწიფოს შემთხვევითი შერჩევით, არამედ ყველა სახელმწიფოების განხილვით. მოვიტან ზოგიერთ მაგალითს.

ნახშირი. ნახშირის მსოფლიო წარმოებიდან ევროპაზე 1913 წელს მოდიოდა 47,1 პროც., 1924 წ.—45,8 პროც., ე. ი. შემცირება სულ 1,3 პროც. უდრის, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ შეეფერება გავრცელებულ მსჯელობას მსოფლიო წარმოებაში ევროპის მონაწილეობის **მნიშვნელოვნად** შემცირების შესახებ.

ფოლადი. 1913 წ. ევროპაზე მოდიოდა 51,3 პროც., მთელი მსოფლიო ნაწარმოებიდან, 1924 წ. ცოტა უფრო ნაკლები—47,3 პროც. (შემცირდა სულ 4 პროცენტით).

ბამბა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სამრეწველო ნედლი მასალის—ბამბის წარმოების მონოპოლიას აკუთვნებენ ამერიკას. ნამდვილად კი საქმე სულ სხვაგვარად არის. ომის წინა წლებში ამერიკა ამზადებდა ბამბის 40 პროცენტით უფრო მეტს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო (28 მილიონ კვინტალს 20 მილიონი კვინტალის წინააღმდეგ). 1924 წელს უკვე სულ 20 პროცენტით მეტია (29 მილიონი კვ., 24 მილიონი კვ. წინააღმდეგ). სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამერიკის წარმოება ამ მხრივ შემცირდა, ამასთანავე ამერიკის წარმოება სტაბილიურია, ხოლო დანარჩენი მსოფლიოს წარმოება გაიზარდა 20 პროცენტით.

მატყლი. ომის წინა 5 წელთან შედარებით 1924 წ. მატყლის წარმოება ამერიკაში უდრის 90 პროცენტს, ევროპაში—93 პროცენტს, ე. ი. უფრო მეტია, ვიდრე ამერიკაში. სხვათა შორის ასეთივე სურათს ვხედავთ **სელის** წარმოებაშიაც (მსოფლიო წარმოება 1924 წელს შეადგენს 75 პროცენტს ომის წინა დროსთან შედარებით, ხოლო ევროპის—133 პროცენტს).

ნავთი. ფრიად საინტერესოა სახ. საგეგმო კომისიის მსოფლიო მეურნეობის განყოფილებაში გამოანგარიშებული **ნავთის მოხმარების ზრდის დინამიკა.** თუ ის შეიცვალა (არა გვაქვს საფუძველი, რომ შეიცვლება), 5 წლის განმავლობაში 1925—1929 წ. ნავთის მსოფლიო მოხმარება გაიზრდება 53 პროცენტით, კერძოთ ამერიკის მოხმარება გაიზრდება მხოლოდ 45 პროცენტით,ევროპის მოხმარება—91 პროცენტით. ნავთის მოხმარების დინამიკა ფრიად დამახასიათებელია სამრეწველო და სატრანსპორტო პერსპექტივებისათვის საერთოთ. ეს ცნობა, ისევე როგორც ცნობა ნახშირის შესახებ, საშუალებას გვაძლევს გამოვაცალკევოთ იმპრესიონიზმი სინამდვილისაგან და სისწორით შევაფასოთ ევროპის სამეურნეო მნიშვნელობა მსოფლიო პროდუქციაში.

ელექტრონი. ელექტრონის, როგორც ენერგიის ყველაზე სრული ფორმის შესახებ ზოგჯერ ლაპარაკობენ ისე, თითქოს იგი შეადგენდეს ამერიკის კუთვნილებას. მართლაც იმპერიალისტურ ომამდე დანარჩენ მსოფლიოში, კერძოთ ევროპაში, ელექტრონის ენერგიის წარმოება შედარებით უფრო ნაკლები იყო. მაგრამ სწორედ უკანასკნელ წლებში დანარჩენი მსოფლიო ბეჯითად შეუდგა ამ საქმეს და ამერიკა სწრაფად ჰკარგავს თავის ძველ მდგომარეობას. 1924 წ. ყველა 47 სახელმწიფოში, სადაც მზადდება ელექტრონის ენერგიის თვალსაჩინო რაოდენობა, მოპოვებული იყო სულ 112 მილიარდი კილოვატტი საათი. ამ რიცხვიდან ამერიკას ხვდებოდა უკვე ნახევარზე ნაკლები—48,8 პროცენტი, ევროპას უკვე თითქმის მესამედი—32,8 პროცენტი და დანარჩენ ქვეყნებს—18,4 პროცენტი, (აქედან იაპონიას—თითქმის 8 პროც.).

ავტომობილები. ვის არ გაუგონია, რომ საავტომობილო მრეწველობა შეერთებულ შტატების მონოპოლიაა, რომ იქ თითქმის ძაღლებიც კი ავტომობილით დადიანო. მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზის გამო, ე. ი. ავტომობილების შედარებითი სიჭარბის გამო შეერთებულ შტატებში დაიწყო ამ წარმოების ტემპის შენელება, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ევროპაში, საწინააღმდეგო მოვლენა ხდება(აქ თანდათან იქმნება და ფართოვდება ვეებერთელა საავტომობილო წარმოებანი). ავტომობილების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა შეერთებულ შტატებში საშუალოდ შეადგენდა: 1913-დან 1916 წლამდე39 პროცენტს, 1917-დან 1920 წლამდე უკვე 28 პროცენტს, 1921-დან 1924 წლამდე მხოლოდ 17,4 პროცენტს და, ბოლოს, 1925 წ. 14 პროცენტს. თუ ასეთი მდგომარეობა მომავალშიაც გაგრძელდა, სხვა ქვეყნების წილი საავტომობილო წარმოებაში ხუთი წლის განმავლობაში 1925 წლის შემდეგ გაიზრდება 17 პროცენტიდან 32 პროცენტამდე. ეს უნდა ჩაითვალოს შეერთებული შტატების საავტომობილო მონოპოლიის მნიშვნელოვან შესუსტებათ.

გემების მშენებლობა. ომის შემდეგი პერიოდის ისტორია არის ისტორია შეერთებული შტატების წილის თანდათანობითი შემცირებისა გემების მშენებლობაში და ევროპის წილის თანდათანობითი ზრდისა. 1918 წელს ახლად აშენებული სავაჭრო გემების საერთო წყალზიდვიდან შეერთებულ შტატებს ეკუთვნოდა 57 პროცენტი, ხოლო 1925 წელს მხოლოდ 4 პროცენტი. პირიქით, ევროპის წილი, რომელიც 1918 წელს მხოლოდ 41 პროცენტს უდრიდა, 1925 წელს უკვე აღწევს 91 პროცენტს და ყოველი წლით იზრდება. შეერთებული შტატების წილი მსოფლიო გემთა წყალზიდვაში ომის შემდეგ (1918 წლიდან —1925 წლამდე) დაეცა, ხოლო ევროპის წილი 1925 წლისათვის 62 პროცენტამდე გაიზარდა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას.

რკინის გზები. იმპერიალისტურ ომამდე შეერთებულ შტატების წილი მთელი ქვეყნის რკინის გზების სივრცეში ჯერ-ერთი არ მცირდებოდა, ამასთანავე აღემატებოდა მთელ ევროპის წილს (დასავლეთ ევროპაზე მოდიოდა 35 პროცენტი). რკინის გზათა ქსელის განვითარება ახალ ქვეყნებში (აფრიკა, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.) და ევროპის რკ. გზ. ქსელის გაფართოება უკვე ამცირებს შეერთებულ შტატების წილს მსოფლიო რკ. გზ. ქსელის საერთო ქსელში. 1924 წელს შეერთებულ შტატებზე მოდიოდა 37 პროცენტი, ხოლო გამოანგარიშების თანახმად, თუ შენარჩუნებულ იქნება ახლანდელი დინამიკა, 1930 წელს შეერთებულ შტატების წილი მსოფლიო რკ. გზ. ქსელის სივრცეში ჩამოვა 34,3 პროცენტამდე. საერთოდ იმ დროს, როცა ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვესმის, რომ ომის მომდევნო პერიოდში შეერთებულ შტატების წილი მსოფლიო მეურნეობის და ტრანსპორტის განვითარებაში თანდათან იზრდებაო, სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ პირიქით, ევროპის სამხედრო ნგრევის შემდეგ მეურნეობის თანდათანობითი აღორძინება ხდება და მსოფლიოს სხვა მატერიკების ახალგაზრდა სახელმწიფოების განვითარება ამცირებს შეერთებული შტატების წილს მსოფლიო მეურნეობასა და ტრანსპორტში.

საერთაშორისო დავალიანება. თვითეულ სახელმწიფოში გამორკვეულია: მეტი ვალი აქვს მას, თუ მეტი ასალები, (საბჭოთა კავშირი აქ არ არის ნაგულისხმევი). ყველა სახელმწიფოები დაყოფილია 4 ჯგუფად: ინგლისი, შეერთებული შტატები, ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები, დანარჩენი არა-ევროპიული სახელმწიფოები. ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ გაცემული ვალები აღვნიშნოთ პლიუსით, ხოლო მისი დავალიანება მინუსით. 1924 წელს ჩვენს წინაშე იყო შემდეგი სურათი (მილიარდ ოქროს დოლარებში): ინგლისი პლიუსი 10½ მილიარდი, შეერთებული შტატები პლიუსი 14 მილიარდი, ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები მინუსი 12½ მილიარდი, დანარჩენი არა-ევროპის სახელმწიფოები მინუსი 12 მილიარდი. მთელი მსოფლიო დავალიანება შეადგენს 24½ მილიარდ დოლარს და ინგლისი გვევლინება არა როგორც სუსტი მოვალე, არამედ, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი კრედიტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (ინგლისში—50 მილ. კაცზე ნაკლები, ხოლო შტატებში—115 მილ. კაცი) ინგლისი თავისი კრედიტით გაცილებით უფრო მეტად ყვლეფს დანარჩენ მსოფლიოს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. ინგლისში თვითეულ მცხოვრებზე წმინდა საკრედიტო შემოსავალი თითქმის სამი-მეოთხედით მეტი მოდის, ვინემ შეერთებულ შტატებში, (ინგლისში—210 დოლარი, შეერთებულ შტატებში—122 დოლარი).

ოქრო. ცნობებს ოქროს მსოფლიო მარაგის შესახებ ვკრებთ (ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს 1924 წ. ოქტომბრის წყაროებიდან (ოფიციალურ წყაროებიდან). ეს ცნობები შეეხება შეერთებულ შტატებს და კიდევ 22 მნიშვნელოვან სახელმწიფოს. მთელი ეს ჯამი უდრის თითქმის 8 მილიარდ დოლარს, აქედან შეერთებულ შტატებზე მოდის 40½ პროცენტი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ცნობები, თუ რამდენი ოქროს მარაგია სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში (გარდა არგენტინისა), აზიაში (გარდა ინდოეთისა და იაპონიისა), აფრიკაში (გარდა სამხრეთ-აფრიკის კავშირისა), ბალკანეთის ყველა სახელმწიფოებში (გარდა რუმინეთისა), ამ ცნობებში არ შედის არც საბჭოთა კავშირი. თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ამ სახელმწიფოებს, შეერთებული შტატების ხვედრი ოქროს მსოფლიო მარაგში იქნება უკვე არა 40 პროცენტი, არამედ დაახლოვებით 35 პროცენტი. როგორც ვხედავთ, ეს არღვევს შეხედულებას, თითქოს ოქროს მსოფლიო მარაგის თითქმის ორი მესამედი შეერთებული შტატების ხელში იყოს თავმოყრილი.

საგარეო ვაჭრობა. თვით სკეპტიკურად განწყობილ მაყურებლისთვისაც მეტად საგულისხმო იქნება დამახასიათებელი ცნობები შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობის განვითარების შესახებ. ჩვეულებრივ ჩვენში მაგალითად მოაქვთ შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის უაღრესად განვითარება და ამტკიცებენ, რომ ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა ევროპას სამუდამოდ წაართვა მისი მსოფლიო როლი. ზემოდ უკვე აღვნიშნე, რომ ასეთი შეხედულება შედეგია იმ შთაბეჭდილების, რომელიც შეიქმნა პირველ წლებში ომის შემდეგ, როცა ევროპა ჯერ კიდევ არ იყო წელში გასწორებული. ამჟამად ევროპამ თითქმის უკვე დაიბრუნა თავისი წინანდელი პოზიციები თვით სამხრეთ-ამერიკასთან და აღმოსავლეთ აზიასთან ვაჭრობაშიაც. შეერთებულმა შტატებმა (და იაპონიამ) აქაც ვერ მოახერხეს იმ პოზიციების შენარჩუნება, რომელიც ხელში ჩაიგდეს ომის მომდევნო პერიოდში, როცა ევროპის მეურნეობა უაღრეს ნგრევას განიცდიდა. ერთა ლიგის ოფიციალურ ბიულეტენში, რომელიც ჩვენმა სტატისტიკურმა სამმართველომ გადმობეჭდა, და რომელიც შეეხება 16 უძლიერეს სახელმწიფოს (მათ შორის შეერთებულ შტატებს), ჩვენ ვხედავთ, რომ შეერთებული შტატების წილი საერთო მსოფლიო ექსპორტ-იმპორტში პროცენტების მიხედვით (ოქროთი) გამოიხატება შემდეგში:

	ექსპორტი	იმპორტი
1913 წ.	17,7%	11,4%
1920 წ.	37,6%	34,7%
1924 წ.	23,6%	17,5%

1925 წლის წინასწარი ცნობების მიხედვით, შეერთებული შტატების მიერ იმპერიალისტური ომის დროს დაკავებულ პოზიციებიდან უკუქცევის პროცესი შემდეგშიაც გრძელდება. ხოლო ცნობები რომ მოგვეპოვებოდეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოების და არა მარტო 16 უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოების შესახებ, შეერთებული შტატების მონაწილეობის პროცენტი კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა.

ჩვენ ჯერ-ჯერობით ამით ამოვსწუროთ ილიუსტრაციები. პროლეტარიატს ესაჭიროება არა ეკონომიური რომანტიკა, არამედ სინამდვილის და მისი დინამიკის ფხიზელი ასახვა. ლეგენდა, თითქოს ევროპის ეკონომიური როლი სულ უფრო და უფრო ეცემა, ჩვენს პრაქტიკაში გამოიწვევს სერიოზულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის შეცდომებს—მით უმეტეს, თუ ეს ლეგენდა ჩვენში განმტკიცდა როგორც „სიმბოლო სარწმუნოებისა". ვიტყვი, მაგალითად, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შემცდარი შეხედულება გვექნებოდა ევროპაზე, როგორც ჩვენი საქონლის შესაძლებელ ბაზარზე, როგორც ჩვენი ინდუსტრიალიზაციისა და სხვ. დოვლათის დაგროვების შესაძლებელ წყაროზე საგარეო ვაჭრობის შემწეობით. საერთოდ იმისათვის, რომ დახელოვნებით ვაწარმოოთ მანევრები, ამ მანევრებისათვის საჭირო პირობების შეფასებ უნდა შევუფარდოთ უტყუარ სინამდვილეს და არა წინანდელ წლების მოძველებულ შთაბეჭდილებებს, ან კიდევ სავსებით გასაგებ სურვილს რომ რაც შეიძლება მალე მოვესწროთ ბურჟუაზიულ მსოფლიოს აღსასრულს. ამ აღსასრულისათვის სრულებით არ არის საჭირო სინამდვილის დამახინჯება. სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას სრულებით ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ ევროპის როლი მსოფლიო მეურნეობაში მცირდება.

ი. ლარინი.

სამიწათმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლობის პირველი ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, დღის 1 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს სამიწათმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა.

ყრილობას ესწრება 130-დე დელეგატი.

ყრილობა გახსნა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **გეგეჭკორმა**, რომელმაც ყრილობას მიმართა შემდეგი სიტყვით:

ამხ. გეგეჭკორის სიტყვა

— ამხანაგებო, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედების ორგანოთა წარმომადგენლების პირველ ყრილობას გახსნილად ვაცხადებ.

ჩვენ აქ შეკრებილნი ვართ იმ დარგში მომუშავენი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო თავის ბუნებრივი პირობებით, უმთავრესად და პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, რომ სოფელი სჭარბობს ქალაქს მოსახლეობითაც, წარმოებითი მნიშვნელობითაც,—საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფელს ძალიან ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული, იგი ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას მოკლებული იყო, მისთვის არავინ ზრუნავდა. ამას შედეგად მოყვა ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, მიუხედავათ ბრწყინვალე შესაძლებელ პერსპექტივებისა, დაქვეითების გზას დაადგა, ზოგიერთ რაიონებში მოისპო მთელი რიგი შემოსავლიანი კულტურები, საქონლის რიცხვი შემცირდა, ნათესების სივრცემ იკლო, სხვადასხვა მავნებელთა გავრცელებამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. სოფლის მეურნეობაში თითქმის არავითარი ჩანასახი არ იყო ინდუსტრიალიზაციისა, თითოეული დარგი და მთელი სოფლის მეურნეობა ექსტენსიობის და ზარალის ნიშნით იყო აღბეჭდილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფლისთვის, მშრომელი გლეხობისათვის, რა თქმა უნდა, იმაზე ბევრით მეტი გაკეთდა, რაც ამ დარგში მანამდე იყო გაკეთებული, მაგრამ არა იმდენი, რაც შეეფერება ჩვენი სოფლის მეურნეობის გადამწყვეტ როლს, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საბჭოთა აღმშენებლობის პირველ ხანებში ჩვენ წინ იდგა სხვადასხვა ზოგადი პოლიტიკური ამოცანები, თან ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ჩვენ არ გვეცალა იმისთვის, საშუალება არა გვქონდა იმისი, რომ მთავარი ყურადღება სოფლისკენ მიგვექცია, გაგვეხადა იგი ჩვენი უმთავრესი მზრუნველობის საგნად.

მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ზოგადი ამოცანების გადაწყვეტის შემდეგ, საშუალება გვეძლევა ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ სოფელს, გავხადოთ იგი მუდმივი და განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად, განვავითაროთ ამ მხრივ სისტემატიური, გეგმიანი საქმიანობა.

ამ მუშაობაში ჩვენმა დღევანდელმა ყრილობამ დიდი როლი უნდა ითამაშოს.

ჩვენ აქ შევეხებით ჩვენი სოფლის მეურნეობის უმთავრეს საჭირბოროტო საკითხებს, გავითვალისწინებთ მისი აღდგენა-განვითარების პერსპექტივებს, გაუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს წარსულ გამოცდილებას, ჩვენს შეხედულებას მომავალი საქმიანობის შესახებ.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, რომლის ინიციატივით თქვენ აქ შეკრებილნი ხართ, წარმოგიდგენთ მოხსენებებს სოფლის მეურნეობის, მისი თითოეული დარგის დღევანდელი მდგომარეობის, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უკვე განხორციელებულია ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენის პროცესის გეგმიან კალაპოტში ჩასაყენებლად, გაგაცნობთ იმას, რა გაკეთდა თითოეულს დარგში და რის გაკეთებაა განზრახული შემდეგისათვის.

ჩვენ გავითვალისწინებთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარ ელემენტებს და ფაქტორებს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნის და რეალიზაციის პროცესებს, შევაფასებთ მათ გასაძლიერებელ ღონისძიებათ, შევიმუშავებთ გეგმას გლეხური მეურნეობის ნაწარმოების დამზადებისა და გასაღების რაციონალიზაციისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მათ საქმიანობაში ღატაკ და საშუალო შეძლების გლეხობის ფართო მასის ჩაბმით.

შევეხებით ფინანსიურ საკითხებსაც, ჩვენი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის იმ ნაწილებს, რაც სოფლის მეურნეობას შეეხება, დაგისურათებთ ჩვენი ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად გადადებულ თანხების მდგომარეობას, ამ მხრივ დაშვებულ ნაკლს, მის გამოსასწორებელ კორექტივებს, აგრეთვე ჩვენს საკრედიტო პოლიტიკას და სოფლის მეურნეობის კრედიტის დაწესებულებათა საქმიანობას.

სატყეო მეურნეობის დარგში უნდა გამოვარკვიოთ ტყის დაცვის, მოწყობის, განახლება-კულტურის და ექსპლოატაციის საკითხები, სატყეო ადმინისტრაციის გასაუმჯობესებლად მიმართული ღონისძიებანი. პარალელურად გავეცნობით ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფის საკითხს, იმას, თუ რა გაკეთდა ამ დარგში და რა არის კიდევ გასაკეთებელი.

ცალკე განხილული იქნება შინამრეწველობის საქმის მდგომარეობა ჩვენში, განმარტებული იქნება ამ დარგის მნიშვნელობა, გაშუქებული იქნება საკითხები შინა-მრეწველთა კოოპერატიულად შეკავშირებისა, მათი საქმინობის ხელმძღვანელობის და ნაწარმოების გასაღების მოწყობისა, საამისოდ მოწოდებულ სახელმწიფო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა.

მიწათმოწყობის დარგში უნდა გამოვარკვიოთ საკითხები მიწის მოსარგებლეთა მიწაზე უფლების განმტკიცებისა და მიწების მშრომელ მეურნეთა შორის მიზანშეწონილად და სამართლიანად განაწილებისა. თქვენ წინ გაივლის ამ დარგში უკვე ჩატარებული უჩინარი, მაგრამ რთული და პასუხსაგები მუშაობა მიწათმომწყობ ორგანოებისა, გადაშლილი იქნება მომავალი სამოქმედო გეგმა და შესაძლებლობანი.

პარალელურად გავეცნობით საძოვრების მოწყობის საქმეს, რომელსაც აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში, მესაქონლეობის განუვითარებელ, პრიმიტიულ ფორმების არსებობის დროს.

განვიმარტავთ აგრეთვე საახალშენო საქმის მდგომარეობას, გადაგიშლით ჩვენს უახლოეს პერსპექტივებს ამ დარგში, კერძოდ მელიორაციასთან დაკავშირებით.

ვეტერინალურ-სანიტარულ ზედამხედველობის დარგში დაგისურათებთ ამ დარგის არსებობის დღევანდელ არა-დამაკმაყოფილებელ პირობებს თანხების ნაკლებობისა და ვეტპერსონალის სიმცირის გამო, დაგიხასიათებთ, ამ შევიწროებულ პირობებთან შედარებით, დიდათ ნაყოფიერ მუშაობას, რაც დღემდე განავითარა ჩვენმა ვეტ-ორგანიზაციამ, მის საქმიანობის გასაუმჯობესებლად [illegible] ღონისძიებებს.

დაბოლოს, გაგაცნობთ ჩვენი სახალხო მამულების საქმიანობას, იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებენ ეს მამულები ამჟამად და რომელიც უნდა შეასრულონ მომავალში, განსაკუთრებით გლეხური მეურნეობის რაციონალიზაციის, მისი ნაწარმოების გასაღების მოწყობის საქმეში.

ამასთანავე მოგაწოდებთ ინფორმაციას იმ მუშაობის შესახებ, რაც უკანასკნელ თვეებში დაკვრითი წესით ჩატარდა სახალხო მამულების და, საერთოდ, საბჭოთა მეურნეობათა გადასასინჯად, მათი სივრცის ნაწილის უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლიან გლეხებისათვის გადაცემის მიზნით.

ასეთია, მოკლედ, დღევანდელი ყრილობის სამუშაო გეგმა. ეს გეგმა შეიცავს ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა საჭირბოროტო საკითხს, ითვალისწინებს მის შემადგენელ ყველა ელემენტს, მისთვის მნიშვნელოვან ყველა ფაქტორს, შეეხება როგორც არსებულს მდგომარეობას, ისე მომავალ მუშაობის პერსპექტივებს, სამოქმედო გეგმას.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს დღევანდელ ყრილობას, იმედოვნებს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების დარგში უშუალოდ მომუშავე (ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლების პირისპირ შეხვედრით, მათი ცოდნის, დაკვირვების და გამოცდილების ურთიერთ გაზიარებით შემუშავდება ერთსულოვანი აზრი ჩვენი უახლოესი სამოქმედო გეგმის და პერსპექტივების შესახებ, მიღწეული იქნება მიწათმოქმედების დარგში მომუშავეთა საქმიანობის გაერთიანება, ჩვენი ძალების შედუღება იმ დიდი საქმის გარშემო, რომლისთვისაც მოგვიწოდებს ჩვენი მშრომელი მასა, ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

დიდია, ამხანაგებო, ჩვენი მოვალეობა. [illegible] ამ მოვალეობის შეგნებით და ვეცადოთ ჩვენი ყურადღების გარეშე არ დარჩეს არც ერთი თუნდ სულ მცირედი ნაწილი იმ ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისა, რომელზედაც უნდა აშენდეს მშრომელთა სახელმწიფოს კულტურულ-ეკონომიური აღორძინება. (მქუხარე ტაში).

ამხ. **გეგეჭკორის** სიტყვის შემდეგ ყრილობა შეუდგა საქმიანი ორგანოების არჩევას.

პრეზიდიუმი

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეული იქნენ:

1) ა. გეგეჭკორი, 2) მ. ძამაშვილი, 3) გ. მელაძე, 4) აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, 5) აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, 6) სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, 7) ი. ჯანდიერი, 8) გ. ავალიშვილი, 9) ნ. იოსელიანი, 10) საგეგმო კომისიის წარმომადგენელი, 11) ვაშაძე, 12) გოგილაძე, 13) ბაქრაძე, 14) გედევანიშვილი, 15) ახმეტელი, 16) ქავთარაძე აკაკი, 17) კანდელაკი კონსტანტინე, 18) გიგინეიშვილი, 19) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელი, 20) წარმოკავშირის გამგეობის წევრი, 21) მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელი, 22) მედსანშრომის წარმომადგენელი და 23) ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წარმომადგენელი.

საპატიო თავმჯდომარეები

სტალინი, კალინინი, რიკოვი, სმირნოვი, ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ბუნიატ-ზადე, ერზიკიანი, ალამალი-ოღლი და პროფ. მელიქიშვილი.

სამდივნო

ვ. ბიბილაშვილი, ნადარეიშვილი, ნადარეიშვილი (მიწ. მოწყ. სექცია), მირიანაშვილი, ნ. იაშვილი და ი. ჯაში.

სამანდატო კომისია

გ. მიქაბერიძე, ნ. ბრეგვაძე, ი. მარუაშვილი, გ. ბერიშვილი, პლ. ბურჯანაძე.

სექციები

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, სამიწათმომწყობო და სავეტინარო სექციების შემადგენლობა.

დღის წესრიგი

საქმიანი ორგანოების არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. საქართველოს სასოფლო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.
3. მიწათმოწყობა საქართველოში. თანამოხსენება საძოვრების შესახებ მესაქონლეობის განვითარებასთან დაკავშირებით.
4. [illegible] სატყეო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
5. სავეტერინარო საქმის მდგომარეობა საქართველოში და ეპიზოოტიათა წინააღმდეგ ბრძოლა.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთშორის დამოკიდებულება.
7. სასოფლო-სამეურნეო ადგილობრივი ბიუჯეტი.
8. შინამრეწველობის მდგომარეობა საქართველოში და მისი მნიშვნელობა.
9. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა.
10. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

5 აპრილის დილის სხდომა დაიწყო მოხსენებებით ადგილებიდან.

პირველი მოხსენება გააკეთა სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენელმა ამხ. **სანაკოევმა.**

ამხ. სანაკოევი (სამხრეთ-ოსეთი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამხრეთ-ოსეთში ამჟამად გამოსადეგი მიწების სივრცე უდრის 20.000 დეს., საძოვრები შეადგენენ 40.000 დეს., დანარჩენ სივრცეს კი შეადგენენ ტყეები და გამოუსადეგარი მიწები.

სამხრეთ-ოსეთში თვითეულ სულ მცხოვრებზე მოდის 0,24 დეს. გამოსადეგი მიწა. ეს რაოდენობა, რასაკვირველია, მცირეა რაციონალური მეურნეობის საწარმოებლად. მოსახლეობას სოფლის მეურნეობის გარდა არ შეუძლია სხვა რაიმე საქმეს მოკიდოს ხელი, რადგან სამხრეთ-ოსეთში განვითარებული არ არის მრეწველობა.

საჭიროა გამოსადეგი მიწების გამონახვა ან სასოფლო-სამეურნეო კულტურის გაუმჯობესება; გამოსადეგი მიწების გამონახვაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ასეთები სამხრეთ-ოსეთში არ არის, სასოფლო-სამეურნეო კულტურის გასაუმჯობესებლად კი საჭიროა დიდი თანხები, რაც ჩვენ არ გვაქვს.

სამიწათმომწყობო მუშაობა ოსეთში ვერ არის სათანადოთ დაყენებული, რადგან ამ საქმეზე მუშაობს მხოლოდ 2 მიწისმზომელი; ჯერ-ჯერობით მოწყობილია მხოლოდ ორი სოფელი.

სამხრეთ-ოსეთის სასოფლო მეურნეობაში მთავარი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას, რომელიც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების განმავლობაში საგრძნობლად დაეცა; იგი ვერ ანაღდებს მასზე გაწეულ ხარჯებს.

მესაქონლეობის განსავითარებლად მიღებულია მთელი რიგ ზომები, რომელთა შორის აღსანიშნავია საგრილობელი პუნქტების მოწყობა საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად.

ამხ. კვარაცხელია (აფხაზეთი)

აფხაზეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, რასაც ამტკიცებს საქონლის ექსპორტი აფხაზეთიდან ომამდე; 1913 წელში აფხაზეთიდან გატანილი იყო 12 მილიონი მანეთის საქონელი, აქედან 10 მილიონზე მეტი მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

აფხაზეთში ბუნებრივი პირობების გამო ფართოდ შეიძლება დაყენებული [illegible] ების მოყვანა-მოშენება; ამ მხრივ იქ დიდი მუშაობაა შესრულებული: მოწყობილია სხვადასხვა სანერგეები, გახსნილია სპეციალური ტექნიკუმები და სხვა.

მეორე სხდომა

5 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებები ადგილებიდან.

ამხ. ადიკაშვილი (თბილ. მაზრა).

მაზრაში არის 10 აგრონომიული პუნქტი, რომლებთანაც გაშენებულია ამერიკული ვაზის და ხეხილის სანერგეები. ერთ-ერთ აგროპუნქტს აქვს 25 დესეტინა მიწა, რომელზედაც გაშენებულია ამერიკული ვაზის და ხეხილის ნერგები. ამ სანერგედან გაცემული იყო 100.000 ამერიკული ვაზის ნერგი და 4.000 ხეხილის ნერგი.

სამაზრო სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას აქვს შეძენილი სამი ტრაქტორი, რომლებითაც სწარმოებს გლეხობის მიწების დამუშავება. უღარიბესი გლეხების მიწები იხვნება უფასოთ, ხოლო დანარჩენები იხდიან 10 მანეთს დესეტინის მოხვნაში.

საქონლის ჭირს წელს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მასთან ბრძოლა ნაყოფიერათ დამთავრდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლას საგრძნობლად აფერხებს შრატის და ვეტერინალურ პერსონალის სიმცირე.

ამხ. გოშჩინსკი (ბორჩალოს მაზრა).

სოფლის მეურნეობის განვითარებას ბორჩალოს მაზრაში საგრძნობლად ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის (იარაღების) სიმცირე. მაზრაში არის სულ 5.000-მდე სახნისი და 2.000-მდე გუთანი. ამით ამოიწურება იარაღის რაოდენობა და ეს იარაღები ამავე დროს ძველი სისტემისაა, რის გამო სოფლის მეურნეობა პრიმიტიული წესით მუშავდება.

დიდ გაუგებრობას იწვევს მაზრაში ის გარემოება, რომ მიწის განაწილება ფონდიდან თავის დროზე არ მოხდა წესიერად. მიწის კომიტეტები მიკერძოებას იჩენდენ, რის გამო ხშირია შემთხვევა, რომ ერთ მეურნეს ბევრი მიწა აქვს და ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს ეს მიწა, მეორე კი განიცდის მიწის სივიწროვეს. ამ გარემოებას გამოასწორებს მხოლოდ მიწის მოწყობა.

მწვავეთ სდგას საძოვრების საკითხი. მთიანი ადგილების გლეხობა, რომელიც თითქმის განსაკუთრებით მესაქონლეობას მისდევს, იძულებულია აზერბეიჯანში გარეკოს საქონელი. ეს კი ხელს უწყობს საქონლის ჭირის გავრცელებას. მაგალითად 1925 წელში საქონლის ჭირით დაიხოცა 4.000 სული საქონელი.

ამხ. აირაპეტოვი (სიღნაღი).

აღნიშნავს, რომ საჭიროა ვაზის სათბურების რიცხვის გადიდება და საძოვრების საკითხის მოგვარება. მაზრაში მესაქონლეობა ვერ არის სათანადოთ განვითარებული. საქონლის რიცხვი დიდია (მსხვილფეხა საქონლის რიცხვი მაზრაში უდრის 87.612, წვრილფეხა საქონლის — 506.608 სულს), მაგრამ საჭიროა ზომების მიღება ამ საქონლის რაციონალურად გამოსაყენებლად.

მესაქონლეობის გარდა მაზრაში განვითარებულია მეთამბაქოობა, მებამბეობა, მეფუტკრეობა და სხვა. ყველა ეს დარგები კარგათ არის დაყენებული, განსაკუთრებით მეთამბაქოობა ლაგოდეხის რაიონში.

მაზრაში ჯერ-ჯერობით გადაცემულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები 4.300 დესეტინა, კიდევ გადასაცემია 1.500 დესეტინა.

მაზრაში ამჟამად საქონლის ჭირი გავრცელებული არ არის.

კოოპერაცია

წარმოკავშირში

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „მეტეხი"-ს გამოკვლევა

წარმოკავშირმა მოახდინა მის სისტემაში შემავალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „მეტეხი"-ს გამოკვლევა.

აღნიშნულმა ამხანაგობამ მუშაობა დაიწყო 1924 წლის ზაფხულზე. ამხანაგობის სამოქმედო რაიონს შეადგენს წითელი ქალაქის და მეტეხის თემი, სადაც სცხოვრობს 3035-დე კომლი. რევიზიის დროსათვის ამხანაგობაში ირიცხებოდა 162 წევრი. ამ რაიონის სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგებს წარმოადგენს ხვნა-თესვა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, რომელთა პროდუქტებსაც მრავლად ასაღებს გლეხობა. სავაჭრო პუნქტს წარმოადგენს წითელი ქალაქი, სადაც არსებობს სამომხმარებლო კოოპერატივი და ამხ-ბა „მეტეხი"-ს განყოფილება.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ საქმის წარმოება და ანგარიშის წარმოება ამხანაგობაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. 1925 წლის პირველი ოქტომბრისათვის ამხანაგობას ჰქონდა დარჩენილი 3656 მანეთის საქონელი; მას შემდეგ შემოსულა 7.925 მანეთის საქონელი.

ამხანაგობის სავაჭრო ოპერაციების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ხშირად საქონელი იყიდებოდა გაწეული ხარჯების გაუთვალისწინებლად, რაც ზარალს აძლევდა ამხანაგობას; ამასთანავე თვით მოგების პროცენტი დაბალი იყო. ამიტომ რევიზიამ საჭიროთ დაინახა, რომ ყოველ მოტანილ საქონელს დაეწეროს მის მიტანაზე გაწეული ხარჯები და შემდეგ უნდა დაედვას მოგება. ასე, რომ მისი გასაყიდი ფასი არ აღემატებოდეს ადგილობრივ საბაზრო ფასს.

ამხანაგობას საწყობში აქვს გუთნები, ბარები, ცელები, თოხები, ნამგლები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ამხანაგობას გასული წლის ზაფხულში დაუმზადებია 1227 მანეთის საზაფხულო ხილი. ამის შემდეგ ამხანაგობას დაუმზადებია საზამთრო ხილი—ხოვლეში, ჩოჩეთში, მეტეხში, ნიაბში და სხვაგან—სულ 2748 ფუთი.

ამხანაგობას აქვს საკუთარი საყასბო და სახარაზო, რომლებმაც ამხანაგობას მისცეს მოგება (გასული წლის პირველ ოქტომბრამდე) პირველმა 424 მანეთი და მეორემ—449 მანეთი.

გამოკვლევის შემდეგ მომხდარ არჩევნების დროს ამხ-ბა „მეტეხი"-ს გამგეობაში არჩეული იქნენ გ. მაღალაშვილი, ვ გოგია და ნ. ერემოვი. თავმჯდომარეთ არჩეულია გ. მაღალაშვილი.

კოოპერაცია აჭარისტანში

მუშკოოპი

ბათომის მუშკოოპი დაარსდა პროფსაბჭოს ინიციატივით 1921 წლის 1-ლ ოქტომბერს. პირველ ხანებში იყო ცდა გამოყენებული ყოფილიყო ძველი კოოპერატიული ორგანიზაციების აპარატი, მაგრამ ამ ცდამ დადებითი შედეგი არ გამოიღო.

მუშკოოპის თანდათანობით განვითარებას ამტკიცებს შემდეგი ციფრები: 1924 წლის 1-ლ ოქტომბერს მუშკოოპს ჰყავდა 3.493 წევრი, საპაიო კაპიტალი კი უდრიდა 6.417 მანეთს. 1295 წლის ბოლოს წევრთა რიცხვი ავიდა 4.580-დე, საპაიო კაპიტალი კი გაიზარდა 10.774 მანეთამდე. მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის წევრთა რიცხვი გაიზარდა 5.042-დე, საპაიო კაპიტალი კი 21.450 მანეთამდე ე. ი. საშუალოდ თითო წევრზე 4 მან. 25 კაპ.

ბათომის მუშკოოპში ჩაბმულია პროფესიონალურ ორგანიზაციებში გაერთიანებულ პროლეტარიატის 50 პროც.

„აჭარცეკავშირი"

1924 წლის აგვისტოში ბათომში დაარსებული იქნა აჭარისტანის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი—„აჭარცეკავშირი".

აჭარისტანის ქვედა საფეხურის კოოპერატიულ ქსელში შედის 11 სამომხმარებლო საზოგადოება (მათ რიცხვში ბათომის მუშკოოპიც) და 80 სავაჭრო და საწარმოო წამოწყება—დუქნები, ფურნეები, სასადილოები და სხვა.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის აჭარისტანის კოოპერაცია აერთიანებდა 8.500 საგლეხო მეურნეობას; კოოპერაციის წევრთა შორის არის 469 აჭარელი ქალი.

ახალი მუშაკების მომზადება

აჭარისტანის კოოპერაციის განვითარებას ხელს უშლის მომზადებული მუშაკების სათანადო კადრის უქონლობა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად შარშან ბათომში გახსნილი იქნა კოოპერატიული კურსები, რომელიც დაამთავრა 58 კაცმა.

ამის შემდეგ კიდევ იქნა გახსნილი კურსები სპეციალურად აჭარელ-გლეხებისათვის; კურსები დაამთავრა 24 კაცმა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ აჭარისტანის სხვა და სხვა კუთხეებში.

რემედასის კონფერენცია

პირველი დღე. საღამოს სხდომა.

მოხსენებები ადგილებიდან

პირველ სხდომაზე დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებები გააკეთეს ავტონომიურ რესპუბლიკების საოლქო კომიტეტის და ორი ტიპიური მაზრის წარმომადგენლებმა.

აფხაზეთი. აფხაზეთს ამჟამად ჰქონია რემედასის 105 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 4.745 წევრს. უჯრედთა შორის მუშური უჯრედი არის—27, გლეხური—21, მოსამსახურეთა—40 და მოწაფეთა 10. წევრთა უმრავლესობას (3.965) შეადგენენ უპარტიონი. კომიტეტს განვლილ პერიოდში ჰქონია 5.013 მანეთი შემოსავალი. შემოსავალის უმთავრესი წყაროს წარმოადგენდა საწევრო გადასახადი. შემოსული თანხიდან 2.770 მანეთი გადაუგზავნიათ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში.

აჭარისტანი. უჯრედთა რიცხვი უდრის 69-ს. წევრებისა—8.008-ს; უჯრედთა შორის 17 მუშურია, 10 გლეხური, მოსამსახურეთა—32, სამხედრო—12: პარტიულთა რიცხვი უდრის 1.046-ს, უპარტიოთა—3.300-ს, გაურკვეველი 4.320-ს. კომიტეტის შემოსავალი უდრიდა 8.255 მანეთს. აქედან საწევრო გადასახადი შეადგენს 3.193-ს. დანარჩენი თანხა შემოსულა შემოწირულობით, ლიტერატურის გავრცელებით და სხვ. შემოსავლის თანხიდან საქართველოს რემედასის ცეკაში გადაგზავნილია 4.047 მან.

სამხრეთ-ოსეთი. უჯრედთა რიცხვი უდრის 27-ს. აქედან მუშა-მოსამსახურეთა—11. გლხეთა—16; ყველა უჯრედები აერთიანებენ 600 წევრს აქედან ნახევარს შეადგენენ უპარტიონი. კომიტეტის შემოსავალი შეადგენს 433 მან. აქედან ცეკაში გადაგზავნილია 331 მან.

სიღნაღის მაზრა. (დაწინაურებული მაზრის ტიპი) ამჟამად სიღნაღის მაზრაში არსებობს რემედასის 18 სათემო კომიტეტი, 72 უჯრედი, აქედან 6 მუშურია, 54 გლეხური, მოსამსახურეთა—9, სამხედრო—3; წევრთა რიცხვი უდრის 3.450-ს. მათ შორის უპარტიონი—2.310, პარტიულნი—607-ს კომკავშირელნი—582-ს; მუშები—259, გლეხები—2.400, მოსამსახურეები—671. წითელარმიელები—127; შეკრეფილია—3.658 მან. აქედან ცენტრ. კომიტეტში გადაგზავნილია 3.093 მან. სალაროში ინახება 605 მან.

ახალქალაქის (ჩამორჩენილი მაზრის ტიპი) რემედასის უჯრედების მოწყობა დაიწყო მხოლოდ 1925 წელს. ამჟამად მაზრაში არის 26 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 1.560 წევრს. დღემდე შეკრებილი არის 148 მან.

მეორე დღე. დილის სხდომა

სარევიზიო კომისიის მოხსენება

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელის მოხსენებიდან ირკვევა, რომ რემედასის ცენტრალურ კომიტეტის მუშაკნი მეტად დატვირთულნი ყოფილან საქმეებით, რის გამოც ფერხდებოდა საერთო საქმიანობა. ამავე მიზეზის გამო სათანადოთ ვერ ყოფილა დაყენებული ანგარიშის წარმოება. ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სამეურნეო გადახრა: მის მიერ სხვადასხვა წარმოებათა საექსპლოატაციოთ აღება. სხვებრ, სარევიზიო კომისიას ცეკას მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

კამათი

ადგილებიდან გაკეთებული და ცეკას მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ამხანაგები აღნიშნავდენ საააგიტაციო მუშაობის სისუსტეს სოფლად, ცეკას აპარატის ზომაზე მეტად დატვირთვას, სარევიზიო კომისიის სისუსტეს და აგრეთვე რემედასში ჩაბმულ კომკავშირელთა სიმცირეს. დასასრულ ოპონენტებს პასუხი გასცა მომხსენებელმა ამხ. ჯიჯაძემ.

არჩეულ იქნა კომისიები სოფლად მუშაობისა და საორგანიზაციო მუშაობისათვის თეზისების განსახილველად და დასამუშავებლად.

საღამოს სხდომა

რეზოლიუციის მიღება და თეზისების დამტკიცება

უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი ცეკას მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნობს და ამავე დროს წინადადებას აძლევს მომავლისათვის გააძლიეროს საააგიტაციო აღმზრდელობითი მუშაობა გლეხთა შორის. გარდა ამისა ცენტრალურ კომიტეტს ევალება სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ყველა სარაიონო კომიტეტებსა და უჯრედებში ანგარიშის წარმოების საქმე. მუშაობის ღირსების გასაუმჯობესებლად კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მუშაკთა შტატის გადიდება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

შემდეგ კონფერენცია მუხლობრივ იხილავს და ამტკიცებს კომისიების მიერ წარმოდგენილ თეზისებს სოფლად მუშაობისა და საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

ცეკას პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდება

[illegible] კას პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდება და აირჩია დამატებით 4 ამხანაგი და სამი ამხანაგი სარევიზიო კომისიაში.

კონფერენციამ მისასა[illegible] იჯანის რემედასის ყრილობას და რემედასის საკავშირო ცეკას.

შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს შესახებ*)

საქართველოში შინა-მრეწველობის საქმეს ხელმძღვანელობდა გასაბჭოების შემდეგ მიწსახკომის შინამრეწველობის განყოფილება. აღნიშნული განყოფილება მიზნად ისახავდა არსებული შინა-მრეწველობის დარგების განვითარებას ტეხნიკურის, მხატვრულის და ეკონომიურის მხრივ. ამ მიზნის მისაღწევად განყოფილება რესპუბლიკის ფარგლებში აარსებდა სამოსწავლო-საჩვენებელ ხასიათის სახელოსნოებს, სადაც სწავლობდენ გლეხის ქალები: მაუდების არშიების, აბრეშუმის, ფარდაგების, ხალიჩების ქსოვას და სხვა. მცხეთაში მოწყობილი იქნა საკერამიკო სახელოსნო, სადაც მზადდებოდა საუკეთესო ხარისხის თიხის ჭურჭელი. ქ. თბილისში განყოფილების განკარგულებაში არის მატყლის სართავი ქარხანა და საპრეტურო განყოფილება.

ქარხნის და სახელოსნოების საშუალებით განყოფილება ყოველივე ღონეს ხმარობდა ეკონომიურად გაემაგრებია ეს დარგი. მიუხედავათ იმისა, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს შინა-მრეწველობის განყოფილებისათვის მთავრობისაგან დოტაცია არ ეძლეოდა, იგი მაინც პირნათლად ასრულებდა თავის დანიშნულებას, რის დამამტკიცებელია, სხვათაშორის, სამოსწავლო-საჩვენებელი ხასიათის პუნქტები, დაარსებული განყოფილების მიერ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში (ოზურგეთი, მცხეთა, გორი, ქარელი, ბელევი, დიღომი, ზემო-სვანეთი).

1925 წლის მიწურულში საკავშირო ცაკის სესიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შინა-მრეწველობის დარგების გასაუმჯობესებლად. ამ დადგენილებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა საქართველოს ფარგლებშიაც. დაარსებული იქნა საქართველოს შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც საქ. სახ. კომისართა საბჭოს 1925 წლის დეკემბრის 3-ის დადგენილებით დაევალა:

§ 2. შეასრულოს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა შინამრეწველობის კოოპერაციის კავშირის მოსაწყობად, კერძოდ: ა) მოაწყოს გათავთავადებული შინა-მრეწველობისაგან არტელები, ამხანაგობანი, კავშირები და მათი შენაერთი შინა-მრეწველობის კოოპერაციის საფუძვლებზე; ბ) შეადგინოს წესდება საქართველოს სასარეწაო კოოპერაციის კავშირისა და გ) მიიღოს ღონისძიება წესდების დამტკიცებისა და შინა-მრეწველთა და შინა-მრეწველობის შენაერთთა რწმუნებულების ყრილობის მოსაწვევად სათანადო მმართველი ორგანოების (გამგეობა, სარევიზიო კომისია) ასარჩევად.

§ 3. მუხ. „დ" შეიმუშაოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი შინა-მრეწველთა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და მათი პროდუქციის ღირსებისა და მხატვრული სახის გასაუმჯობესებლად.

მუხ. „ლ". ჩააბას შინა-მრეწველობის მუშაობაში სოფლად უმუშევრად დარჩენილი მუშა ხელი და სოფლის ხელოსნები და ხელი შეუწყოს მათ გაერთიანებას შინა-მრეწველობის კოოპერაციის საფუძველზე და სხ.

ამჟამად საქართველოში შინამრეწველობის საქმეს ორი ორგანიზაცია განაგებს: მიწსახკომის შინამრეწველობის განყოფილება და შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო.

შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის მთავარი ამოცანაა საქართველოს გლეხების შეკავშირება არტელებათ, რათა რაციონალურად გამოყენებული იქნას გლეხების მიერ მიწის დამუშავების შემდგომ დარჩენილი თავისუფალი დრო.

1925 წლის ოქტომბრიდან შეუდგა მუშაობას საორგანიზაციო ბიუროს გამგეობა ნ. აივაზოვის თავმჯდომარეობით. ბიუროს მიეცა გრძელ ვადიანი სესხის სახით 32.000 მან. შინა-მრეწველობის კოოპერაციის დაბალი საფეხურების ძირითადი ერთეულების შესაქმნელად. აღნიშნულ თანხების მიღებისთანავე ბიუროს წევრები ინსტრუქტორის თანხლებით მიევლინენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში შინამრეწველობის არტელების მოსაწყობად, მაგრამ უშედეგოდ. მათ დაათვალიერეს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხე და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველო. გურიაში ბიუროს მიერ დღემდის არაფერი არ გაკეთებულა. ხონის რაიონი, რომელიც ცენტრია დასავლეთ საქართველოს შინა-მრეწველობის, დღემდის „ღვთის" ანაბარათ არის დატოვებული, და ბიურომ ვერ შესძლო ერთი დაზგა გაეგზავნა მთელს რაიონში. ასეთივე მდგომარეობაშია სამტრედია, სენაკი, აბაშა, ზუგდიდი და სხვა, სადაც შესაძლებელია მუშაობა და ნაყოფის მიღებაც. დღემდის ბიურომ ვერ შესძლო მთელს დასავლეთ საქართველოში ჩამოეყალიბებია ერთი შინა-მრეწველობის არტელი. ქ. ქუთაისში ბიუროს გადასცა შრომის კომისარიატმა ერთი საფეიქრო სახელოსნო, რომელშიაც მუშაობა დღემდის თვიური ხელფასით სწარმოებს და ხსენებულ ბიუროს ვერ მოუხერხებია სახელოსნოს არტელად გადაკეთება. აღმოსავლეთ საქართველოში ბიურო შეეცადა შინა-მრეწველობის არტელები დაეარსებია: ქ. გორში, ს. მცხეთაში, ს. ქარელში და თუისში, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო, ვინაიდან ადგილობრივ გლეხობასთან საერთო ენა ვერ გამონახა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება. შინა-მრეწველობას ჩვენში უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ამ დარგის ორგანიზაცია უნდა დაჩქარდეს და ხსენებულ ბიუროს მუშაობა უნდა იქნეს ჩაყენებული სწორ კალაპოტში.

შინამრეწველი

---

*) კამათის წესით.

მილიციის 5 წლისთავისათვის

ცირკულიარულ ა[illegible]

ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კო[illegible]

საქართველოს მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის არსებობის ხუთი წლის თავის დღესასწაულის ჩატარების შესახებ

მიმდინარე წლის 20 აპრილს სრულდება საქართველოს მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის არსებობის ხუთი წლისთავი. 1921 წ. 20 აპრილს გამოქვეყნებულ იქნა წითელი მილიციის პირველი დებულება. ამ დროიდან იწყება მ.-გ. მილიციის მოღვაწეობა საბჭოთა რესპუბლიკის შინაური მტრებისაგან დაცვის საქმეში. მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა შესაძლებლობა შესაფერისად ეზრუნა მილიციის თანამშრომელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რომ მილიციის თანამშრომელთ თითქმის ნახევრად ტიტველნი და მშიერნი უხდებოდათ სამსახურის ასრულება ფრიად ძნელ და პირადი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიშროებაში ჩაგდებით, წითელი მილიცია მაინც შეგნებულად ასრულებდა თავის დანიშნულებას. საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამრღვევთა წინააღმდეგობაში თავი დასდვეს მილიციის თანამშრომელთა საკმაო რიცხვმა. რომლებიც ამშვენებდენ თავისი გმირობით წითელი მილიციის რიგებს. მ.-გ. მილიციას დავალებული აქვს წესრიგისა, საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარაჯობა და ჩვენი ქვეყნის მშრომელ მოსახლეობის უშიშროების დაცვა. ამავე დროს არ არსებობს თითქმის არც ერთი სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელსაც მილიცია არ უწევდეს შესაფერ დახმარებას და თანამშრომლობას. ამრიგად მილიციის მოვალეობა რთულია და მრავალმხრივი, ამასთანავე ის დღითი-დღე უფრო რთულდება და მოითხოვს მილიციის თანამშრომელისაგან ყოველმხრივ მომზადებას.

ყველა ზემოხსენებული მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ მილიციას და კერძოთ შესაფერ მზრუნველობით მივიღოთ მონაწილეობა მილიციის არსებობის 5 წლის თავის დღესასწაულის ჩატარებაში. ამისათვის მიღებული უნდა იქნეს შესაფერი ღონისძიებანი:

1. გამოყავით წარმომადგენელი მილიციის ზემოაღნიშნულ დღესასწაულის ჩამტარებელ ადგილობრივ კამპანიაში დასვით საკითხი და ადგილობრივ აღმასკომების მატერიალურ შესაძლებლობასთან შეფარდებით, გაატარეთ ცხოვრებაში მილიციის თანამშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დარიგდეს დღემდე გაუცემელი ჯამაგირები დღესასწაულისათვის.

ბ) მოხდეს მიუღებელი ტანისამოსის დარიგება.

გ) შეკეთდეს მილიციის დაწესებულებათა შენობები და მილიციონერთა საერთო საცხოვრებელი ბინები (ყაზარმები) და სხვა.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მილიციონერთა შორის სწავლა განათლების საქმის მოგვარებას, რისთვისაც შესაძლებლობის მიხედვით გაიხსნას ერთეულებთან კულტ-კუთხეები და პოლიტ-ცოდნის სკოლები, არსებულები კი გაფართოვდეს და მომარაგებული იქნეს შესაფერი ლიტერატურით.

4. მაზრა-ქალაქის მილიციის სამარქაფო სკოლებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ადგილობრივ მომქმედ ორგანოების მიერ.

5. დღესასწაულის დღეს, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც ეგზავნება დღესასწაულის ჩამტარებელ ადგილობრივ კომისიებს, მოეწყოს შესაფერი საზეიმო სხდომები აუცილებლად მაზრის ცენტრში და შესაძლებლობის მიხედვით მილიციის ყველა ერთეულებში, სადაც მოხსენებით უნდა გამოვიდეს „მილიციის მნიშვნელობისა და მისი მორიგ ამოცანების შესახებ" შესაფერად მომზადებული ამხანაგები.

6. საზეიმო აღლუმზე დაჯილდოვება მილიციის იმ თანამშრომელთა, რომლებმაც გამოიჩინეს განსაკუთრებული სიმამაცე-გამბედაობა და შრომისადმი განსაკუთრებული სიყვარული იმ ჯილდოებით, რომელსაც ადგილობრივ დაგზავნის შინაგან საქმეთა კომისარიატი და რომელსაც დააწესებს ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი
მ. ოკუჯავა.
ცეკას საგიტ-საპროპ. განყ. გამგის მაგიერ: **გორდელაძე.**

მუშათა გლეხთა ინსპექციაში

ფილოქსერისაგან დაღუპულ ვენახების აღდგენა

მუშათა და გლეხთა ინსპექცია ახლო ხანში შეუდგება იმ საკითხის გამოკვლევას, თუ რამდენად კმაყოფილდება საქართველოს მოსახლეობა ვაზის სანერგეებით და რამდენად აღდგენილია საქართველოში ფილოქსერისაგან დაღუპული ვენახები.

ამ ჟამად გამორკვეულია, რომ საქართველოში ძალიან ცოტაა ვაზის სანერგეები, მასზე კი დიდი მოთხოვნილებაა მოსახლეობის მხრიდან.

1926 წლის სეზონისათვის მოსახლეობისათვის დასარიგებელი სანერგეების საერთო რაოდენობა უდრიდა 1.200.000 ცალს, იმ [illegible] მოთხოვნილება მათზე [illegible] ოდენობას.

იმის გამო, რომ [illegible] სადედეები საქართველოში არ იძლევიან სანერგეების საჭირო რაოდენობას, **საქართველოს სახალხო მამულების ტრესტმა საფრანგეთიდან, რიხტერის ფერმიდან, გამოიწერა 8.285 ათასი მეტრი, ვაზი რომელიც უკვე მიღებული და გაგზავნილია მუკუზანში და წინანდალში.** დამატებით შეკვეთილია კიდევ 1.100 ათასი მეტრი ვაზი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა მოახდინოს საკონტროლო გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამორკვეული იქნეს ვაზის საფრანგეთიდან გამოწერის შედეგები და მიღებული სანერგეების განაწილება მოსახლეობის და სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების შორის; გამორკვეული იქნება აგრეთვე ის, თუ რამდენი ვენახები იქნა აღდგენილი 1926 წელში.

საბეითლო საქმე საქართველოში

მესაქონლეობა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია საქართველოს სოფლის მეურნეობაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად დაზარალდა საქონლის ჭირისაგან.

ეპიზოოტიასთან ბრძოლა მიჩნეული იქნა გადაუდებელი მნიშვნელობის ამოცანად. საქართველოს და ა/კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა მოახდინეს მთელი რიგი გამოკვლევები, რომელთა შედეგები უკვე გამოქვეყნებული იყო. ეხლა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საბეითლო დახმარების საქმის მდგომარეობა სოფლად, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონლის ჭირთან ბრძოლაში და მესაქონლეობის განვითარების საქმეში.

საბეითლო დახმარება საქართველოში ვერ არის სათანადო ნიადაგზე დაყენებული. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ თვითეულ ბეითალზე მოდის საშუალოდ 1.267 კვ. ვერსის ტერიტორია, 60 ათასი სული საქონელი და 70-80 დასახლებული პუნქტი. ნორმალურ პირობებში კი თვითეული ბეითალი უნდა [illegible] 10-15 [illegible]

იმ მიზნით, რომ საბეითლო [illegible] სათანადო ნიადაგზე იქნეს დაყენებული საქართველოში, საჭიროა 300 ექიმი—ვეტერინარი პროვინციებში სამუშაოდ და 100 კაცი ცენტრალურ და საქალაქო დაწესებულებებში სამუშაოდ.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია ფიქრობს, რომ ვეტერინარ ექიმების რიცხვის გასადიდებლად საჭიროა სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნას სავეტერინარო ფაკულტეტი, და ისიც უეჭველად 1926-27 აკადემიური წლიდან.

ამ საკითხის შესახებ კოლეგიამ დაადგინა წინადადება მისცეს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს, რათა ამ უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე სახელმწიფო უნივერსიტეტთან სავეტერინარო ფაკულტეტის გახსნის შესახებ 26-27 აკადემიურ წლიდან.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ვეტერინარ ექიმები მეტად მცირე ხელფასს იღებენ, მათ კი მუშაობა უხდებათ ძალიან მძიმე პირობებში (განსაკუთრებით საქონლის ჭირთან ბრძოლის დროს).

მიღებული იქნა დადგენილება, რომ მომავალი საბიუჯეტო წლიდან გაუმჯობესდეს სავეტერინარო პერსონალის მდგომარეობა; რესპუბლიკანურ საშტატო კომისიას დაევალა დაამუშაოს ეს საკითხი.

რკინის გზებზე

ტრანსპორტის მუშაკთა საკავშირო ყრილობისათვის

(საუბარი ამხ. ივანოვთან).

8 აპრილს მოსკოვში იხსნება ტრანსპორტის მუშაკთა საკავშირო ყრილობა, რომელზედაც გაემგზავრა ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ივანოვი.

ყრილობის ამოცანების შესახებ, ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ივანოვმა განაცხადა:

ყრილობა განიხილავს ჩვენი მეურნეობის მთელ რიგ საკითხებს, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო იქნება ორი საკითხი: 1) ტრანსპორტის მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივები და 2) ტრანსპორტის ფინანსიური მდგომარეობა.

უნდა ავღნიშნოთ, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგების სწრაფი ზრდის გამო, ტრანსპორტის მუშაობა თვალსაჩინოდ აღემატება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ მუშაობის ნორმებს. მაგ. საშუალო-დღიური დატვირთვა გათვალისწინებული გვქონდა 21.000 რონოდის რაოდენობით და ფაქტიურად კი, დღეს იგი უკვე აღემატება 25.000 რონოდას. ასეთი მდგომარეობა ცხადია ეხლავე მოითხოვს სათანადო და აუცილებელ ღონისძიებათა გამონახვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიანდაგების და ხელოვნურ ნაშენობათა დიდი ხნით შეუკეთებლობამ და ამასთანავე მოძრავ შემადგენლობის გაცვეთილობამ, ტრანსპორტის ძირითადი თანხა შეამცირა 28 პროცენტით.

ხაზგასასმელია აგრეთვე შეუფარდებლობა მრეწველობის და ტრანსპორტის აღმდგენლობაში, რაც მტკიცდება იქიდანაც, რომ მიმდინარე წელს მრეწველობაში უკვე ჩადებულია 745 მილიონი მანეთი, იმ დროს, როდესაც ტრანსპორტში მხოლოდ 261 მილიონი მანეთი; ომამდე კი მათთვის საჭირო თანხები თითქმის ერთმანეთს უდრიდენ. ყოველივე ზემოდ აღნიშნული გარემოება გზათა მიმოსვლის კომისარიატს მართლაც სერიოზულად აფიქრებს.

აღნიშნულმა ყრილობამ სისწორით უნდა შეაფასოს ტრანსპორტის მდგომარეობა და გამონახოს აუცილებელი საშუალებები მომავალში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

არა ნაკლებ სერიოზულია საკითხი ტრანსპორტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, რომელიც წინანდებურად უცვლელი რჩება.

გადადებულ თანხების ნაკლიბობა და ამასთანავე საბრუნავ საშუალებათა უქონლობა არანორმალურ პირობებს ჰქმნიან მუშაობისათვის და ამის გამო ხშირად იძულებული ვხდებით უარი ვსთქვათ მთელ რიგ აუცილებელ სამუშაოებზე. ამასთანავე შეუძლებელი ხდება ხანგრძლივი სამუშაო გეგმის შედგენაც და ამით ირღვევა მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა.

ყრილობის მუშაობაში საკითხი ტრანსპორტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მიიპყრობს ფრიად სერიოზულ ყურადღებას.

ყრილობის დროს—ამბობს ამხ. ივანოვი, ჩემ მიერ გზათა მიმოსვლის კომისარიატის წინაშე დასმულ იქნება მთელი რიგი საკითხებისა, ა.-კ. რკინის გზების შესახებ, როგ. მაგ.: ზოგიერთ ადგილებში მეორე ხაზების დაგება, მთელ რიგ სადგურებში ლიანდაგების გაგრძელება, დამატებითი ბაქნების გახსნა, ბორჯომის ხაზის გაფართოება, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, თბილისის მთავარ სახელოსნოს გადაკეთება და სხვა ღონისძიებანი, რომელთა გატარებასაც ჩვენ წელს უნდა შევუდგეთ.

რკინისგზების სახელოსნოების პროექტი

ა.-კ. რკ. გზებზე მუშავდება მასალები რკ. გზის ახალ სახელოსნოების აგების შესახებ. ეს მასალები ახლო ხანში განხილულ იქნება გზათა მიმოსვლის კომისარიატში მოსკოვში, სადაც საბოლოოთ გადაწყდება საკითხი იმის შესახებ—საჭიროა ძველი სახელოსნოების გადაკეთება თუ ახლების აშენება.

პარტიული ცხოვრება

უახლოესი ამოცანა

ორიოდე კვირის წინ დამთავრდა ა. ლ. კომკავშირის სრულიად საკავშირო მე-7-დე ყრილობა.

ყრილობამ გარკვეულად და ნათლად დასახა ის გზები, რომლითაც უნდა წავიდეს მომავალში კომუნისტური ახალგაზრდობა. „კავშირის ამოცანა,—სთქვა ამხანაგმა ჩაპლინმა საბოლოო სიტყვაში—თანამედროვე პირობები იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა ახალგაზრდობის ინტერესები სავსებით შეუფარდოთ მთელი სახელმწიფოს ინტერესებს".

კომკავშირის თვითეული ორგანიზაცია და უჯრედი უნდა შეუდგეს ყრილობის დადგენილებათა ყოველმხრივ და დეტალურად შესწავლას, იმისათვის, რომ კავშირის მომავალი მუშაობა ყრილობის მიერ დასახული გზით წავიდეს. ყრილობის დადგენილებათა დაწვრილებით შესწავლა, მისი პრაქტიკული მითითების გამოყენება, ადგილობრივ შესაძლებლობასთან და პირობებთან შეფარდებით, კომკავშირის ორგანიზაციების უახლოეს ამოცანად უნდა გადაიქცეს და ხელი უნდა შეუწყოს მათი მუშაობის გაცხოველებას.

დღეს კავშირის წინაშე მრავალი რთული და საპასუხისმგებლო ამოცანებია წამოჭრილი. შინაკავშირული აღმზრდელობითი მუშაობა, უპარტიო მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობაში, მუშაობა სოფლად, ბრძოლა ახალ ყოფა-ცხოვრების განმტკიცებისათვის და სხვა, უაღრესად ფრთხილ, გეგმაშეწონილ და დაკვირვებულ მიდგომას მოითხოვს. კომკავშირმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს უდისციპლინობას, ყოფა-ცხოვრების მახინჯ მხარეებს, ლოთობას და სხვა, რომელიც მართალია, ჩვენს პირობებში არ ატარებს მასიურ ხასიათს, მაგრამ ორგანიზაციის ფხიზელ და შეუსუსტებელ ყურადღებას მოითხოვს.

კომკავშირის წინაშე სდგას აგრეთვე უდიდესი ამოცანა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის დარგში. ეს მოძრაობა თანდათანობით ფართოვდება და იზრდება. ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფებში დღეს უკვე რამოდენიმე ათეული ათასი მოზარდია ჩაბმული სოფლად და ქალაქად. იშვიათია დღეს ისეთი კუთხე ჩვენში, სადაც პიონერთა საყვირ-დაფდაფით და მათი ჟივილ-ხივილით გაყრუებული არ იყოს არე-მარე. ბავშვთა ორგანიზაციის ზრდა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს კომკავშირის წინაშე საკითხს ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის შესახებ.

ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის ორგანიზაციების წინაშე მრავალი სხვა რთული ამოცანებიც სდგას. ყველა მათ შესრულებას და ორგანიზაციაში სწორი ლენინური ხაზის გატარებას ის მაშინ შესძლებს, თუ საფუძვლიანად შეისწავლის და დაამუშავებს ა. ლ. კომკავშირის საკავშირო მე-7-დე ყრილობის დადგენილებებს.

ადგილებმა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ რეზოლიუცია და ამის მიხედვით უნდა წარმართონ თავისი მომავალი მუშაობა.

ეს არის კომკავშირის უახლოესი ამოცანა.

ი.

ს. ქ. პ. გურიის სამაზრო ორგანიზაციაში

გურიის კომიტეტის პლენუმი

გურიის (ოზურგეთის) სამაზრო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე თემკომების მდივნებთან ერთად, მოსმენილი იქნა მოხსენებები შემოქმედის და ასკანის თემკომების მუშაობის შესახებ და აგრეთვე გარჩეული იქნა პარტორგანიზაციის სხვა მორიგი საკითხები.

შემოქმედის თემკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა თემკომის პ.-მგ. მდივანმა ამხ. ვ. ზარამიძემ.

შემოქმედის თემკომი აერთიანებს 4 კომუჯრედს 32 წევრით და 11 კანდიდატით.

თავის მუშაობის დასაწყისში ჩაატარა უჯრედების ბიუროების გადახალისება. თემკომი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა აგრეთვე წევრებს შორის უდისციპლინობის წინააღმდეგ. თემში ხშირად ხდებოდა უჯრედების ღია კრებები, რომელსაც თემკომი შესაფერის ხელმძღვანელობას უწევდა.

თემის პარტორგანიზაცია უწევს სათანადო ხელმძღვანელობას კომკავშირს, რომელიც თემში აერთიანებს 56 წევრებს და 15 კანდიდატს. არსებობს წარმომადგენლობითი სისტემა კომკავშირის და პარტიის შორის. კომკავშირის უჯრედების პოლიტწრეებში ჩაბმულია 30 კომკავშირელი. უჯრედებში არსებობს აგრეთვე პოლიტკითხვის წრეები. საანგარიშო ხნის განმავლობაში ხდებოდა კომკავშირის და პარტიის უჯრედების გაერთიანებული კრებები. კომკავშირელებს შორის დისციპლინა მოისუსტებს, რასაც თემკომის მხრივ სათანადო ყურადღება ექცევა. ქალთა შორის მუშაობა გამოიხატა შემდეგში: იყო ჩატარებული კამპანიები ქალთა სადელეგატო კრების დაარსების შესახებ. ამჟამად დელეგატთა კრება აერთიანებს 30 დელეგატ ქალს, მათ შორის 4 მასწავლებელია, დანარჩენი კი გლეხი ქალებია, ტარდება მათ შორის მეცადინეობა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების შესახებ, რაც დიდ ინტერესს იწვევს.

რაიკომის არსებობის დროს თემის საბჭოებსა და აღმასკომებს რაიკომები ვერ უწევდენ შესაფერის ხელმძღვანელობას, რადგან ისინი ვერ სწვდებოდენ მას. თემკომების დაარსებით პარტორგანიზაცია დაუახლოვდა მათ მუშაობას და ამ უკანასკნელ ორ თვეში პარტხელმძღვანელობა აღმასკომზე გაძლიერებულ იქნა, ასევე ითქმის სოფლის საბჭოს გლეხკომის შესახებაც.

თემში არსებობს პიონერთა კოლექტივი, რომელიც კარგათ მუშაობს. პიონერები იწერენ თავის გაზეთს 40 ცალს, უშვებენ ხელთნაწერ ჟურნალებს და სხვა.

შემოქმედის თემში არსებობს ორი ქოხ-სამკითხველო, რომლების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

არსებობს რემედასის და ავიოქიმის უჯრედები, პირველი აერთიანებს 80 წევრს მეორეში კი 50 წევრია.—მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

თემკომი აქცევს განსაკ. ყურადღებას პარტიაში უღარიბეს გლეხების მიღებას.

ასკანის თემკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა თემკომის პ/მგ მდივანმა ამხ. ნ. ქერქაძემ თემკომმა მუშაობა დაიწყო 1925 წ. დეკემბრიდან. თემში არსებობს ერთი უჯრედი, რომელიც აერთიანებს 17 წევრებს და 9 კანდიდატს. კომკავშირის მუშაობა კარგად მიმდინარეობს კომკავშირლებს უპარტიო მასაში კარგი გავლენა აქვთ.

თემის აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

არსებობს ქალთა სადელეგატო კრება, რომელიც აერთიანებს 30-მდე დელეგატ ქალს; „რემედასს"-ის უჯრედი არსებობს ორი. ისინი აერთიანებენ 100 წევრს. ამ უკანასკნელ დროს ჩამოყალიბდა ავიოქიმის უჯრედი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა კარგად მიმდინარეობს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნახევარი აკრეფილია და ასეთები გლეხებს სისტემატიურად შემოაქვთ. გლეხკომი თემში კარგად მუშაობს, გლეხკომს აქვს სახარაზო, სამჭედური. გლეხკომი ამზადებს არაყს, აქვს აგურის და კრამიტის ქარხანა, სკოლების საკითხი თემში მოგვარებულია.

პარტიაში იანვრის განმავლობაში მიღებულ იქნა 9 ამხანაგი, თებერვალში კი 4 ამხანაგი.

პლენუმმა დაავალა საორგანიზაციო კოლეგიას გამოიმუშაოს პრაქტიკული დირექტივები მომავალი მუშაობისათვის და დაუგზავნოს თემკომებს. შემდეგ პლენუმმა გაარჩია საკითხი მაზრაში რევოლიუციონურ კანონიერების გატარების შესახებ, და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

1) სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს გაფლანგველებს.

2) დაევალოს სათანადო ორგანოებს ჩაატარონ მოხსენებები სოფლებში რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ,

3) მიღებულ იქნეს ზომები ქოხ-სამკითხველოებთან იურიდიული ბიუროების მოსაწყობათ.

4). თემაღმასკომებს ამხენისუვოთ სუვო-მები ლიტერატურით რევოლიუციონური კანონიერების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის საკონტროლო კომისიაში

პარტიის ცალკე პრობლემების შესწავლა

მეთოთხმეტე პარტყრილობის დადგენილებათა განხორციელების მიზნით ცენტრალური საკონტროლო კომისიას განზრახული აქვს შემდეგი პარტიული პრობლემების შესწავლა: შინა პარტ. დემოკრატიის შესახებ, სასოფლო და სათემო უჯრედების მუშაობის შესახებ, კოოპრაციის, გლეხკომებისა და საბჭოთა არჩევნების ხელმძღვანელობის დარგში, კერძოთ პარტიული დირექტივების შესრულების გამოკვლევა: უღარიბეს გლეხთა არჩევნების წინასწარ კრებების შესახებ, იმ გლეხ კომუნისტების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მუშაობენ მეურნეობაში და გააუმჯობესეს ეს უკანასკნელი, კომკავშირის მდგომარეობის შესახებ სოფლად და ქალაქად, კომკავშირის ორგანიზაციების ურთიერთობის შესახებ შესაფერის პარტორგანიზაციებთან, კომკავშირის სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ, პარტუჯრედების, საქარხნო კომიტეტების და ცალკე კომუნისტების (სამეურნეო და პროფესიონალურ დარგში და დაზგასთან მომუშავეების) მუშაობის გამოკვლევა ფაბრიკა-ქარხნებში და დაბოლოს, კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების დატვირთვის შესწავლა.

ყველა ზემოაღნიშნულ საკითხებზე შედგენილია სამუშაო პროგრამები, რომლის მიხედვით იწარმოებს პრობლემების შესწავლა ადგილობრივ საკონტროლო კომისიების მიერ.

გამოკვლევა მოხდება 29 გუბერნიაში, 14 ოლქში და 10 რესპუბლიკაში. გამოკვლეულ იქნება 572 უჯრედი, მათ შორის 259 ქალაქის და 313 სოფლის.

სამაგალითო თემკომი

(გურჯაანი)

სიღნაღის მაზრის პარტიულმა კომიტეტმა აიღო მტკიცე ხაზი პარტიის ქვედა ორგანიზაციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

თემკომის მდივნების, ბიუროს წევრების და უჯრედების სისტემატიური თათბირების მოწვევით, მაზრიდან ცოცხალი და წერილობითი კავშირის გაძლიერებით და სხვა საშუალებებით სიღნაღის მაზრის ორგანიზაციის მუშაობა თავის სიმაღლეზე არის დაყენებული.

გურჯაანის თემკომი სიღნაღის მაზრის ორგანიზაციაში წარმოადგენს სანიმუშო თემკომს, რომელიც სწორად ატარებს ყველა ორგანოების და გლეხობის მიმართ პარტიის და ხელისუფლების ხაზს. საბჭოთა არჩევნებმა გურჯაანის თემში დაამტკიცა, რომ არჩევნების მოსამზადებელი ორგანიზაციული მუშაობა თემკომის მიერ სათანადო სიფრთხილით და სერიოზობით იყო წარმოებული.

რაც შეეხება წმინდა პარტიულ მუშაობას, ისიც შესაფერის დონეზეა დაყენებული. სისტემატიურად ხდება უჯრედების კრებებიც კრებების დღის წესრიგი სათანადოთ არის შერჩეული. უჯრედების ერთიან პარტიულ დღისათვის, თემკომი დროზე აწოდებს დღიურ წესრიგის მასალებს. გურჯაანში ყველა უჯრედებში დამთავრებულია მოძრავ-პოლიტსკოლებში მეცადინეობა და ამჟამად უჯრედებთან მოწყობილია თვითგანვითარების წრეები, რომელსაც კომუნისტი მასწავლებელი ხელმძღვანელობს თემკომის ინიციატივით თემში სავსებით აკრეფილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

გურჯაანის თემის უჯრედების ღია კრებები ხშირად ეწყობა, რომელსაც მრავლად ესწრებიან უპარტიო მშრომელი გლეხები.

უჯრედებს აგრეთვე აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი უპარტიო აქტიური გლეხები და იწვევენ მათ სისტემატიურად უჯრედების ღია კრებებზე.

უპარტიო აქტიურ გლეხების აღრ.-ცხვამ უჯრედების ღია კრებებში ჩაბმის მიზნით ხელი შეუწყო კავშირის განმტკიცებას უპარტიო ღარიბ გლეხებსა და პარტიის შორის. ორგანიზაციის ზრდაც მოწესრიგებულია.

პარტიის წევრებში ადგილი არა აქვს უდისციპლინობას და უმოქმედობას. უჯრედის ყველა წევრს აქვს დავალებული საქმე, ასე, რომ პარტიულ სამუშაოს მთელი პარტიული მასა ასრულებს.

ა. მ.

პროფკავშირებში

საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიების შესახებ

ჩვენი ს[illegible] დეფექტებად [illegible], რომ ისინი საკმაო უნარს ვერ იჩენენ მუშათა ნამდვილ ინტერესების და კანონიერ უფლების დაცვის საქმეში, უნდა ჩაითვალოს შემდეგი: 1) ხშირად შემფასკომები ითვისებენ ადმინისტრატიულ ფუნქციებს: (როგორიცაა მაგალითად, პერსონალური განაკვეთების დანიშვნა, სატარიფო ხარისხების მომატება, მუშა-მოსამსახურეთათვის საყვედურის გამოცხადება, გაფრთხილება და სხ.), 2) ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც შემფასკომის მუშათა ფრაქცია უშუალოდ აყენებს ამა თუ იმ მუშის დათხოვნის, ან შტატების შემცირების საკითხს მაშინ, როდესაც თვითონ ადმინისტრაცია ამა თუ იმ მუშის დათხოვნის ან და შტატის შემოკლების წინააღმდეგია; არის ასეთი მაგალითიც: ადმინისტრაციას სურს მისცეს მეტი ხელფასი, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია კი ამის წინააღმდეგ ილაშქრებს; 3) შემფ.-საკონ. კომისიის ოქმებში ხშირად ვკითხულობთ ისეთ დადგენილებებს, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან შრომის კანონმდებლობას და კოლექტიურ ხელშეკრულების ძირითად დებულებებს, და ეს ხდება მაშინ, როდესაც შემფასკომს უპირველეს ყოვლისა ევალება კოლექტიურ ხელშეკრულების ძირითად დებულებათა და ყველა მუხლების ცხოვრებაში სწორად გატარებაზე თვალყურის დევნება და მათი დარღვევის ნიადაგზე აღმოცენებული ყოველგვარი კონფლიქტების მოგვარება და სხ.

[illegible] მუშათა მასებში იწვევს სამართლიან საყვედურს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მიმართ.

ჩვენმა შემფასკომებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეითვისონ და შეისწავლონ, რომ მათ ევალებათ მხოლოდ ერთი რამ—მუშათა ეკონომიური ინტერესების და მათი როგორც დაქირავებულების, ყოველგვარი კანონიერ უფლების დაცვა არსებულ შრომის კანონმდებლობის და განსაკუთრებით კი ადმინისტრაციასთან დადებულ კოლხელშეკრულების ფარგლებში.

ამისათვის კი საჭიროა შრომის კანონთა და კოლხელშეკრულების ზედმიწევნით შესწავლა და ცოდნა. ამაში კი მათ ხელი უნდა შეუწყონ ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა და შრომის ინსპექტორებმა,—შემფასკომებისათვის სათანადო კურსების გახსნით, მათთვის საჭირო ინსტრუქციების მიწოდებით და მუდმივი ხელმძღვანელობით.

აგრეთვე მიზანშეწონილი იქნება, რომ ყოველ კავშირში დროგამოშვებით მაინც იმართებოდეს კითხვა-პასუხის საღამოები შრომის კანონისა და შრომის კანონიერად დაცვის შესახებ.

შრომის დაცვის უმაღლესმა ორგანოებმა უნდა გაუწიონ მათ უშუალო ხელმძღვანელობა; ხშირად უნდა ხდებოდეს შემფასკომების მუშაობის გამოკვლევა-შეფასება. თვით ფაბრ-ქარხკომებმა და ადგილკომებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება შემფასკომის მუშათა ფრაქციის მუშაობას და ასწავლონ მათ მუშათა ინტერესების და კანონიერ უფლებების დაცვა.

სხივი.

სენაკის ტრანსპორტელთა სამაზრო განყოფილებაში

კავშირი აერთიანებს 150 წევრს—(მამაკაცებს).

სამაზრო გამგეობა არჩეულია 1925 წლის 23 ოქტომბერს, შესდგება 9 კაცისაგან, რომელთა შორის 5—პარტიულია, 3—უპარტიო, კომკავშირელი—1.

ტეხნიკური მომუშავე კავშირს არა ყავს. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ნორაკიძე თვით აწარმოებს ყველა მიმდინარე საქმეებს. წარმოება დაწესებულებებში კავშირს აძლევენ 2 პროც. ადგილკომის შესანახი თანხას და კულტფონდისათვის, რომლის საშუალებით მუშაობს თვით განყოფილება.

განყოფილებასთან არსებობს—კულტკომისია, შრომის დაცვის კომისია, საკონფლიქტო-შემფასებელი კომისია, საწარმოო-საეკონომიო

კომისიებში მუშაობა დანაწილებული აქვთ გამგეობის წევრებს, აგრეთვე მუშაობაში ჩაბმულნი არიან კავშირის სხვა წევრებიც.

საერთო კრება ხდება თვეში ერთხელ. კრებას ესწრება 70—80 პროც. კავშირის წევრებისა.

ტარდება კომპანიები: „რემედასის", „წერკუმის", კლუბის წევრად ჩარიცხვის და სხ.

განყოფილების გამგეობის სხდომა ღიაა. სხდომას ხშირად ესწრებიან გამგეობის არა წევრებიც.

გამგეობის სხდომა იმართება კვირაში ერთ ხელ.

მუშაობა სწარმოებს წინასწარ შემუშავებულ სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სამაზრო გამგეობა და პროფბიურო.

საწევრო გადასახადების ასაკრეფად არსებობს ამკრეფთა არჩეული კომისია.

საწევრო გადასახადების შეტანა ინდივიდუალურია.

საკავშირო თანხის გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია.

გამგეობასთან არსებობს უჯრედი: „რემედასის", „წერკუმის" და სხვა.

სარევიზიო კომისია ყოველ სამ თვეში ატარებს გამგეობის რევიზიას.

კავშირის წევრები ყველა კოოპერატივის წევრებია.

ურთიერთ დამხმარე სალარო

არსებობს ურთიერთ-დამხმარე სალარო, სადაც წევრებად ითვლებიან კავშირის ყველა წევრები.

დამხმარე სალაროს ყავს სალაროს ბიურო, რომელიც უშუალოდ განაგებს ურთიერთდახმარების საქმეს. მაქსიმუმი დასახმარებელი თანხისა განსაზღვრულია 10 მანეთით.

კულტმუშაობა

138 კაცი იწერს გაზ. „მუშა"-ს, 4 კაცი იწერს „ზარია ვოსტოკას".

კლუბის წევრებად ითვლებიან აბაშასა და სენაკში სულ 88 კაცი.

საკლუბო მუშაობაში კავშირის წევრები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას სექციების და კომისიების მოქმედებაში.

არსებობს ორი პროფწრე—28 კაცით.

წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლებში—43 კაცი ითვლება.

არსებობს სამ ალაგას სამკითხველო, სადაც ხდება გაზეთების ხმამაღლა კითხვაც.

კულტკომისია, რომელიც განაგებს კულტ-მუშაობას რეგულიარულად იკრიბება და ხელმძღვანელობს მთელ მუშაობას.

იცემა კედლის გაზეთი.

ფიზკულტურის წრეში 12 კაცი მონაწილეობს.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა

სატარიფო-საეკონომიო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კომისია სცდილობს გაადიდოს მუშების ხელფასი და ადგილი არ ექნეს ტარიფების დაწევას.

დადებულია კოლხელშეკრულება ეხლა და სხვა. სამ სამეურნეო ორგანიზაციებთან ძირითადი განაკვეთი უდრის 16 მ. 50 კაპ.

ყველა მუშა-მოსამსახურე დაზღვეულია.

შრომის დაცვა

ზედმეტი მუშაობა არის შოფერებში, მაგრამ ისინი იღებენ 50 პროც. ზედმეტ გასამრჯელოს. დანარჩენებთან დაცულია 8 საათის სამუშაო დღე.

ბ. უჩანეიშვილი.

შრომის კანონების დარღვევას ბოლო უნდა მოეღოს

(ქუთაისის შრომის ინსპექციის მასალებიდან). I.

ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს დავალებით ა. წ. 28 თებერვალს შრომის ინსპექტორი ამხ. ვ. მეძმარიაშვილი გაემგზავრა მაზრაში ქუთაისის მაზრის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსარკვევად შრომის დაცვის დარგში. რევიზიამ გამოარკვია შემდეგი:

ვარციხის სახალხო მამული

აქ მუშაობს 57 მუშა და მოსამსახურე. მათი მუშაობა გამოიხატება ღვინის, სპირტის და კონიაკის დამზადებაში. ნაწილი მუშებისა კი მუშაობენ გარედ, ე. ი. აშენებენ ვენახებს, უვლიან ტყეებს და სხვ.

აღნიშნულ მამულში შრომის კანონების დარღვევას სისტემატიური ხასიათი ჰქონია, რაც გამოიხატება შემდეგში: 1) კანცელარიაში ოფიციალურად შემოღლოთ 10 საათის სამუშაო დღე (რა თქმა უნდა, შრომის ინსპექციის ნებადაურთველად); ზედმეტ საათების მუშაობისათვის თანამშრომლები ზედმეტ ჯილდოს არ ღებულობდენ. მეეტლეს, მეჯინიბეს, ტყის მცველებს, ღამის დარაჯებს სპეცტანსაცმელი არ მიუღიათ წელს; ესენი კვირა დღესაც მუშაობენ.

ამავე მამულის განყოფილებას წარმოადგენს აფხანაურის კონიაკის და სპირტის ქარხანა, სადაც შრომის კანონები თითქმის 90 პროცენტით დარღვეული აღმოჩნდა. მაგალითად,—იქ მუშაობენ ორ წყებად. ყოველი წყება 12 საათს. შრომის ინსპექციის დაუკითხავად; ზედმეტ საათებისას ღებულობენ ერთმაგ ჯამაგირს, აგრეთვე კვირაც სამუშაო დღეთ ითვლება.

რაც შეეხება თვით მამულის მდგომარეობას, იგი ასეთია: წარსულ 25 წლის მოსავალი დამაკმაყოფილებელი იყო და აგრეთვე ადგილობრივ გლეხობიდანაც შეიძინეს ბლომად ყურძენი, რის საშუალებითაც დასწურეს 3.000 ვედრო ღვინო და 7.000 კონიაკი. ორივეზე მოიგეს წელს 150—200 პროცენტამდე (ვედრო ღვინო დაუჯდათ 1 მ. 80 კ., ხოლო გაიყიდა 4 მანეთად). მამულის ნაწარმოებს ფართო ბაზარი აქვს შეტად დამაკმაყოფილებელი ფასებით.

ბაღდათის მამული

[illegible] მუშებით, ასს მუშა-მოსამსახურეს, რომლებიც დაბანდებულია კოოპერატივში, აღმასკომში, საავადმყოფოში, სასამართლოში, ფოსტაში და წაბლარას ხევის სახერხ ქარხანაში.

აღნიშნულ დაწესებულებებში შრომის კანონები ირღვევა მუხლები: 29—141—65—94—109-ით.

თვით წაბლარის ხევის სახერხი ქარხანა ბაღდათიდან დაცილებულია 7 ვერსით, აქ მუშაობს 55 მუშა; ზედმეტ საათებით მუშაობას ადგილი არ აქვს, მაგრამ აქ არ არის აფთიაქი, რაც აუცილებელია ხსენებულ რაიონში. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ბაღდათის თემში აღმასკომს არ ჰყავს აღრიცხვაზე აყვანილი მოჯამაგირეები და არც ხელშეკრულება აქვს დადებული დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის, რის გამოც მოჯამაგირეების შრომის პირობები სრულებით არ არის დაცული.

სამტრედიის რაიონი

ეს რაიონი აერთიანებს 1265 მუშა-მოსამსახურეს საჭილაოს სახერხ ქარხნის მუშების გამოკლებით, რომლებიც ამ ჟამად სამტრედიას შეუერთეს, აღნიშნული მოსამსახურეები დაფანტულია რაიონის სხვა და სხვა კუთხეებში. ამის გამო შრომის კანონების გავრცელება აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეებზე ძნელია.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ ირღვევა სისტემატიურად **შრომის კანონების მუხლები: 94—29—65—141** [illegible] სასწავლებლებში, ისე აღმასკომში, სასამართლოში და კოოპერატივში. რაც შეეხება კერძო დარგებში მომუშავეთ, აქ—ყოველ მხრივ შრომის კანონები ირღვევა, რადგანაც ადგილობრივი აღმასკომი და მილიცია სავალდებულო დადგენილებებს არ ატარებენ ცხოვრებაში, რის გამოც სარძლოსნო, სავაჭროები მუდამ ღიაა.

ხონის რაიონი

ეს რაიონი აერთიანებს 500—600 მუშა-მოსამსახურეს, მათი შრომის პირობები ისეთივეა, როგორც სამტრედიაში. ხონში არსებობს ინდუსტრიალურ-მექანიკური ტეხნიკუმი, სადაც 24 მუშა-მოსამსახურეა. ტეხნიკუმში არსებობს სამი განყოფილება: 1) ხეზე მომუშავეთა სახელოსნო, 2) ლითონზე მომუშავეთა და 3) ტანთსაცმელების სამრეცხველო, სადაც ჩაბმულია—1-ში 14 შეგირდი, მე-2-ში 24 შეგ. და მე-3-ში 34 შეგირდი. ესენი არ არიან დაზღვეული და არ ღებულობენ ხელფასს, რაც ყოვლად დაუშვებელია შრომის კანონიერების თვალსაზრისით.

შრომის კანონების ასე სისტემატიურად დარღვევას უნდა გამოუცხადონ სასტიკი ბრძოლა ჩვენმა პროკურატურამ, შრომის სახკომატმა და უმაღლესმა პროფორგანოებმა.

კ. ჩ.

პროფმუშაობის ქრონიკა

სამთო-მადნო მუშაკთა კავშირში

კულტურულ მუშაობის გაცხოველებას კავშირის წევრთა შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. არსდება წითელი კუთხეები, სხვა და სხვა წრეები და მრავალი სხვა კულტურული დაწესებულებები. ამ ჟამად კავშირს 4 კლუბი აქვს. ბიბლიოთეკა-სამკითხველოები ჩინებულად არის მოწყობილი. ბიბლიოთეკაში მოიპოება პოპულიარულ ენაზე დაწერილი დიდძალი ლიტერატურა. წიგნებით სარგებლობენ მუშები და ეძლევათ სახლში წასაკითხავად.

ადგილებზე მუშათა კლუბების მუშაობა მოისუსტებს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად კავშირის მიერ მიღებულია ზომები.

კლუბის წევრთა რიცხვი საგრძნობლად მატულობს. ამ გარემოებამ ბუნებრივად დააყენა საკითხი მასიური მუშაობის გაფართოებისა და გაძლიერებისა. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში წაკითხული იყო 16 ლექცია და მოხსენება, გაიმართა 8 საჯარო ბაასი, მოეწყო აგრეთვე წარმოდგენები, ბავშვთა საღამოები და სხვა.

კულტურული მუშაობა მარტო ამითი არ ამოიწურება. მიღებულია ზომები კავშირის წევრების საკავშირთაშორისო პროფესიონალურ წრეებში სამეცადინოდ.

ამ ახლო ხანში კავშირთან განზრახულია მოეწყოს თვითგანვითარების წრე, რომელიც მუშებს ბევრ ახალ ცოდნას შესძენს.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ა.ი. წლის თავზე ჩვენს კავშირში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნება.

— **იურიდიული დახმარებები.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირებმა ნება დართო დაამტკიცოს თბილისის, ლენინაკანისა და ბაქოს საუბნო პროფკავშირების შტატში თითო იურისკონსული მუშებისათვის იურიდიულ დახმარების გასაწევად

— **დათვალიერება.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა დაადგინა მოახდინოს სამხრეთის უბნის საარიცხვო სტატისტიკური საქმის დათვალიერება.

— **სახელმძღვანელოები.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა დაუგზავნა საუბნო პროფკავშირებს სახელმძღვანელოები საკლუბო და კულტურული მუშაობის წარმოების შესახებ.

— **მასსიური ხასიათის წიგნები.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირ. დაადგინა შეისყიდოს პროფესიონალური და მასსიური ხასიათის წიგნები ვაგონ-ბიბლიოთეკების მოსაწყობად.

— **სავაჭრო ფარდულები.** „ზაკტპო"-ს გამგეობამ დაადგინა გახსნას სავაჭრო ფარდულები სადგ. ჯულფაში, ნორაშენში, სარდარაბადში, შაგალაში, ახტალაში და აირუმში.

მეზღვაურთა კავშირში

— **კავშირის მეორე პლენუმი.** მეზღვაურთა კავშირის მეორე პლენუმი მოწვეული იქნება ქ. ბათომში 6 აპრილს. დღიურ წესრიგში, სხვათა შორის სდგას საბინაო საკითხი და ნავთსადგურის ა.-კ. სამმართველოს მოხსენება.

— **კურსები ფოთში.** მეზღვაურთა კავშირი პროფკურსებს აარსებს ქ. ფოთში.

— **მეზღვაურთა კომიტეტის გადარჩევა.** მეზღვაურთა კომიტეტების გადარჩევა დაიწყება მეზღვაურთა კავშირის მეორე პლენუმის შემდეგ (6 აპრილის შემდეგ).

ჭიათურის სამპროფბიუროში

— **ჭიათურის სამპროფბიუროს პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები.** მოხდა ჭიათურის სამპროფბიუროს წევრთა არჩევნები. პრეზიდიუმში სხვათა შორის არჩეული არიან ამხ. ხ. ხვედელიძე და აბელ თოდრია..

ხელოვნების მუშაკთა კავშირში

— **სახალხო არტისტის სახელწოდების მინიჭების შესახებ.** ხელოვნების მუშაკთა კავშირის ც. გ. დაავალა კავშირის კულტგანყოფილებას შეიმუშაოს წესები, თუ რა პირობებში უნდა მიენიჭოს არტისტს სახალხო არტისტის სახელწოდება.

— **დემინენკოს იუბილე.** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა დააკმაყოფილა არტისტ—დემინენკოს განცხადება მისთვის იუბილეს გამართვის შესახებ.

—**კომპოზიტორ არაყიშვილის და ხტოლერმანისთვის იუბილეს გადასახდელად** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა სთხოვა კომპოზიტორ არაყიშვილსა და ხტოლერმანს ადგილკომის საშუალებით შემოიტანონ განცხადებები, მათთვის იუბილეს გამართვაზე.

— **უმუშევარი წევრების გასაგზავნად.** თავიანთ სამშობლოში უმუშევარ წევრების გასაგზავნად, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა საღამოებს გამართავს.

განათლების მუშაკთა კავშირში

— **საწარმოო თათბირების მოსაწყობად.** განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. გადასწყვიტა მოაწყოს საწარმოო თათბირები.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გამგეობაში

— **დახმარება უმუშევრებს.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი შეუდგა მარტის თვის დახმარების გაცემას უმუშევრებზე.

ბორჯომის პროფბიუროში

— **ბორჯომის პროფბიუროს პლენუმმა** დაადგინა, დაცულ იქნეს მტკიცედ პროფ-დღე კავშირში ე. ი. წესიერად ყოველ კვირა უნდა იწვევდენ გამგეობის სხდომებს.

— **ხელშეკრულების დასადებად.** ბორჯომის სამპროფბიურომ წინადადება მისცა ადგილობრივ მიწა-ტყის კავშირის მდივანს, კოლექტიური ხელშეკრულება დასდოს მიწა-ტყის კავშირის ქალთა წევრების დამქირავებელთან.

— **საუბნო კონფერენციები.** აპრილში ჩატარდება საუბნო კონფერენციები რკინისგზელებისა ყველა იმ უბნებში, სადაც ასეთები არ ჩატარებულა,—კონფერენციებზე მოხდება საუბნო კომიტეტების გადარჩევები.

— **მეორე ვაგონი—სამკითხველო.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირს განზრახვა აქვს მოაწყოს საქართველოს ხაზზე მეორე ვაგონი-წიგნთსაცავი ხაზის მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად.

— **მასალებს ითხოვენ.** წევის დარგის მესამე უბნის საწარმოო თათბირმა მიმართა წევის სამსახურს დროზე მიაწოდოს უბნის სახელოსნოებს შემდეგი მასალები: რონოდების გადასაბმელი ჯაჭვები, რონოდების დრიკები, ჭანჭიკები, მუხრუჭები, მაშუქები და სხვა.

— **ყაზარმების აღჭურვა.** ბათომის საუბნო კომიტეტმა მიმართა ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს აღჭურვოს სათანადო ინვენტარით რკინისგზელების საცხოვრებელი ყაზარმები მთელ უბანში.

— **თავისუფალი ასისტენტი.** ბათომის საუბნო კომიტეტმა მიმართა ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს გამოყოს შრომის ინსპექტორის განთავისუფლებული ასისტენტი ბათომის უბანში.

საბჭოთა საქართველო

ახალდაბის სახერხი ქარხნის გაფართოება

ბორჯომი, 5 აპრილი. 15 აპრილს იხურება ბორჯომის სახერხი ქარხანა. ამ ქარხნის დაზგები გადატანილ იქნება ახალდაბის ქარხნის გასაფართოებლად.

სარკინისგზო აღმშენებლობა

ბორჯომი, 5 აპრილი. დამთავრდა რკინის-გზის გაყვანა ბორჯომსა და ბორჯომ-პარკს შუა.

სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა მდინარე ბორჯომზე რკინის-ხიდის ასაგებად.

სოფლის ტრაქტორიზაცია

ლიუქსემბურგი, 5 აპრილი. [illegible] გლეხობის მოთხოვნილებით, სამაზრო აღმასკომმა გამოიწერა 2 ტრაქტორი.

მელიორაცია

ლიუქსემბურგი, 5 მარტი. დემურჩო-გასანლინის თემში გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს არხის გასაყვანად, რომელმაც უნდა მორწყას 600 დესეტინა მიწა.

ახალი სამკურნალო პუნქტი

თელავი, 5 მარტი. ნაფარეულში გაიხსნა ახალი სამკურნალო პუნქტი.

კრედიტების გაცემა

თელავი, 5 მარტი. წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა თელავის და სიღნაღის მაზრებს 25,000 მანეთი, რომლითაც შეძენილი იქნება ვაზის ნამყენები გლეხებისათვის დასარიგებლად.

ინფლუენცა ბორჯომში

ბორჯომი, 5 აპრილი. ბორჯომში გახშირდა ინფლუენციით დაავადმყოფება.

თესლები

თელავი, 5 მარტი. მიღებულია ბოსტნეულობის და საკვებ ბალახების თესლები გლეხებისათვის დასარიგებლად.

ვაზების დამზადება

თელავი, 5 აპრილი. წინანდალის და კონდოლის სათბურებმა უკვე გამოუშვეს 500,000 ნამყენი, რომელიც დაურიგდება გლეხებს საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

გაფლანგვა

ქუთაისი, 5 აპრილი. ტობანიერის საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის თავმჯდომარე გაგუა მიცემულია პასუხისგებაში 2000 მანეთის გაფლანგვასა და მითვისებისათვის.

საბინაო აღმშენებლობა

ბორჯომი, 5 აპრილი. ბორჯომის კომბინატი შეუდგა მუშათა ახალ სახლების აგებას—ახალ უბანში, ახლო მომავალში მოწყობილი იქნება 40 ბინა.

მუშათა შემოწმება

ბორჯომი, 5 აპრილი. ბორჯომის დამზღვევ სალაროს სამკურნალო საექსპერტო კომისიამ დაამთავრა შუშის ქარხნის მუშათა შემოწმება. აღმოჩნდა 40 პროცენტზე მეტი ტუბერკულიოზით დაავადმყოფებული.

ტყის ჩამოტანა

ბორჯომი, 5 აპრილი. ბორჯომის რაიონში დაიწყო ტყის ჩამოტანა მდინარეებით.

ახალი მანქანები

ბორჯომი, 5 აპრილი. ბორჯომის წყლის საექსპორტო ქარხანაში შეუდგენ გერმანიიდან მიღებულ ახალ სარეცხ და ჩასასხმელ მანქანების დადგმას.

საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე

(ზუგდიდი)

28 მარტს, კლუბის დარბაზში გაიხსნა საბჭოთა მე-4-ე ყრილობა. დელეგატთა შემადგენლობა უმთავრესად სოფლიდან არიან, დელეგატთა შორის ქალებიც ურევია.

ამავე დღეს ქ. თბილისიდან ჩამოვიდა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ა. გეგეჭკორი.

სრულ საღამოს 6 საათზე ყრილობა გახსნა სამ-აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ბერიამ, რომელიც მოკლედ მიესალმა დელეგატებს.

ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმში 37 ამხანაგს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიას. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად ირჩევს: 1) სტალინი, 2) კალინინი, 3) რიკოვი, 4) ტროცკი, 5) ცხაკაია, 6) ორჯონიკიძე, 7) ელიავა, 8) მახარაძე, 9) აღამალიოღლი, 10) ორახელაშვილი და 11) ქართველიშვილი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ა. გეგეჭკორის მოხსენება საქ. მთავრობის მუშაობის შესახებ. ამხ. გეგეჭკორი დაწვრილებით შეეხო მთავრობის მუშაობის ყველა მომენტებს, დაახასიათა ქვეყნის სამეურნეო ზრდა და პოლიტიკურად განმტკიცება და გააშუქა მიღწევები მეურნეობის ცალკე დარგებში.

მომხსენებელს ბევრი შეკითხვები მისცეს, რომლებზედაც მან გასცა შესაფერისი პასუხი შემდეგ ამისა გაიხსნა კამათი, სადაც თემებიდან ჩამოსულ დელეგატთა საგრძნობმა რიცხვმა მიიღო მონაწილეობა. ყრილობამ მთავრობის მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებლად აღიარა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამაზრო აღმასკომის მუშაობაზე ამხ. ბ. ბერია, რომელიც დაწვრილებით ანგარიშს აძლევს ყრილობას აღმასკომის მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო შეკითხვებს და კამათს არ ჰქონია ადგილი.

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყრილობას დაესწრო 130 დელეგატი: მათ შორის 7 ქალი, 83 კომუნისტი, ახკომკავშირელი 10 და 37 უპარტიო.

განათლების მიხედვით: უმაღლესი—1, საშუალო—18, დაბალი—60, შინაური—39, წერა-კითხვის უცოდინარი—12.

ბოლოს მოხდა არჩევნები. სამაზრო აღმასკომში არჩეულია—51 წევრი და 19 კანდიდატი.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა კომუნისტური პარტიის ცეკას და საქ. ცაკს. ბოლოს ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები.

სამაზრო აღმასკომის პირველი პლენუმი

ამავე დღეს, ყრილობის დახურვის შემდეგ შესდგა სამაზრო აღმასკომის პირველი პლენუმი ამხ. ა. გეგეჭკორის თანდასწრებით: პლენუმის მიერ ერთხმად არჩეული იქნენ პრეზიდიუმის წევრებათ: 1) ბ. ბერია, 2) ი. ჟვანია, 3) გ. შელია, 4) ვ. ნიკოლაიშვილი, 5) ი. ჯანაშია, 6) ფ. ცხომარია, 7) ა. ცხაკაია, 8) ლ. კალანდია, 9) ნ. გაბარია, 10) ი. მუჯირი და 11) პ. უგულავა, მაზრაღმასკომის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ბ. ბერია.

გ. ბ—მა.

არხი მალარიის ბუდით გადაიქცა

([illegible], ზუგდიდის მაზრა)

[illegible] ამ თემში არ არის. ზაფხულობით ამ თემის შინაურ ცხოველები წყურვილით იხოცებიან, აქაურმა გლეხობამ მოინდომა ხელოვნური არხით გადმოეყვანა თემში მახლობელი მდინარიდან ჯუმიდან წყალი. არხი უკვე გათხრილია პრიმიტიული წესებით, მაგრამ საუბედუროდ წყალი ვერ გადმოიყვანეს თემში და გლეხობის ნაშრომი უქმად იკარგება. ეს არხი ისეთ ჭაობათ არის გადაქცეული, რომ მთელ არე-მარეს სწამლავს და მალარიის ბუდით გახდა.

სოფლელი.

მგლებმა აგვიკლეს

(ორულ-ერგეტა, ზუგდიდის მაზრა)

ჩვენი თემი მდიდარია მშვენიერი ტყეებით და საბალახო ადგილებით. ტყის განაპირად არიან დაბინავებული მეჯოგეები, რომელნიც თავიანთი საქონლით ზამთარ-გაზაფხულს აქ ატარებენ. აღსანიშნავია, რომ ამ თემში წელს მგლებმა იწყეს თარეში. მგლები დიდ ზარალს აყენებენ როგორც ამ თემის მკვიდრ მცხოვრებ გლეხებს, ისე მეჯოგეებსაც. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ მგლებმა ღარიბ გლეხს ძროხა ან ცხენი დაუგლიჯვს. მარტო გლეხობა მგლებთან ბრძოლაში უძლურია, საჭიროა მაზრის დახმარება.

სოფლელი.

ტულუშის მარცხი

(საგარეჯო, გარე-კახ.)

დალიე, მაგრამ ზომას ნუ დაკარგავ, აი ზოგიერთ პროფესიონალ ლოთების დევიზი. ვაჟკაცი მაშინ ხარ, როცა ღვინოს შენ მოერევი და არა ღვინოს დამორჩილდები, აი ყარაჩოღელ მეყანწეების ლოზუნგი.

მაგრამ ხშირათ წინააღმდეგი ხდება. რაკი ღვინის ორთქლი ერთხელვე ტვინს გააბრუებს, ნუნუას მოტრფიალეთ ავიწყდებათ ლოზუნგი, წმინდა ცნება და ზოგჯერ საკუთარი სახელიც კი. მიდის და მიდის კუჭისაკენ ღვინის ნაკადები, სანამ მუცელი ენის კლიტემდე არ ამოივსება. შემდეგ ვინ ვის ათამაშებს, ღვინო კაცს, თუ კაცი ღვინოს, საკამათოთ არავის რჩება.

განსაკუთრებით ასე ხდება ეს, თუ ნუნუას უჩვევი კაცი დაეჯიბრა და ისიც კახურ ნუნუას. საგარეჯოელ მასწავლებელ ტულუშს სწორეთ ასე მოუვიდა. ერთ მშვენიერ დღეს, ასეთ შემთხვევაში დღე ყოველთვის მშვენიერია, მასწავლებელი ტულუში ისე მხიარულად მიალაჯებდა ფეხებს საგარეჯოს ქუჩებში, რომ გეგონებოდათ ამ კაცს ჭკუა ბალიშის ქვეშ დარჩენიაო. იყო ტულუშის გარეგანი გამომეტყველება, იყო მისი პატიოსანი მოძრავი გვამი, მაგრამ არ იყო პედაგოგი ტულუში, აღარ იყო ის ფხიზელი, ცოცხალი მასწავლებელი, რომელსაც აქამდე იცნობდენ გარეჯელი მოწაფეები და პედაგოგიური საბჭო.

იარა მასწავლებელმა [illegible] მახლობელ კლუბში შეიარა. დარბაზი ხალხით სავსე იყო. ტულუშის მოსვლა ყველას ესიამოვნა. მაგრამ... რაღა მოსვლა? ასეთ მოსვლას მას ფეხები დამტვრეოდა და სადმე ხრამში გადაჩეხილიყო, ისა სჯობდა.

აუხირდა პედაგოგს დიდი და პატარა. გინდა და არ გინდა დასტოვე თეატრის დარბაზიო. საქმეში ადმინისტრაციაც ჩაერია. ტულუში ადგილიდან არ იძროდა. ბრძოლის სხვა საშუალება რომ ვერ ნახა, გონება დაკარგულ მასწავლებელმა უცნაურ ხერხს მიმართა. მან განიზრახა ღვინის სიმძიმიდან აქვე, დარბაზში განთავისუფლება, მაგრამ არა პირიდან... რასაკვირველია.

იწყო დენა ღვარმა იატაკზე. ირგვლივ ვეებერთელა ტბა დადგა. ქალი და კაცი თვალებზე ხელებ აფარებული და „უი სირცხვილოს" ძახილით იქით-აქეთ გარბოდენ. პედაგოგი კი იდგა შეუდრეკელი ვით ქანდაკება...

მართალია მარცხი დიდი მოხდა, მაგრამ ტულუშმა ამ დღეს მშვენიერი გაკვეთილი მისცა. მან ერთხელ კიდევ დაუმტკიცა საგარეჯოელებს, რას ნიშნავს კახური ნუნუას გემო, როცა მისი დალევის შნო კაცისთვის „ღმერთს" არ მიუცია.

ვანიკა.

ჩვენი კოოპერატივი

(მარტვილი, სენ. მ.)

მარტვილის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებას ჯერჯერობით 976 წევრი ჰყავს რომელთაგან მიღებულია 914 მანეთი საწევრო და 1478 მან. 70 კაპ. საპაიო თანხა.

კოოპერატივის მუშაობა თანდათან ფართოვდება. მისი მთელი აქტივი უდრის 36.895 მ. 98 კაპ., რატომ არის მცირე თანხა ასეთი ემოსისათვის. რაიონული ემოსის გამგეობა თვით დ. მარტვილშია და მას კი სოფლად აქვს განყოფილებები: 2 დაბა მარტვილში, 1 დ. სალხინოში, 1 ნახუნოვოში, 1 ნაგვაზავში და 1 ხუნწში. დუქნები არის როგორც პირველ მოთხოვნილების, აგრეთვე სხვა საქონელიც.

სამწუხაროდ, ემოსს არა აქვს ჯერ არავითარი საწარმოო ან სამრეწველო წამოწყება, მას შეეძლო მოეწყო აგურის და კრამიტის წარმოება, მაგრამ ჯერ ამ მიმართულებით არ არის გადადგმული შესაფერისი ნაბიჯები. გასასყიდად მოტანილ საქონელს ემატება 15 პროც.

კოოპერატივის წევრი სარგებლობს საქონელზე ფასების დაკლებით და ამავე დროს მოგების ნაწილი ეძლევა მას წლის ბოლოს, რაც უფრო მჭიდროთ აკავშირებს წევრებს თავის ემოსთან. საწარმოო თათბირები არ ხდება, რაც არ არის მიზანშეწონილი და ეს ადგილობრივი კავშირის უმოქმედობას უნდა მიეწეროს.

მარტვილი დაშორებულია რკ. გზის ლიანდაგს 30 ვერსით. აქ საქონლის ფასები ასეთია: ასანთი 1½ კ., ნავთი 5 კ., მარილი 2½ კ.

ზოგიერთჯერ საქონლის სიმცირეს აქვს ადგილი, ნაკლებათ არის მაგალითად, ნარმა, მიტკალი და ჩითეულობა. შეიძლება ითქვას, რომ ემოსს რაიონს ბაზარი 35 პროც. დაპყრობილი აქვს.

გამგეობასთან არსებობს სარევიზიო კომისია, რომელსაც წლის განმავლობაში არც ერთი რევიზია არ მოუხდენია!

ბ. უჩანეიშვილი.

გაგვიხსენით კოოპერატივი

(სოფ. ზანათი, სენაკის მაზრა)

ამ სოფელში დიდი ხნიდან არსებობდა კოოპერატივი და ნაღდი ფულიც კარგი ჰქონდა, მაგრამ მტკიცე ფულის ნიშნების უქონლობის გამო. 1920-21 წ. ის დაიხურა. დარჩა მხოლოდ შენობა და საჭირო ინვენტარი, რომელიც დღესაც უპატრონოდ არის და მოუვლელობისაგან ნადგურდება. 1924 წლიდან, რამოდენიმეჯერ დაგვპირდა ახალ-აბაშის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება „მეტოქე"-ს გამგეობა, რომ ამ სოფელში თავის განყოფილება გაეხსნა, მაგრამ აი დაპირება შესრულება არ ეღირსა. სამაგიეროთ ჩარჩ-სპეკულიანტებმა რამოდენიმე ადგილას გახსნეს კერძო სავაჭროები. თუ „მეტოქე" ვერ გახსნის კოოპერატივს, მაშინ სხვამ მაინც უნდა იზრუნოს ამ საქმეზე.

ადგილობრივი გლეხი.

თავშესაფარი ბინა არ არის

(დილიკაურის თემი, შორ. მაზრა)

ეს თემი დაშორებულია ქ. ზესტაფონზე 10-12 ვერსით. თემის მცხოვრებთა უმრავლესობა მიმოსვლის მხრივ სარგებლობს „დილიკაურის რაზიეზდით" (ჭიათურის ლიანდაგზე) უკანასკნელ რამოდენიმე წლის წინეთ სადგურათ ითვლებოდა, მაგრამ შავის მეოხებით სადგური გაუქმდა და დარჩა მხოლოდ „რაზიეზდი", სადაც სახალხო მატარებელი ჩერდება რამოდენიმე წუთით. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „რაზიეზდ"-თან არ არის არავითარი თავშესაფარი. ამის გამო მგზავრებს გამოუთქმელი გაჭირვება ადგიათ განსაკუთრებით ზამთრის დღეებში.

ა. სალაძე.

წერილებიდან

წყნეთი

საბჭოს ფულები ჩარჩების ხელში. სოფელ წყნეთში ახლად არჩეულ საბჭოს წევრებს მატია გალოაშვილს და საქო შაქულაშვილს დაევალათ აკრიფათ მეცხვარეებისაგან საძოვრის [illegible] და აისხნეს ის ადგილობრივ ვაჭარს. ამ რიგათ საბჭოს ფულები ვაჭარმა ჩაიგდო ხელში.

მეთვალყურე.

დიდი ჯიხაიში, (ქუთ. მ.)

სკოლა ცხოველების სანავარდოთ გადაიქცა. დიდი ჯიხაიშის 9-წლედის ეზოში ხშირად შინაური ცხოველები შემოდიან, ხშირად ეს ცხოველები სასწავლებლის აივანზეც ადიან. მეცადინეობის დროს მოწაფეები ერთ ჟივილ-ხივილს ასტეხენ ხოლმე და მასწავლებელს ყურს ვეღარ უგდებენ. საჭიროა ეზოს შემოღობვა.

ჩამომრები.

გურიის ტბა (გურია)

აღმოსავლეთ გურიის გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს გურიის ტბა. გარდა ამისა, ეს რაიონი მდიდარია ხე-ტყით ფრიად მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება, აქ ჰიდრო-ელსადგურის აგება, [illegible] ხელსაყრელია ამ საქმისათვის. მცოდნე პირების აზრით, „გურიის ტბა"-ზე ელსადგურის აგება 2 ჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას.

საჭიროა გურიის სამაზრო აღმასკომმა მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება და შეიტანოს ის მომავალ სამუშაო გეგმაში.

პ. ჩხიკვაძე.

გლეხკორის ხმამ გასჭრა

„კომუნისტი"-ს 55/1510 №-ში მოთავსებული წერილის სათაურით „დალაქია თუ მეჯლანე" გამო, სურამის აღმასკომი გვაცნობებს, რომ წერილის შინაარსი დამტკიცდა და „მეჯლანეს" და „დალაქს" მიეცა წინადადება ერთ-ერთ ხელობას მოჰკიდოს ხელი და დაიცვას სისუფთავე.

სურამის აღმასკ. თავ-რე ივ. აბრამაშვილი.

სასოფლო მეურნეობა

მეთევზეობის განვითარებისათვის

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა აღძრას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მეთევზეობის განვითარების მიზნით მიღებულ იქნეს ზომები საქართველოს მდინარეების და ტბების გამოსაკვლევად და დასაცავად.

მეთევზეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეეძლო საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაეჭირა, რასაც ხელს უწყობს, ერთის მხრივ მდინარეების და ტბების სიმრავლე, მეორეს მხრივ კი ის, რომ ამ მდინარეებში მრავლად მოიპოება ძვირფასი ჯიშის თევზები (მაგალითად, კალმახები).

თევზის მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების შემდეგ ჩვენ თევზს შეუძლია დააკმაყოფილოს არა მარტო შინაური ბაზარი, არამედ შეიძლება მისი გატანა რუსეთში და სხვა მეზობელ რესპუბლიკებში.

საქართველოს მდინარეებში ძვირფასი ჯიშის თევზების მოშენების და თევზების ნაწილის საქართველოს გარეთ გატანის მიზნით, საჭიროა მეთევზეობის რაიონებში მოწყობილ იქნეს თევზის ქარხნები; თვითეული ასეთი ქარხნის მოწყობა დაჯდება არა უმეტეს 1000 მანეთისა (როპშინის თევზის ქარხანა ლენინგრადის ახლოს დაჯდა 500 მანეთი).

ამ ჟამად მეთევზეობის რაიონებით სარგებლობს უმთავრესად, მდინარეების და ტბების სანაპიროების მოსახლეობა და მეთევზეობა მისი მოუწესრიგებლობის გამო არ წარმოადგენს შემოსავლის წყაროს რესპუბლიკისათვის.

თევზის მეურნეობას სჭირდება რეორგანიზაცია და რაციონალიზაცია ამ მიზნით აუცილებელია ამ მეურნეობის გამოკვლევა. ასეთი მუშაობა დაწყებული იქნა რამოდენიმე წლის წინად. გამოკვლეულ იქნა მდინარე რიონი, პალიასტომის ტბა და ტბიცხურის ტბა. 1925 წელში პროფ. დერჟავინის მიერ გამოკვლეულ იქნა ახალ-ქალაქის მაზრის დახურული ტბები აუცილებელია ამ მუშაობის გაგრძელება და გაღრმავება.

წინასწარი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება მეთევზეობის განვითარების და გაუმჯობესების გეგმის შედგენა.

საქართველოს საგეგმო კომისიას საჭიროდ მიაჩნია მიღებული იქნეს ზომები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თევზის მეურნეობის დასაცავად; ასეთი მეურნეობანი კი მდებარეობენ მდ. ხრამზე, მაშავერაზე, დებედა-ჩაიზე, არაგვზე, ალაზანზე, ლიახვზე, ქსანზე, მტკვარზე, რიონზე, ჭურიაზე, თიკორზე და სხვა მდინარეებზე: დაცული უნდა იქნეს აგრეთვე თაფარვანის ტბა, თუმანგელის ტბა, ყარაის ტბა და ნარიონალის ტბა სოფ. ეკალთან (სენაკის მაზრა).

ეკონომიური ცხოვრება

კერძო ბაზრისათვის საქონლის მიწოდების საკითხი

ამჟამად საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა და ს. მ. უ. საბჭომ კვლავ განიხილეს საკითხი კერძო კაპიტალის ვაჭრობა-მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გამოყენების შესახებ.

ეს რთული საკითხი შემდეგში პირველ ყოვლისა საქონლის ბირჟების ხაზით.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ა.-კ. შ.-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში გამოსცა ცირკულიარი, კერძო წვრილი ვაჭრების ფართოთ მომარაგების შესახებ, ურთიერთ დამხმარე საკრედიტო საზოგადოებების საშუალებით, მაგრამ ამ პრაქტიკამ ვერ გაამართლა მასზე დაკისრებული ამოცანები, რადგან აღნიშნულ საზოგადოებებში გაერთიანებულ არიან არა ყველა კერძო წვრილი ვაჭრები და ამასთანავე პროვინციალურ ბაზრებში მათი გავლენის გარეშე იმყოფებიან.

ძირითადად სამრეწველო საქონლის კერძო ვაჭრებზე უფრო სასურველად განაწილების მიზნით შ.-ვაჭრობის სახ. კომისარიატი შეეკითხა თბილისის ბირჟას, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება ბირჟასთან კერძო ვაჭრებისაგან არჩეულ „საბაზრო კომიტეტების" დაარსება.

ამის გამო ბირჟის სამრეწველო სექციამ მოიწვია საგანგებო თათბირი სახელმწიფო სამრეწველო ორგანოების, ვაჭრობის, კოოპერაციის და კერძო ვაჭრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სექციამ გამოსთქვა აზრი კერძო ბაზრებისათვის განსაზღვრული რაოდენობით სამრეწველო საქონლის რეგულიარულად მიწოდების შესახებ, ხოლო „საბაზრო კომიტეტების" დაარსება უარყოფილ იქნა, როგორც ზედმეტი ინსტანცია.

ამავე დროს შეუძლებლათ იქნა ცნობილი კერძო ბაზრისათვის საქონლის გეგმაშეწონილად და კონტროლიორის გარეშე მიწოდება.

ამისათვის სექციამ გამოსთქვა აზრი, რათა ყოველგვარი საქონელი, რომელიც მიეცემა კერძო ბაზარს, წარმოდგენილ იქნეს ბირჟაზე, რომელთანაც არსებობს კერძო ვაჭრობის და მრეწველობის სექცია და რომელიც აერთიანებს კერძო ვაჭრების უმრავლესობას. ამ სექციას შეუძლია უფრო მიზანშეწონილად გაანაწილოს საქონელი კერძო ვაჭართა შორის.

შინამრეწველობა

ნოხ-ხალიჩების წარმოება

ნოხ-ფარდაგების ქსოვას საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ხნიდან მისდევენ. შინამრეწველობის ამ დარგს უფრო ნაკლებათ ვხვდებით დასავლეთ საქართველოში, სადაც ნოხ-ფარდაგების წარმოებას არასოდეს მასიური ხასიათი არ ჰქონია. დასავლეთ საქართველოს კუთხეებთან შედარებით ეს ხელობა გავრცელებულია ჯავახეთში და ალაგ-ალაგ კახეთში, ყველა კუთხეებზე მეტად კი ბორჩალოში, სადაც ნოხ-ფარდაგების ქსოვას მისდევს თითქმის ყველა ოჯახი. ბორჩალოში ნოხის ქსოვა ქალებისათვის სავალდებულო საოჯახო საქმეს წარმოადგენს. ქალის გათხოვების ერთ-ერთ პირობას ბორჩალოში წარმოადგენს ნოხების ქსოვა. ქალი, რომელმაც ქსოვა არ იცის, საქმროსაგან მუდამ დაწუნებულია.

ამიტომ, ყოველი ქალი, 14 წლის ჰასაკიდან დაწყებული სიბერემდე, იმთავითვე ნოხების ქსოვას მისდევს და იწრთვნება შინამრეწველობის ამ დარგში. ბორჩალოს სოფლებში მზადდება საუკეთესო ღირსების ხალიჩები და ნოხ-ფარდაგები, რომელნიც შესანიშნავ საქონელს წარმოადგენენ, როგორც გამძლეობის, ისე ხელოვნების თვალსაზრისით.

უმრავლეს შემთხვევებში ნოხების ნახატობა ადგილობრივია. ალაგ-ალაგ შეხვდებით ადგილობრივი ნახატების კომბინაციას ყაზახის და ლამბალის ნოხების ნახატებთან. ხალიჩები და ნოხები იქსოვება მეტად სუფთა და თხელ ძაფისაგან, რის გამოც ნაწარმოები გამოდის რბილი, ძვირფასი. ხალიჩანოხების საქსოვი ძაფების შესაღებად ხმარობენ თბილისში ნაყიდ ფერად-საღებავებს.

ხმარობენ აგრეთვე ადგილობრივ გაკეთებულ მეწამული ფერის საღებავს, რომელსაც ამზადებენ ერთნაირ მინერალური თიხიდან. ამ საღებავის დამზადება ძნელ საქმეს წარმოადგენს და ამიტომ ძვირიც ფასობს. შინაურული წესით დამზადებულ ძაფების შეღებვა სწარმოებს შულავერის სპეციალურ სამღებრო სახელოსნოებში, რომელთა რაოდენობაც 7 უდრის.

ერთ დროს შეჩერებული ნოხ-ხალიჩების წარმოება ამჟამად აღორძინების გზაზე სდგას.

საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის პირველი ყრილობა

გუშინ საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს, მცირე დარბაზში გაიხსნა საქ. საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის პირველი ყრილობა.

საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ ამხანაგები ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა და ბელოუსოვი. (სამ. კავშირის საბინაო-სამშ. კოოპერაციის თავმჯდომარე), ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) „ცენტროსტროის საანგარიშო მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) დამხმარე კომიტეტის მუშაობა და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის პერსპექტივები საქართველოში, 4) 1926 წლის მუშაობის გეგმა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, 5) წესდების საკითხები და სხვა.

„ცენტროსტროის" საანგარიშო მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. რახლინი)

მომხსენებელი ვრცელ მიმოხილვას უძღვნის „ცენტროსტროის" საქმიანობას მისი დაარსების დღიდგან (1922 წლიდან) 1925 წლამდე და დასასრულ მოკლეთ აღნიშნავს 1926 წლის საქმიანობას.

1926 წლისათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას ეძლევა ერთი მილიონი მანეთი, ხოლო საბინაო-საიჯარო კოოპერაციას —250.000 მანეთი.

ამ უკანასკნელ პერიოდში „ბინათ კავშირ"-ს ახალი სამუშაოები არ დაუწყია და თავის საქმიანობა განსაზღვრა მხოლოდ გასული წლის შემოდგომაზე დაწყებულ 16 ბინის დასამთავრებელ მუშაობით.

სამაგიეროთ დიდი ყურადღება მიაქცია მზადებას სამშენებლო სეზონისათვის; ამ მიზნით სწარმოებდა მუშაობა სამშენებლო მასალის დასამზადებლად და გეგმა-ნახაზების დასამუშავებლად. უკვე დადებულია ხელშეკრულება აგურის ქარხნების სამმართველოსთან „ბინათ კავშირისათვის" 2.600.000 ცალი აგურის დამზადება მომარაგების შესახებ (32 მანეთად 1000 ცალი). ასეთივე ხელშეკრულება არის დადებული 100 კუბიკური სამშენებლო ქვის დამზადების შესახებ სოლოლაკის კლდის კარიერებიდან. ამავე დროს „ბინათ კავშირს" თავის წარმომადგენელი გაგზავნილი ჰყავს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში საჭირო სამშენებლო მასალის შესაძენად. მათ უკვე დადებული აქვთ ხელშეკრულებები, რომლის ძალით ბინათ კავშირი მიიღებს 20 ვაგონ ფიცარს, რკინეულს და სხვას.

გარდა ამისა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის სამშენებლო მასალის მიწოდების მიზნით „ბინათკავშირმა" მოაწყო სავაჭრო განყოფილებები, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

საბჭოთა აღმშენებლობა

საკავშირო ყრილობა აღმშენებლობის საკითხების მოსაწესრიგებლად

5 მაისისათვის. მოსკოვში მოწვეულია ყრილობა საინჟინერო და სამოქალაქო აღმშენებლობის საკითხების მოსაწესრიგებლად. ყრილობაზე მიწვეულნი არიან ამიერ-კავკასიის 81 წარმომადგენელი. თითო-თითო დელეგატს გზავნის რესპუბლიკების საგეგმო კომისიები, ს. მ. უ. საბჭოები, ვაჭრობის სახ. კომისარიატი, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატები, წყალთა მეურნეობის სამმართველოები და მშენებელთა კავშირი; 2 წარმომადგენელს გზავნის: ა.-კ. საგეგმო კომისია და სამ-სამ წარმომადგენელს რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობანი.

ყრილობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს აღმშენებლობის სამშენებლო მასალით და მუშა-ხელით უზრუნველყოფის საკითხის მოწესრიგება.

სამშენებლო მასალის გამოფენა

ყრილობისათვის ეწყობა სამშენებლო მასალის და მიღწევათა გამოფენა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივ სამშენებლო მასალის გამოფენას.

საქ. ს. მ. უ. საბჭოს განზრახვა აქვს გამოსაფენად გაგზავნოს ბუნებრივი სამშენებლო მასალის ექსპონატები: ადგილობრივი ცემენტის ნიმუშები, ცეცხლგამძლე მასალა—თიხა-აგური; მინერალური საღებავები—ოხრა, სურიკი, ბარიტი.

ა.-კ. სამშენებლო თათბირი

გადაწყვეტილია აგრეთვე საკავშირო ყრილობამდე თბილისში მოწვეულ იქნეს ა.-კავკასიის სამშენებლო თათბირი—10 აპრილისათვის. თათბირის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: აღმშენებლობის მოწესრიგების ტეხნიკური და ადმინისტრატიული ფორმების გამომუშავება, სამუშაოების განსაზღვრის და წარმოების წესები, აღმშენებლობის უზრუნველყოფა სამშენებლო მასალით და მუშა-ხელით; უკანასკნელი მიღწევები აღმშენებლობის დარგში და სხვა.

თათბირის საორგანიზაციო ბიურომ, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას, გამოიმუშავა ორი სექციის, ტეხნიკური და ეკონომიური სექციის სამუშაო პროგრამა. ტეხნიკურ სექციას დაეკისრება საკითხების განხილვა-დამუშავება სამშენებლო პერსპექტივების, მასალის და მიღწევების შესახებ. ეკონომიურ სექციას დაევალება საორგანიზაციო და საფინანსო საკითხების განხილვა-დამუშავება.

ა.-კ. თათბირისათვის მოეწყობა სამშენებლო მასალის იმ ექსპონატების გამოფენა, რომელიც გაგზავნილ იქნება საკავშირო ყრილობაზე.

მუშათა ცხოვრება

კარგი ხელმძღვანელობის ნაყოფი

ზესტაფონის სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმი, რომელიც ამ სამი წლის წინად გაიხსნა. იმთავითვე მას უამრავი მტრები გაუჩნდნენ, რომლებიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ ამ სასწავლებლის დახურავად, მაგრამ ჩვენი გლეხური მოსახლეობა უღრმესი პატივისცემით იხსენიებს ამხ. ალექსანდრე ვაშაძეს, სიმ. ცუცქირიძეს და მიშა ჩიხრაძეს, რომლებიც სალიკლდის კედლად აღიმართენ მათ წინააღმდეგ და შეძლეს ამ საუკეთესო ტიპის სასწავლებლის დატოვება და მისი აღორძინება.

აქ არას ვიტყვი იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელიც აწარმოვა ამ სასწავლებლის ყოფილმა გამგემ ამხ. ისიდორე კოსტავამ, რადგან მას უამისოდაც კარგად იცნობენ ზესტაფონის რაიონის გლეხები, როგორც საუკეთესო მასწავლებელს, დიდი გამოცდილების მქონეს და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს, მაგრამ ის კი აღსანიშნავი., რომ ამ სასწავლებლის დღევანდელი გამგე, შედარებით ახალგაზრდა, მოქ. ალექსანდრე ჩინჩალაძე დიდი უნარის პატრონი ყოფილა. მან არაფრისაგან შეუქმნია საუკეთესო ქიმიური ლაბორატორია ფიზიკური კაბინეტით, (რომლითაც სარგებლობენ სხვა სასწავლებლებიც), მოწაფეთა წიგნთსაცავი, საქიმიის მეცნიერების მუზეუმი და სხვა.

იშვიათად ნახავთ პროვინციაში ისეთ სასწავლებელს, სადაც წესრიგი და სისუფთავე იმ სიმაღლეზე იდგეს, როგორც ამ სასწავლებელში.

მოწაფეთა ბეჯითობას უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა; თითქმის ყოველთვიურად ხდება აკადემიური წმენდა და სასწავლებელში რჩება საუკეთესო ელემენტი, რომელიც უსათუოდ გაამართლებს ხელისუფლების იმედებს.

რაც შეეხება მის პედაგოგიურ შემადგენლობას, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ სასურველი აღარა რჩება რა; ყველა ისინი მუშაობენ ერთისათვის და ერთი ყველასათვის და თავის საუკეთესო მუშაობით მაგალითს აძლევენ იმ ახალგაზრდებს, რომელიც მშობლებს მათთვის ჩაუბარებიათ და რომელთა აღზრდისათვისაც ისინი თავდადებულად მუშაობენ.

ყველაფერი ეს უნდა „დავაბრალოთ" ტექნიკუმის გამგე მოქ. ალექსანდრე ჩინჩალაძეს, რომელსაც საუცხოვოდ ჩამოუყალიბებია სასწავლებლის ცხოვრება.

არ არის საკმარისი მარტო დადებით მხარეს აღნიშვნა და მინდა მიუთითო იმ ნაკლზე, რომელიც აქვს სასწავლებელს.

ტექნიკუმის კურსი სამწლიანია, პროგრამა კი ძალზე დიდი და ახალგაზრდობას უხდება დღეში 7—8 საათის თეორიული და პრაქტიკული მუშაობა, რაც უსათუოდ ცუდ გავლენას იქონიებს მათ სათანადო მომზადებაზე.

ამის შესახებ სასწავლებელს აღძრავს შუამდგომლობა; რათა სასწავლებლის კურსი გახადონ ოთხწლიანად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით არა გაკეთებულა რა.

კარგი იქნება სახგანკომმა დააჩქაროს ამ საკითხის გადაჭრა სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბინის მხრივაც ტექნიკუმი სივიწროვეს განიცდის და თუ მოსახერხებელი იქნება, გამგემ უნდა იზრუნოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

კატოშვილი.

მოგვეცით სპეც-ტანსაცმელები

რკ. გზის მთავარ სახელოსნოში ორთქლმავლის საწყობ საამქროში ვმუშაობთ რამოდენიმე ათეული შავი მუშები. ჩვენი სამუშაო ძალიან მძიმეა, რომელიც თხოულობს დიდი ფიზიკური შრომის დახარჯვას. არ არის ადვილი მძიმე რკინების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა. ამასთან ძალზე ჭუჭყიანი სამუშაოებია, რომელიც სწრაფად და მალე ცვეთს ტანსაცმლებს. ყველა წვრილ სახელოსნოების შავ მუშებს ეძლევათ სპეც-ტანსაცმლები ჩვენ არაფერი დაგვეძლევა, და ჩვენი მუშაობა უფრო მძიმეა. მაგრამ ჩვენ ასეთებს არ გვაძლევენ.

ხომ თუ არავინ ხედავს ჩვენს ასეთ შრომას, ანდა შეიძლება ხედავენ, მაგრამ დღემდის არავის ყურადღება ჩვენზე და არ გვეძლევა სპეც-ტანსაცმელები.

დროა ჩვენთვისაც იზრუნოთ და მოგვცეთ სპეც-ტანსაცმელები; მოგვიწყვეთ სპეც-ტანსაცმლების შესანახავი შკაფები, როგორც სხვა ქარხნებში არის.

„ა ნ ტ რ ე“

მუშის შენიშვნა.

— სახალხოს ქუჩაზე გაგივლია როდისმე?—მკითხა ერთმა მუშამ.

— აზირებული კითხვაა! აბა, როგორ შეიძლება, რომ თბილისში სცხოვრობდე მრავალი წლების განმავლობაში და სახალხოს ქუჩაზე კი არ გაგევლოს?!—გულწრფელად გავიკვირვე მე.

— თუ სახალხოს ქუჩაზე გაგივლია, მაშ, შენიშნავდა, რომ სახელმწიფო სავაჭროს მაღაზიის შესავალ კარებზე ფრანგული წარწერაა, სახელდობრ, „ანტრე“.

— ეგეც მინახავს...

— რისთვის არის ეგ ფრანგული წარწერა? ასეთმა კითხვამ საგონებელში ჩამაგდო და დავიწყე ფიქრი მაზზე, თუ რისთვის არის საჭირო ეს ფრანგული წარწერა?

— რამდენი ფრანგი იქნება თბილისში?

— იქნება ეს წარწერა იმ „გაფრანგებულ“ ქართველებისათვის არის, საფრანგეთიდან საქართველოში რომ მოდიან?

— მე მგონია, რომ თვით მისი დამწერიც ვერ გვიპასუხებდა ამაზე.

— რა უნდა გვიპასუხოს!

— მან რაც უნდა ის გვიპასუხოს და მე კი მგონია, რომ ფრანგულ წარწერას ქართული აჯობებდა, ვინაიდან ერთ ფრანგულის მცოდნეზე ათასი ქართულის მცოდნე მაინც მოვა თბილისში და „ანტრე“-ს ავტორი ხომ ვერ იტყვის—ერთი სჯობია ათასსაო? ასეთი რომ ჯერ არსად თქმულა...

— შაი გიდი—„ანტრე“!—სთქვა ჩემმა ამხანაგმა, ხელი ჩაიქნია და ქარხანაში გასწია სამუშაოზე.

მუშა ნიკო. ას—ლი.

ნუ მისდევთ „მოდას“.

„საზბარებს“ („საზბოთა ბარიშნებს“) ხშირად ავიწყდებათ, რომ ისინი მსახურობენ მუშათა მასაში და ამისათვის „დეკოლტიანი“ და სახელოებ-ამოჭრილი ტანისამოსით მუშაობა აქ დაუშვებელია. ამაზე იყო დაწერილი ადგილობრივ გაზეთებში, მაგრამ შარშანდელი შენიშვნები დავიწყებას მისცეს ზოგიერთმა „ბარიშნებმა“, და ჯერ კიდევ არ გაზაფხულებულა რიგიანად და ესენი კი უკვე „შანტეკლიორის“ კაბებში შემოსენ.

ამნაირ ტანისამოსში მხოლოდ ბალ-მასკარადებში შეიძლება სიარული და არა მუშათა დაწესებულებაში, როგორიც მთავარი სახელოსნოა.

მუშკორი ლიაპიხი.

ამ სენთან უნდა აწარმოოთ სასტიკი ბრძოლა.

(პროკურატურის საყურადღებოდ).

ჩვენ ყოველდღიურ გაზეთების ფურცლებზე ვკითხულობთ ცოლებზე იმ მხეცურ ნადირობის შესახებ, რომელსაც ამ ბოლო დროს ჩვენში მეტად სისტემატიური ხასიათი აქვს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ხელისუფლება სასტიკად იცავს ყველა პატიოსანი ქალების ინტერესებს, მაინც იშვიათია ისეთი კვირა, რომ ვინმე გათახსირებულმა ადამიანმა არ მოჰკლას თავისი ცოლი და ამით არ გააუბედუროს თავისი ოჯახი. ყველაფერი ეს კი ხდება იმ დროს, როცა მოკლული ქალი სრულიად მართალია ქმრის წინაშე და მისი გაუბედურება ხდება მხოლოდ ვიღაც გარყვნილ და როსკიპ ქალის მოხებით და მისივე ხელის შეწყობით.

აი ერთი ასეთი ფაქტიც. 21 მარტს დილით ლენინის უბანში (იურიევის ქ., სახ. № 69), ერთმა გარყვნილმა რკინისგზის მთავ. სახელოსნოების სალითონო საამქროს შეგირდმა პავლე მაკაროვმა მხეცურად მოჰკლა თავისი უდანაშაულო ცოლი, რომელიც მასთან ცხოვრობდა სულ ათი თვე და იყო 8 თვის ორსული.

აქ აღსანიშნავია ის, რომ ამ უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაში მარტო პავლე მაკაროვი როდია დამნაშავე. აქ ერთი გარყვნილი ქმარშვილიანი ქალი ურევია, რომელმაც შეიყვარა ახალგაზრდა მაკაროვი და მისი გავლენის ქვეშ მოიმოქმედა ეს საზიზღარი მკვლელობა.

დღეს ეს უსინდისო დედაკაცი დადის და ამაყობს.

საჭიროა დაისაჯოს როგორც მკვლელი, ისე მისი საყვარელი დედაკაციც, რომელიც სისტემატიურად ეწევა გარყვნილებას და სხვადასხვა ბოროტებას თავის მეზობლებში.

მუშა სიონელი.

მისაბაძი მაგალითი

ქალაქსა და სოფელს შუა კავშირის დამყარების მიზნით ბუკის-ციხის თემის მკვიდრმა მცხოვრებმა, რომელსაც ამჟამად ქალაქებში უხდება მუშაობა და ცხოვრება, ამ ერთი წლის წინად მიზნად დაისახა; ადგილობრივ მცხოვრებთა აქტიურ დახმარებით ააგოს ბუკის-ციხის თემში სახალხო სახლი ამ მიზნის განსახორციელებლათ მან აირჩია საალმშენებლო კომისიის თბილისის განყოფილება. კომისია შეუდგა მუშაობას დღიდან არჩევისა. აგროვებს სხვადასხვა შემოწირულებებს, კრეფს საწევრო ნება-ყოფლობით გადასახადს მკვიდრ მცხოვრებთაგან და დგამს წარმოდგენებს.

კომისია თავის მხურვალე მადლობას მიუძღვნის თბილისის შინამრეწველობის ხელოსანთა გამგეობას, რომელმაც შემოსწირა კომისიას ასი მანეთი საალმშენებლო ფონდის გასაძლიერებლად.

აგრეთვე გულითად მადლობას მიუძღვნის პლეხანოვის კლუბის გამგეობას, რომელმაც თითქმის უფასოდ დაუთმო კლუბს დარბაზი საალმშენებლო კომისიის წარმოდგენის გასამართავად.

მადლობას უცხადებს აგრეთვე ყველა იმ მოქალაქეებს, რომელთაც თავიანთი წვლილი გაიღეს სახალხო სახლის აგებისათვის.

კომისია ღრმად დარწმუნებულია, რომ ამ მაგალითს მიბაძავს ყველა სხვა დაწესებულება-ორგანიზაციები და აგრეთვე მოქალაქეები და თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ ზემოხსენებულ სახალხო სახლის აგების საქმეში.

საალმშ. კომისიის სახელით პ. ჩხიკვაძე.

უსუფთაოება სადგურ რიონში.

სადგური რიონი დიდ უსუფთაობას განიცდის. ორივე დარბაზი ნაფურთხებით და თამბაქოს ნამწვავით სავსეა. ასეთივე მდგომარეობაშია საბარგო განყოფილებაც, სადაც დანაგავი მიყრილი არის კარის კუთხეში და მიფარებულია ცოცხით. ფანჯრებზე ერთი გოჯი მტვერი ადევს და ეტყობა ამ წელიწადში არ გაუსუფთავებიათ.

შიგ დარბაზში მძიმე და დახშული ჰაერი სდგას. ფეხისადგილები გაბინძურებულია; შიგ ძალზე ბნელა და ადამიანი სიბინძურის გამო იქ არ შესვლება. ეს მდგომარეობა საშინლად მოქმედობს როგორც ადგილობრივ მოსამსახურეებზე, ისე მგზავრებზეც.

ქუთაისის უბნის რკინისგზის სანიტარულ კომისიას, ალბად, სძინავს.

მუშა მგზავრი.

წესრიგის დამცველი არ აღმოჩნდა

(რკ. გზის საგანგებო კომისიის საყურადღებოდ)

12 მარტს სადგურ ყვირილაში ფოთის მატარებლის შემოსვლის დროს მოხდა ინციდენტი, სადაც აუცილებელი საჭირო იყო საგანკომისიის მორიგე აგენტის ჩარევა საქმის გამოსარკვევად და ზომების მისაღებად. მაგრამ წესრიგის დამცველი აგენტი არ სჩანდა, რის გამო სადგურის მორიგეს მიმართეს, რომელიც თვითონაც დატვირთული იყო თავისი მოვალეობით.

ნეტავ, სად იყო მორიგე აგენტი?!

მუშა მგზავრი.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფწრეში.

დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო ამ კავშირში პროფწრის მეცადინეობა და უნდა აღინიშნოს, რომ მეცადინეობა ენერგიულად მიმდინარეობს ამხ. ი. სურგულაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეცადინეობის სისტემა მიზანშეწონილად აქვს დაყენებული. წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყოველივე საკითხის გადაჭრაში და გარკვევაში. განზრახულია მეცადინეობას მიეცეს სემინარული ხასიათი, რაც, ჩვენი აზრით, ჩვენს კომუჯრედის წევრებს პროფმოძრაობის შესწავლაში დიდ დახმარებას გაუწევს.

აღსანიშნავია აგრეთვე ზოგიერთი ამხანაგის მეცადინეობაზე არ დასწრება, რასაც პროფკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს და პასუხი მოსთხოვოს ასეთ ამხანაგებს.

ამ მხრივ ჩვენი პროფკომი ენერგიულად მუშაობს.

ვუსურვებთ პროფწრის ხელმძღვანელს და პროფკომს ასე გაგრძელებით თავიანთი მუშაობა.

ი. ხო—ია.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ნუ დაივიწყებთ მუშათა ფაკულტეტს.** ყოველი პატიოსანი მშრომელი სიმპატიით უყურებს მუშათა ფაკულტეტს და მისი მსმენელები ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ შევასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუშაობა საგნების დამუშავების მხრივ უაღრესად ინტენსიურია, მაგრამ რა ქნას მუშამ, რომელიც დილის 6 საათიდან 8 საათის განმავლობაში მუშაობს მთავარ სახელოსნოში, ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში და შემდეგ დაუსვენებლად, დაღლილი მიეშურება სასწავლებელში.

მკითხველი დამეთანხმება იმაში, თუ რა სიძნელეს უნდა წარმოადგენდეს ასეთ პირობებში მყოფ მუშათათვის ფიზიკა-ქიმიის ფორმულის ან სხვა ასეთგვარ საგნების შეთვისება.

ამისთვის საჭიროა მოვგცეთ ორი საათით შეღავათი სამუშაოდან, რომ იგი სწავლას მოვახმაროთ.

მსმენელი ვ. დოლიძე.

— **მოაშორეთ ვიდრე დროა.** 1923 წ., როდესაც ტარდებოდა მიწის რეფორმა დორტკმის წესით, კაკაბეთის თემის მიწის კომისიაში მყვინათ იყო ვინმე ნიკა მჭედლიშვილი, რომელიც ფაქტიურათ თვითონ ასრულებდა ყველაფერს თავის სურვილისამებრ. ამის გამო საზოგადოებამ აღმოირჩია სარევიზიო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ადგილობრივი აღმასკომის ენლანდელი თავმჯდომარე მიხა გულალაშვილი.

ხსენებულმა სარევიზიო კომისიამ, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი ნაკლი ჰპოვა მიწკომის მუშაობაში და რომელიც წინასწარ იმედებს იძლეოდა, რომ საქმეს გამოსწორებოდა, ყველაფერი ჩაფარჩხა და დაძინა.

ვიამბატონი მჭედლიშვილი კი ამჟამად კაკაბეთის აღმასკომის მდივნათ ითვლება და მის ღონეებს საზღვარი არა აქვს.

სპირ. ფხალაძე.

— **სახლის პატრონების უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს.** ვარლის უბნის ქ. სახლ. № 17-ში ერთი პატარა—25 კვადრ. არშ. ოთახი სახლის პატრონისგან დაიქირავა ბ. ლასხიშვილმა.

კავშირის წევრია (წიგ. № 11.487), და მოწაფე, მსახურობს, თვიურად ხელფასს იღებს 31 მან. და 50 კ. რაოდენობით. სახლის პატრონმა ისარგებლა მისი კრიტიკული მდგომარეობით (მას ბინა არსად მოეპოვებოდა თავის ცოლისა და ბავშვისათვის) და წინდაწინ სამი თვის ქირად გადაახდევინა მას 45 მან. და ხელწერილიც ჩამოართვა. ამხ. ლასხიშვილს ამის გადახდა არ შეუძლია. სახლის პატრონი მას არ ასვენებს.

მუშკორი მჭ.

მუშათა ქრონიკა

— **ხის შენობების დაზღვევა.** ა.-კ. რკ.-გზის დამზღვევმა სალარომ დააზღვევა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში სანატორიუმების ხის შენობები.

— **მშენებლობის ფონდი.** ა.-კ. რკ.-გზის დამზღვევმა სალარომ მიმართა ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს გაილოს 215.177 მანეთი საალმშენებლო ფონდისათვის ა.-კ. რკინისგზაზე.

— **დაზღვევის განათლება.** ა.-კ. რკ.-გზის დამზღვევმა სალარომ დაუგზავნა სოც. დაზღვევის რწმუნებულებს ლიტერატურა სოც. დაზღვევის განათლების დარგში მუშაობისათვის გასაცნობად.

— **ჯანმრთელობის სამმართველოს საბჭოში.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველოს საბჭოში თავის წარმომადგენლად გამოჰყო ამხ. კოლოსოვი.

— **საექიმო დახმარება.** ა.-კ. ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიამ მიმართა რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველოს, რათა ჯულფა-ბაქოს რკინისგზის მშენებლობაზე მომუშავე მუშებს მიაწოდოს საექიმო დახმარება.

— **სამჯერ წელიწადში.** ა.-კ. რკ. გზის დამზღვევმა სალარომ დაადგინა—წელიწადში სამჯერ მოიწვიოს საუბნო სალაროების წარმომადგენელთა თათბირები.

— **ხანძრის საწინააღმდეგოდ.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გადასცა საჭირო სახსარი რკ. გზის კლუბების ხანძრის საწინააღმდეგო აღჭურვისათვის.

— **ექსკურსიები.** ა.-კ. საგზაო კომიტეტის ადგილკომმა დაადგინა, ახლო ხანში ჩაატაროს ოთხი ექსკურსია; ზაჰესში, მთავარ სახელოსნოში, ჩაქვის ჩაის პლანტაციებში და ბორჯომში.

ა.-კ. მეაბრეშუმეთა ყრილობა

მეორე და მესამე სხდომა

4 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები აზერბეიჯანის და სომხეთის მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგაც აბრეშუმის თესლის დამზადების და მისი პერსპექტივების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ქუთათელაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დრომდე საქართველოში და აზერბეიჯანში მწვავედ იდგა აბრეშუმის თესლის დამზადების საკითხი. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ სომხეთი, სადაც საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა ადგილობრივ დამზადებული თესლი, 1925 წელში კი შესაძლებელი გახდა თესლის გატანა სომხეთიდან 8.400 კოლოფის რაოდენობით.

აბრეშუმის თესლის დამზადების საქმე საქართველოში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განვითარდა და 1925 წელში დამზადებული იქნა 35.000 კოლოფი ადგილობრივი თესლი, ე. ი. მთელი მოხმარების 40 პროც.

მიმდინარე წელში განზრახულია დამზადებული იქნეს მთელი მოხმარების 80 პროც.

აზერბეიჯანი თესლის დამზადების მხრივ, ძალიან ჩამორჩება საქართველოს და სომხეთს. ასე, მაგალითად, 1925 წელში აზერბეიჯანში გაცხოვლებული იქნა 76.000 კოლოფი თესლი, აქედან ადგილობრივი თესლის რაოდენობა უდრის მხოლოდ 8.000 კოლოფს.

ამიერ-კავკასიაში საგრენაჟო საქმის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს საზღვარგარეთული თესლის თანდათანობით განდევნას ბაზრიდან და მის შეცვლას ადგილობრივი თესლით.

ამ გეგმის მიხედვით 1927 წელში (საქართველოში) და 1928 წელში (აზერბეიჯანში) მეაბრეშუმეები დაკმაყოფილებული უნდა იქნენ ადგილობრივი თესლით, 1927-28 წლიდან კი უნდა დაიწყოს ჩვენი თესლის გატანა საგარეო ბაზრებზე.

ადგილობრივი თესლის დამზადების გაფართოვებასთან ერთად გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს თესლის ღირსების გაუმჯობესებას.

4 აპრილის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მიხინის მოხსენება რუსეთის და უკრაინის მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა და მოსკოვის სააბრეშუმო სადგურის მუშაობის შესახებ.

იმავე სხდომაზე მოსმენილი იქნა აგრეთვე ამხ. ივანოვის მოხსენება აბრეშუმის თესლის კონტროლის შესახებ.

საბრალო პირუტყვი

ბავშობისას მახსოვს ასეთი სურათი:

სოფელში საქონლის ჭირი იყო. ბრძანება მოვიდა—ყველა ავადმყოფი საქონელი გადაერჩიათ, დაეხოცათ და მიწაში ჩაეფლათ. მამასახლისი ბეჯითად შეუდგა ამ ბრძანების შესრულებას.

ერთ ჩვენ მეზობელს კაი ლამაზი ხარი ჰყავდა, ვამლახარი. ისიც ავათ გახდა, მაგრამ გლეხმა არ გამოაჩინა. მამასახლისმა გაუგო ეს. დაიჭირა გლეხი მინდორში და ისე სცემა მათრახით, რომ ზურგზე სულ [illegible].

მე ჩემი თვალით ვუცქერდი ამ სურათს. ძალიან, ძალიან დამეთუთქა გული. აქ პირველად ვიგრძენი გლეხი კაცის უბედურობა და საშინელი დაბეჩავება.

მე, ექვსი-შვიდი წლის მწყემსი ბიჭი, ვერც მამასახლისს შევაშინებდი და ვერც გლეხს ვანუგეშებდი. უმწეოდ გულში დავიტრიალე ჩემი ბოღმა. შემდეგში იმ გლეხის დანახვაზე ყოველთვის გული ამიჩუყდებოდა ხოლმე სიბრალულით.

მაგრამ ამ პატარა ამბის გაგრძელება ასეთი იყო:

ცივი ზამთარი დაიჭირა. ამ გლეხს კარგა მოზრდილი ნალო (ტყის ხე) მოაქვს ტყიდან. უღელში უბია ცალი კამეჩი და ცალი ხარი. სოფლის აღმართი მოყინულია. შუაგზაში დაიოხა ხარმა. საწყალმა პირუტყვმა მუხლები დაიმტვრია, პირიდანაც სისხლიანი ქაფი მოსდის. ყოველ გამეტებულ გაწევაზე კამეჩი გაიჭრევს და ხეზე მიამტვრევს ხოლმე ხარს. ის გლეხი კი რაღაცა გაცოფებული თავდავიწყებით სცემს დაცემულ ხარს იგნის ხარიხით თავ-პირში, ფერდებში, ფეხებში. სცემს უფრო უდიერად, უფრო მეტის გამხეცებით, ვიდრე სცემდა მამასახლისი თვითონ მას.

და აქ შეტრიალდა ჩემში მთელი გუნება. აღარ მებრალება ის გლეხი, როცა მამასახლისმა სცემა. აღარ მებრალება, რადგან მამასახლისზე უფრო მეტის სისასტიკით სცემს ამ ძალა გამოლეულ პირუტყვს.

კიდევ ზედმეტი!

მე დამინანია ისიც, ამდენ ხანს რომ ვიბრალებდი ასეთ უდიერ კაცს. ის აღარ მეჩვენა ღირსად შებრალებისა.

ეხლაც ძალიან ხშირად განვიცდი ასეთივე გრძნობას.

ვერის აღმართი—ეს ხომ წამების გოლგოთა არის უღმერთოდ დატვირთულ საქონლისათვის. მაგრამ არც ვაკეზე აყრია კაი დღე პირუტყვს!

რამდენჯერ მინახავს ნახშირის ტვირთიდან განთავისუფლებულ სახედრებს რომ მიერეკება პატრონი. მიერეკება და თან ისეთი სიძლიერით გაწნავს სახრეს, რომ უბედური პირუტყვი ცოდვიანივით დაიკლაკნება და გვერდ-გვერდ მოიღრიცება. ცოტა გამოსწორდება თუ არა, პატრონი ისევ გასცხებს და პირუტყვი ახლად დაიკლაკნება ირიბათ.

ცოდვა გამოუვალებული სჯობიანო:

იმ წუთაში აღარც მენახშირე მებრალება ვინმემ რომ შეურაცხჰყოს, რადგან ყადრი არ იცის იმ ცხოველისა, რომლითაც ის არსებობს.

საერთოდ გლეხ კაცმა არ იცის შესაფერი გაფრთხილება თავისი მარჩენალი საქონლისა. სოფლის გარდა ამას ყოველთვის ვხედავთ ქალაქის ქუჩებში შეშის გამყიდველების სახით.

წრევანდელ ზამთარში გლეხის მოტანილ შეშას აღარა აქვს დიდი გასავალი. ღამის ჩალის ფასად იყიდება.

აბა ოთხი და ხუთი მანეთი რა სათქმელია ურემ შეშაში, რომელსაც მოატრიელებენ ორი-სამი დღის განმავლობაში ქალაქამდის?

ზოგჯერ კი დილიდან საღამომდის დაათრევენ ქუჩა-ქუჩა და მაინც ვერ შოულობენ მუშტარს.

აგერ, ერთ საღამოს შევხვდი ასეთ შეუდანვსულ მეურემეს. მთელ დღეს ევლო და ვერ გაეყიდა ვერსად თავისი „ბაზრულად" დადებული ურემი.

სწორედ ამ დანიდებაზე შეხვდა ერთი რუსის ქალი. მოურიგდა სამ და ათ შაურად. შეშა ბარემ მეტი ღირდა, მაგრამ დღე გაილია და ამის გარდა სხვა მუშტარი ჯერ არ შეხვედრია.

ქალმა უჩვენა, სადაც უნდა მიეტანა შეშა. გლეხმა შემოატრიალა ურემი და ღერძის თავი მოსდო ტელეგრაფის ბოძს. აქ გაბრაზებულმა დაუნდობრათ დაუწყო ხარებს თავ პირში ცემა. ის ურწმუნო ისეთი გამეტებით სცემს, თითქოს დამნაშავენი ხარები იყვნენ და არა თვითონვე.

ამ სურათის დანახვაზე გაბრაზდა რუსის ქალი და უარი უთხრა შეშაზე.

— რადგან შენ ეგეთი შეუბრალებელი ხარ საქონლის მიმართ, ამიტომ აღარც მინდა შენი შეშაო!

დარჩენ სახტად გლეხიც და იქვე ატუზული მხერხავიც.

ვუცქერი, მებრალებიან და თან გულში გამოჯავრებით ვამბობ:

— ახია შენზე!

— ახია შენზე!

თაყეთე.

გლეხთა სახლის წლისთავი

7 აპრილს საქართველოს გლეხთა ცენტრალურ სახლს უსრულდება არსებობის პირველი წლისთავი. ამ დღის აღსანიშნავად სახლში შესდგება საზეიმო სხდომა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ გლეხების წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები და აგრეთვე პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

7 აპრილს მოხდება გლეხთა ცენტრალურ სახლთან არსებულ სასოფლო - სამეურნეო მუზეუმის, სანიტარული განათლების ოთახის და სამხედრო კუთხის საზეიმო გახსნა.

ერთი წლის განმავლობაში გლეხთა ცენტრალური სახლით ისარგებლა 13.000 გლეხმა. ამავე ხნის განმავლობაში წაკითხული იქნა 90 მოხსენება და ლექცია.

8 აპრილს გაიხსნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გლეხთა ცენტრალურ სახლების წარმომადგენელთა თათბირი.

სულ ამიერ-კავკასიაში ამჟამად არის 16 გლეხთა სახლი.

ქრონიკა

თბ. აღმასკომში

◆ ზაჰესკომმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის მიერ მოწვეულ სამოქალაქო აღმშენებლობის ყრილობაზე, რომელიც შესდგება ახლო ხანში მოსკოვში.

◆ ქალ. ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის კბილის ცენტრალურ კლინიკას.

◆ **ახალი ლიანდაგი.** ტრამვაის დირექციამ დაამთავრა ახალი ლიანდაგის გაყვანა კოჯრის გზატკეცილამდე.

ჯანსახკომში

◆ სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტის ყველა განყოფილებაში ჯანმრთელობის კომისარიატი აწყობს გაწმენდილ-გადახარშულ წყლის მიმწოდებელ მილებს.

◆ **თვალის ექიმობა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო თვალის საექიმო ინსტიტუტისთვის საჭირო ხელსაწყოები.

◆ **საცდელ-საჩვენებელ ინსტიტუტის** ლაბორატორიებისათვის ჯანსახკომმა საზღვარგარეთიდან მიიღო საჭირო იარაღები.

◆ **ექიმების საჭიროება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი პროვინციაში გასაგზავნად ეძებს 45 ექიმს.

◆ **უღარიბეს მაზრების ჯანმრთელობის** დაწესებულებები კომისარიატს გადაჰყავს სახელმწიფო მომარაგებაზე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

◆ შვეციის ფირმამ „ალფა-ლავილი" გამოფენაზე უკვე გამოგზავნა რძის ნაწარმოების გადამამუშავებელ ქარხნის მოწყობილობა.

◆ **„ალფა რომეო".** გამოფენაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადა კიდევ იტალიელ ფირმამ „ალფა რომეომ", რომელიც გამოფენაზე წარმოადგენს ტრაქტორებს და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ავტომობილებს.

◆ ამერიკის ერთ-ერთი ფირმა გამოფენაზე წარმოადგენს „მოძრავი გზის" მოწყობილობას, რომელსაც ამერიკაში და ევროპაში ხმარობენ ტყე-ღრეში ხე-ტყის მასალის გადასაზიდათ.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

◆ საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს დახმარების უდიდეს რაოდენობათ დაწესებულია 180 მ. (დღემდე იყო 120 მან.) ეს დადგენილება ვრცელდება მთელ ამიერ-კავკასიაზე.

◆ **წყალტუბოს სახლი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაამთავრა წყალტუბოს სახლის აგება. ახლო მომავალში შეუდგებიან სახლის კეთილმოწყობას.

◆ **საზაფხულო აგარაკებზე დაზღვეულ** ავადმყოფების გაგზავნა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში დაიწყება 1 ივნისს.

შრომის კომისარიატში

◆ შრომის ინსპექტორებს მაზრებში დაევალათ განსაკუთრებული ზომები მიიღონ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშა-ხელის შრომის დასაცავათ.

◆ **ტყიბულის მაღაროების გამოკვლევა** უკვე დაამთავრა შრომის სახ. კომისარიატმა.

◆ **გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა.** შრომის კომ. დავალებით ტექნიკურ ინსპექციის გამგე ინჟ. მანევსკიმ გამოიკვლია პერელასის გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის ტექნიკური მდგომარეობა.

სხვადასხვა

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, სამშაბათს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

6 საათზე შესდგება ტექნიკურ თანამშრომელთა საერთო კრება: მოხსენება პროფ. საკითხების შესახებ. მოხსენების შემდეგ—კინო.

თოვლი თბილისში

◆ მარტის ბოლო რიცხვებში ამინდების ხშირი ცვალებადობის შემდეგ, 1 და 2 აპრილს ერთბაშათ დაიჭირა თბილი და მზიანი ამინდები, მაგრამ 3 აპრილს კვლავ გაწვიმდა. 4 აპრილს საგრძნობი აციევის შემდეგ ნაშუადღევის 3 საათზე წამოვიდა თოვლი, რომელიც მალე შეიცვალა წვიმით. ხოლო გუშინ თითქმის დილიდანვე დაიწყო განუწყვეტელი თოვა.

მილიციის დაარსების 5 წლისთავი

◆ საქ. ცენტრ. აღმასკომმა დაადგინა 20 აპრილს, საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციის არსებობის 5 წლისთავი გამოაცხადოს მილიციის სადღესასწაულო დღეთ. ცაკმა შეადგინა დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია თბილისში. ასეთივე კომისიები დაარსდება საქართველოს ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. დღესასწაულის დღეს იმ მილიციებს და მილიციის მეთაურებს, რომლებიც განსაკუთრებულ სიმამაცეს და მუყაითობას იჩენენ თავიანთი მოვალეობის ასრულების დროს, დაურიგდებათ საპატიო ნიშნები. მათ მიეცემათ უპირატესობანი და ჯილდო.

დღესასწაულის დღისათვის გამოვა ჟურ. ნალი „ადმინისრატიული კრებული".

◆ შინ. საქ. სახ. კომისარიატმა საქ. ცაკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ თბ. აღმასკომის ადმინისტრატიულ გამგის მოადგილე ამხ. კალურაძე დაჯილდოებული იქნას შრომის წითელი ორდენით, რადგან მან დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშურ გლეხურ მილიციის მშენებლობაში.

შემთხვევები

◆ **გვამის პოვნა.** 3 აპრილს, ღამით ბარბარეს ეკლესიის ახლოს იპოვეს მამაკაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ვლადიმერ ოქროპირიძე.

◆ **გაძარცვა.** 2 აპრილს კოჯრის გზაზე გაძარცვეს მოქ. ოლღა სტანოვისა. წაართვეს 150 მან. ნივთები.

◆ **მუშკოოპის გაქურდვა.** 3 აპრილს გაქურდეს პლეხ. პრ. მდებარე მუშკოოპის დუქანი № 91.

◆ **აფეთქება.** 4 აპრილს მაზხალის ქუჩ. № 4 მოქ. გრ. მანუკოვის ბინაში შემთხვევით აფეთქდა კაპსული და დააშავა 2 კაცი და 1 ქალი.

◆ **ქურდობა.** 3 აპრილს კრილოვის ქ. გაქურდეს მიხ. ვერეჟნიკის ბინა. წაღებულია 400 მან.

◆ **კედლის გამონგრევის საშუალებით** სამხედრო ქუჩაზე გაქურდეს პავლე კოჩლოვის ბინა.

◆ **ამავე დღეს** პასტერის ქუჩაზე ნინო ხუნდაძის ბინიდან მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.

◆ **ამავე დღეს** სოფიო ნიკოლაიშვილს მოპარეს 150 მანეთის საოჯახო ნივთები.

ხელოვნება

კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე

(მისი ოპერა „თამარ ცბიერი"-ს დადგმის გამო)



მ. ბალანჩივაძემ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი დაამთავრა 1879 წელს. 1880 წელში ის შევიდა მაშინდელ ოპერის გუნდში მომღერლად. ცოტა ხნის შემდეგ მას მიანდეს აგრეთვე მეორე ხარისხოვან პარტიების შესრულებაც. ოპერის თეატრში მუშაობის დროს მან შეადგინა მომღერალთა გუნდი. ეს იყო პირველი „ქართველ მომღერალთა გუნდი"; ამ გუნდით გამართა პირველი ქართული კონცერტი არწრუნისეულის თეატრში 1883 წელს, ამ გუნდით თითქმის ორი წლის განმავლობაში ის მართავდა კონცერტებს.

1889 წ. ის შევიდა პეტროგრადის სახელმწიფო კონსერვატორიაში. აქ ის სწავლობდა ცნობილ რუსი კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის კლასში. 1895 წელს დაბრუნდა საქართველოში შემოიარა სვანეთი, სამეგრელო, გურია, ქართლი და კახეთი, სადაც შეკრიბა და ჩაიწერა ხალხური მელოდიები. შეკრებილ მდიდარ მასალით ისარგებლა და დასწერა ოპერა „თამარ ცბიერი" ერთ მოქმედებად, რომელიც დადგა რუსულ ენაზე პეტერბურგში 1897 წელს 22 დეკემბერს.

რამოდენიმე წლის შემდეგ მან განიზრახა ოპერის გადამუშავება. ოპერა გადაკეთებულ და შევსებულ იქნა ოთხ მოქმედებად, ძველი ერთი მოქმედება ახლა ოპერაში მიდის მესამე მოქმედებად.

ამავე დროს, მან დასწერა ქართული რომანსები, რომელთა შორის დიდ პოპულიარობით სარგებლობდენ რომანსები „შენ გეტრფი მარად", „ნანა შვილო", „ნუ შემიბრალებ", „ოდესაც გიცქერ", „აღმართ აღმართ", „ტყემ მოისხა ფოთოლი". დასწერა აგრეთვე „სერენადა", „სამშობლო ხევსურისა", და „სიმფონიური პოპური" ორკესტრისათვის და სხ.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მ. ბალანჩივაძე დაბრუნდა საქართველოში. ჩამოსვლისთანავე თბილისში არსებულმა ქართ. ფილარმონიულმა საზოგადოებამ ბალანჩივაძეს მიანდო თავისი სამუსიკო სკოლის რეორგანიზაცია-გადახალისება; შემდეგ ეს სკოლა გადაკეთებულ იქნა ქართულ სამუსიკო საზოგადოებად.

მისივე ინიციატივით დაარსდა 1918 წელს მუსიკალური სასწავლებელი ქუთაისში.

ამჟამად ის ასრულებს მუსიკალური კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობას. უკანასკნელ წლებში მისივე უახლოვესი თანამშრომლობით გაიხსნა მუსიკალური სკოლები: თელავში, სიღნაღში, სამტრედიაში.

დღეს, 6 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში პირველად იდგმება მისი ორგინალური ოპერა „თამარ ცბიერი".

ვ. მ—ძ.

საოპერო სტუდიის გამოსვლა

„ჯამბაზები". მეორე შემადგენლობა

საოპერო სტუდიის საჯარო გამოსვლა უეჭველად დიდი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული მუსიკის და საოპერო ხელოვნების წარმატებაში. სტუდია აღარ კმაყოფილდება ლაბორატორიული მუშაობით. თავისი საუკეთესო ძალების დასავარჯიშებლათ და მდიდარ შესაძლებლობათა გამოსარკვევად ის უკვე გამოდის ფართე აუდიტორიის წინაშე. ის თავისი პირველივე გამბედავი ნაბიჯებით უკვე ქმნის ნამდვილ ღირებულებას და საზოგადოებიდანაც მოითხოვს ანგარიშ გასაწევ შეფასებას.

სტუდიის საგანგებოდ ახასიათებს ახალგაზრდული რწმენა, საქმის სიყვარული, უნარიანობა და სიმტკიცე. ეს საკმაო თავდებია იმისა, რომ ქართულ ოპერას აქვს საიმედო მომავალი.

„ჯამბაზები"-ს პირველ და მეორე შემადგენლობაში ჩვენ ვხედავთ არა შეჯიბრებას, არამედ სტუდიის მომწიფებულ ძალების თავისუფალ დემონსტრაციას.

ამ ჯერობაზე კანიას პარტიას ასრულებდა ნიკო ქუმსიაშვილი. ის უკვე ნაცადი მსახიობია. მღერის თავისუფლად. თითქმის მთელ ძალას არც კი ხარჯავს, იმ რწმენით, რომ სულ ერთია, ადვილად დასძლევს თავის პარტიას. რამდენადაც ტკბილია და საამო მისი ხმა დაბალ და საშუალო ფარდებში. იმდენად ფოლადოვანია და ძლიერ მაღალ ფარდებში. ნამდვილი მუსიკალური გამარჯვება მოიპოვა არიაში—„იცინე ჯამბაზო"! ამასთან ქუმსიაშვილმა ეშჩინა თავისი „ფიზიკური სიმძიმის" საკმაო დაძლევა და არტისტული მოქნილობა.

ტონიოში გამოვიდა ელიოზიშვილი. საკმაოდ დავარჯიშებული ბარიტონია, რომელიც თავის შეზნებიზობას და სისრულეს იჩენს უფრო საშუალო ფარდებში. მაღლა აწევის დროს კი ეტყობა გაჭირვება.

ნედდას პარტია შესრულა—ეკსანიშვილმა. მის ხმას ეტყობა საკმაო დამუშავება და მუსიკალობა, მაგრამ მოისუსტებს დიდი აუდიტორიის წინაშე. განსაკუთრებით მკრალი ნიზიერ ფარდებში.

სხვა შემსრულებლები—პირველი შემადგენლობის იყო.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა ნაცადი ხელოვანი ივ. ფალიაშვილი, როგორც ყოველთვის, ეხლაც საუკეთესო იმედი და სულის ჩამდგმელი იყო მთელი ოპერის დინამიური სილამაზისა.

გუნდიც დახვეწილი იყო და საამო ვოკალურათ. მომქრავი იყო და მრავალსახიერი სცენიურათ.

უნდა აღინიშნოს ლიბრეტოს ქართული თარგმანის უვარგისობა. ბევრ ადგილას ისეთი დამძიმებული პროზაა, რომ ყურთა სმენას სჭრის. „ჯამბაზებს" მალხაზი და ფაქიზი მუსიკა მოითხოვს ტექსტის ლამაზ და მოქნილ შეფარდებას.

იმედია შემდეგი ოპერების თარგმანში მაინც მიექცევა ამ მხარეს ჯეროვანი ყურადღება.

„ჯამბაზების" წინ, როგორც პირველად, ისე მეორედ გათამაშებულ იქნა პანტომიმა „მზეთა-მზის" თითო მოქმედება.

„მზეთა-მზე"—ეს უაღრესად მხატვრული ქმნა არის, რომელსაც ჩვენს ხელოვნებაში ჯერ ისტორია არა აქვს. დიდი მუშაობა, უფრო მეტი დაკვირვება და შემოქმედების საზღვარზე მისული უნარიანობაა გაწეული, რომ „მზეთა- მზიდან" მოცემულიყო თავისებური და ლამაზი მხატვრული მოპოვება. ეს თითქმის სისრულით მიღწეულია არის. მაგრამ ჩვენი აუდიტორია, ეტყობა, ჯერ შემზადებული არ არის ხელოვნების ასეთი მახიობისთვის; ის ყოველთვის ისე ცივად უცქერის, თითქოს სცენასა და მის შორის ყინულოვანი ოკეანე იყოს მოქცეული.

ამ პანტომიმაში ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა მახიობთა ნიჭის სრულიად ახალ სახეს, მაგრამ ეს ღირსეულად ვერ შეაფასა აუდიტორიამ.

უტყვი ხელოვნების ისეთი მშვენიერი განმასახიერებელნი, როგორიც წულუკიძე და ლაღიძენი ან საგანგებოთ აღსანიშნავი თაყაიშვილის ქალი, ისე მიდიან ფარდის ჩამოშვების შემდეგ, რომ ერთხელაც არ გამოიძახებენ.

მიუხედავად აუდიტორიის ასეთი გულგრილობისა, ამ საღამოს წულუკიძემ კიდევ უფრო მეტის ხელოვნებით ჩაატარა „მზეთა-მზის" როლი მესამე მოქმედებაში. არც ლაღიძეს უღალატია თავის თავისთვის.

ლელი.

გლაზუნოვის კვარტეტის კონცერტი

4 აპრილს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა გლაზუნოვის კვარტეტის პირველი კონცერტი. გლაზუნოვის კვარტეტის თვითეული მსახიობი არის თავისთავად გამოჩენილი მუსიკალური ერთეული, მაგრამ კვარტეტის მთავარ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებული შესრულება. შთაბეჭდილების სრული ილიუზია, უაღრესად სწორი დინამიკა ჰქმნის მხატვრულ ნიუანსებს, ღრმა მელოდია იპყრობს და იჯადოებს აუდიტორიას. მხოლოდ მსახიობების ბუნებრივ მუსიკალობას და დიდ მუშაობას შეეძლო ასეთი სრულყოფილი შესრულების მოცემა.

პროგრამა შედიოდა ბეთჰოვენის, გლაზუნოვის და შუბერტის კვარტეტი. დამსწრე საზოგადოების ერთსულოვანი მოთხოვნით მსახიობებმა შეასრულეს ჩაიკოვსკის პოეტური კვარტეტი (მეორე ნაწილი) და მენდელსონის კონცონეტა.

ბ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„თამარ ცბიერი".** დღეს სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება მელ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი".

◆ **„დეზერტირკა".** რუსთაველის თეატრში დღეს იდგმება „დეზერტირკა".

◆ **სამხატვრო თეატრის გასტროლები** თბილისში დაიწყება 2 მაისს.

◆ **„ვერის ჩრდილი".** ხუთშაბათს რუსთაველის თეატრში მიდის პრემიერა—„ვერის ჩრდილი".

სასამართლო

ქალების ხაუპატიურებისათვის

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ა. კალანდაძის თავმჯდომარეობით ქ. ჭიათურაში გაარჩია ბიქტორ ლომიძის და გერვასი ეზიაშვილის საქმე.

საქმის შინაარსი ასეთია: 1924 წლის 30 აგვისტოს, მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების დროს, ლომიძე და ეზიაშვილი ადგილობრივ ხელისუფლების დავალებით იდგენ საგუშაგოზე სოფელ ჰალაში (შორაპნის მაზრა). ღამის 11 საათზე ისინი თავის ნებით სტოვებენ საგუშაგოს, თავს ესხმიან იქვე მახლობლად მცხოვრებ აბაშიძის ოჯახს ვითომ იარაღის აღმოჩენის და გაჩხრეკის მიზნით. როცა ქალებს გარდა სახლში არავინ აღმოჩნდა, ეს შეიარაღებული ნაძირალები დაერიენ ქალებს და სიკვდილის მუქარით გააუპატიურეს: პირველმა (ლომიძემ) ორსულად მყოფი ლ. ა-ძე და მეორემ (ეზიაშვილმა) კი მოხუცი ავადმყოფი ა. ა-ძისა.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ზემოთ აღნიშნული ბოროტმოქმედება და თვითეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა წლით სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით. ამას გარდა თვითეულ მათგანს შეეზღუდა უფლება ხუთ-ხუთი წლით.

სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა ბრალდებულებზე არ იქნეს გავრცელებული არც ერთი ამნისტია.

ჭიათურელ ბანდიტების გასამართლება

იმავე სასამართლოს სესიამ ქ. ჭიათურაში გაარჩია ბანდიტების: **ლალიაშვილის, ქვავანაშვილის, კობიძის, წერეთელის, მგალობლიშვილის და ჯინჭველაშვილის** საქმე.

აღნიშნულ პირებს დაუმტკიცდათ თავდასხმა ჭიათურის მაღაროს 45 მუშაზე, რომელნიც თავ-თავის სახლში ბრუნდებოდენ და მათი გაძარცვა.

სასამართლომ პირველ სამ ბრალდებულს მიუსაჯა 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო უკანასკნელ სამს კი ექვს-ექვსი წლით—სასტიკი იზოლიაციით.

ფიზიკური კულტურა

ჩ ვ ე ნ თ ა ნ

ცილობა ცურვაში

ამიერ-კავკას. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა ცურვაში ცილობის პროგრამა. ეს პროგრამა ასეთია: 100 მეტრზე ცურვა—a la brassé-ს ყაიდით; ცურვა 100, 300 და 1000 მეტრზე—თავისუფალ ყაიდით; ჩაყვინთვა 2 მეტრის სიღრმეზე; ჩაყვინთვა სიშორეზე; ცურვა ტანისამოსით და ცურვის დროს მისი გახდა; ცურვა 10 გირ. ტვირთით 30 მეტრის მანძილზე; ხტომა წყალში 2, 4 და 6 მეტრის სიმაღლიდან; წყალწაყვებულის გადარჩენა.

ცილობაზე დაშვებული იქნებიან ვაჟები და ქალები არა უმცირეს 18 წლისა.

ცილობა ჩატარდება ბათომში ან ბაქოში.

ქუთაისში

ქუთაისის მაზრის ფიზკულტურის საბჭო უკვე შეუდგა მზადებას სრულიად საქართველოს პირველი ტანვარჯიშულ შეჯიბრებისათვის. ემზადება სამივე თანრიგი. ჯერჯერობით შეჯიბრზე მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადა დაახლოვებით 400 მოვარჯიშემ.

შეჯიბრის შედეგები

კვირას, 4 აპრილს, თბილისის ქვეითა სკოლის მოედანზე გამართულ შეჯიბრების შედეგი ასეთია:

„კომუნისტი"—„სობზ"-ი—0:3 („კომუნისტი" შეჯიბრზე არ გამოცხადდა, რისთვისაც მას ეწერება 0, მეორე მხარეს კი 3 ერთეული) და „რკინის გზის ბათალიონი"—„მე-21 სამხედრო სკოლა"—2:0.

უცხოეთში

შეჯიბრი ფეხბურთში

მიუხედავათ ზამთრის პერიოდისა, დასავლეთ ევროპის ფეხბურთელები ხშირად მართავენ შეჯიბრებებს, რომლებსაც ფართო ხალხი ესწრება.

ზოგიერთი საერთაშორისო შეჯიბრების შედეგები ასეთია:

უნგრეთ-ბელგია 2:0; ეს შეჯიბრი გაიმართა ბერლინში და მონაწილეობდენ საუკეთესო გუნდები.

ბელგია-ლიუქსემბურგი 1:0; ამ შეჯიბრებაში ბელგიის ჯომარდულ ხაზლს იცავდა მეორე ნაკრები გუნდი.

გერმანია-საფრანგეთი 3:1; ფრანგების მხრივ თამაშობდა პარიზის პირველი ნაკრები გუნდი, ხოლო გერმანიის მხრივ ქალ. კელნის პირველი ნაკრები გუნდი.

ნიურენბერგის გუნდის დამარცხება

გერმანიის ფეხბურთის პირველობაში მრავალჯერ გამარჯვებული ნიურენბერგის ნაკრები გუნდი დამარცხდა მიუნხენის ნაკრებ გუნდთან თამაშში—0:1.

დ ო ლ ი

საგაზაფხულო სეზონის გახსნა

მიმდინარე წლის 18 აპრილს თბილისში, დიდუბის მოედანზე, გაიხსნება დოლის საგაზაფხულო სეზონი.

დოლის სეზონი თბილისში იმართება გაზაფხულზე და შემოდგომაზე, მაგრამ გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს სახელმწიფო ცხენების მომშენებელ ქარხნის ცხენები გაგზავნილი იყო აზერბეიჯანში იქაურ დოლში მონაწილეობის მისაღებად და სეზონი თბილისში არ შემდგარა.

წრევანდელ სეზონში საქართველოს ცხენების გარდა მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკების და აგრეთვე ჩრდილოეთ-კავკასიის ცხენები.

დოლი გაიმართება კვირაობით და გასტანს 6 ივნისამდე.

დოლში მონაწილეობას მიიღებს 40 ცხენი; აქედან საუკეთესო ცხენებია: „გრან სენიორა" (აზერბეიჯანი), „ივანე" და „[illegible]თურელი" (საქართველო), „ზალანიტ", „სოფლიტ", „გრაცია" და „ბურჩუკ" (სომხეთი), „მოსსო" და „შაშარია" (სამხრეთ - ოსეთი), „ზალერინცი" და „მალარინე" (დაღესტანი) და „მაესტრო" და მილანი" (აფხაზეთის სახელმწიფო ქარხნის ცხენები).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მიმდინარე წლის გაზაფხულის სეზონში გამოდის საკუთარი ქარხნის ცხენებით.

დოლი დაიწყება დღის 12 საათზე და გასტანს 3—4 საათამდე.

გასული სეზონის მაგვარად, წელს მოწყობილი იქნება დოლზე დასწრების მსურველების გადაყვანა ავტომობილებით თავისუფლების მოედნიდან დიდუბემდი. კვირაობით დიდუბის ხაზზე გადიდებულ იქნება ტრამვაის ვაგონების რიცხვი.

იურიდიული რჩევა-დარიგება

რემონტის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ შერემეტიევის ქ. № 18. მიქირავს ერთი ოთახი სივრცით 48 კ. არ. ხსენებულ ბინაზე ვცხოვრობ 1922 წლიდან. ბინის დაქირავებისას აკლდა 9 ც. მინა, რომლის ჩადგმაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. აღნიშნულ გარემოებას სახლის პატრონმა არ მიაქცია ყურადღება. მე იძულებული შევიქენი ჩამედგა მინები ჩემი ფულით

გთხოვთ მიპასუხოთ, მაქვს თუ არა უფლება ჩემ მიერ დახარჯული თანხა გამოუქვითო სახლის პატრონს ბინის ქირაში.

ვმსახურობ „რუოს"-ში მუშად (კავშ. წიგ. № 2796)

მუშა ალექსი ბურჭულაძე.

პასუხი

მინის ჩასმა არ შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალურ შეკეთებად და ამიტომ სახლის მფლობელებს მოვალეობას არ შეადგენს.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვარ შრომის ინვალიდი, ვირიცხები ინვალიდების მე-3-ე სარეცხის ჯგუფში (№1461) განვიცდი მძიმე ხრონიკულ ავადმყოფობას. მე ვცხოვრობ მატინოვის ქუჩაზე სახ. № 14-ში, პირველ სართულში ეზო ძალიან ჭუჭყიანი არის და სახლი უსუფთაო ოთახის სივრცე უდრის 25 კვად. არშინს. ვცხოვრობთ სამი სული: ცოლი დედა და მე. გთხოვთ მომცეთ რჩევა დახმარება თუ რამდენი გადაიხადო ოთახის ქირა.

გიორგი ასათიანი.

პასუხი

შრომის და ომის ინვალიდები, რომელთაც არა აქვთ საკუთარი სარსებო წყარო და სოც. უზრუნველყოფაზე კმაყოფაზე იმყოფებიან საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრ. არშინზე იხდიან ერთ კაპეიკს.

ვცხოვრობ ქ. თბილისში, თავისუფლების ქუჩაზე, მიქირავს ერთი ოთახი ზომით 49 კვ. არშ. მე ვარ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრი და ამჟამად უმუშევარი. მყავს ერთი შვილი 3 წლისა, ერთი წლის წინათ მომიკვდა ქმარი, რომელიც მსახურობდა რკ.-გზის დამცველ რაზმში. ჩემი ქმრის სიკვდილის შემდეგ სახლის პატრონმა გ. ღვინიაშვილმა მოითხოვა ბინიდან ჩემი გამოგდება. ამ ნიადაგზე მუდამ მლანძღავს და მაყენებს შეურაცხყოფას. ჩემგან იხოვს ან დაუცალო სახლი, ან თვეში გადაიხადო ათი (10 მან.)

გთხოვთ განმარტებას აქვს თუ არა უფლება გამომაგდოს სახლიდან ან და რამდენი ეკუთვნის ქირა.

მ. ხარატიშვილი.

პასუხი

თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპიკს

მშობლების საზრდოს და საერთო ქონების გაყოფის შესახებ

კითხვა

ვართ სამი ძმა. სამივე შინაურულად გაყრილნი, გვყავს მოხუცებული დედ-მამა, რომელნიც უნდა ერჩინა ერთ უფროს ძმას ზედმეტ ადებულ ვენახში, მაგრამ დღემდე დედ-მამას ვინახავთ სამივე ძმები, რადგან უფროსი ძმა ყურადღებას არ აქცევს.

ამიტომ გთხოვთ გვიპასუხოთ, გვეკუთვნის თუ არა სამივე ძმებს მოხუც მშობლების შენახვა და შესაძლებელია თუ არა საერთო ქონების ხელახლა გაყოფა და რა წესით.

რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მღებავის თანაშემწე დიაკონიძე.

პასუხი

დეკრეტი № 28-ის მუხ. 126-ის თანახმად, შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი გაჭირვებული და შრომის უნარმოკლებული მშობლები, თუ ამ უკანასკნელთ არ ეძლევათ არავითარი სარჩო-საბადებელი სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

რაც შეეხება კომლის გაყრას, თანახმად მიწის კანონთა კოდექ. მუხლი 47-ისა კომლის მიწა და საერთო ქონება განაწილებულ უნდა იქნეს კომლის შემადგენელ ოჯახებსა და წევრთა შორის, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა თანასწორად და ცალკე სარგებლობისათვის. გაიყოფა მხოლოდ ის ქონება, რაც საერთო სარგებლობისათვის. გაიყოფა მხოლოდ ის ქონება, რაც საერთო სარგებლობაშია. შესაძლებელია გასაყოფ ქონებიდან გამორიცხულ იქნეს ამა თუ იმ წევრის მიერ პირადათ შეძენილი ქონება ისინი კი, ვინც გაყრას აპირებენ, წარადგენენ—მიწის და ქონების გაყოფის ადგილობრივ რაიონულ აღმასკომში გაყოფის ფარდის ქაღალდს (იხ. იქავე მუხ. 51—52).

გაყრა, რომელიც რეგისტრაციაში არ არის შეტანილი, კანონიერად არ ჩაითვლება. (იხ. იქავე მუხ. 58).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის განცხადება № 18

8 აპრილი 1926 წ. ქალ. თბილისი.

1) დამატებით თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის ა. წ. 28 თებერვლის № 17 განცხადების მე-3-ე §-სა ცხადდება, რომ მეთაურთა, პოლიტიკურ, სადმინისტრაციო, სამედიცინო და საბეითალო შემადგენლობის პირნი, ნამდვილ სამხედრო სამსახურში არა მყოფნი და აგრეთვე მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის ცვლებში შემადგენლობაში მყოფნი რომლებიც აქამდის არ გამოცხადებულან უფროსთა ხელ-ახალ აღრიცხვაზე რაიმე მიზეზების გამო, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე სადგურის ქ. № 24 დილის 8 საათზე ქვემოდ ნაჩვენებ დღეებში.

მცხოვ. ქ. თბილისის 1 და 2 სამ. რაიონ. 7 აპ.
" " 3, 4, 5, 6, და 7 " " 8 "
" " 8 და 9 " " 9 "
" " 10, 11 და 12 " " 10 "
თბილ. და ბორჩალოს მაზ. 12 "

2) მოქალაქენი მოვალენი არიან აღრიცხვაზე გამოცხადებისას თან იქონიონ საბუთები, რომლებიც ნაჩვენებია ზემო აღნიშნულ № 17 განცხადების მე-2 პუნქტის მე-3-ე §-ში.

3) ყველა აღსარიცხავი პირნი, რომლებიც არ გამოცხადდებიან ზემო ნაჩვენებ ვადაზე, მიეცემიან პასუხის გებაში საქართველოს ს. ს. რ. სისხლის კოდექსის ძალით.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი საყვარელიძე.

თანაშემწე ფანჯავიძე.

სამობილიზაციო ნაწილის უფროსი [illegible] მონ-ერისთავი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 20

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი „დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში სამსახურის შესახებ".

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. თოდრია.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში სამსახურის შესახებ.

საზოგადო დებულებანი

1. დებულება ესე განსაზღვრავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების სამსახურში მიღებისა, დათხოვნისა და სამსახურის გავლის წესს და გავრცელდება საპატიმრო ადგილების ადმინისტრატიულ-სამეურნეო შემადგენლობის პირებზე და საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს პირებზე, სახელდობრ:

ა) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსზე;

ბ) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწეზე;

გ) საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს ინსპექტორზე;

დ) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსზე და მის მოადგილეზე;

ე) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის თანაშემწეზე;

ვ) უფროს ზედამხედველზე;

ზ) მეთაურ ზედამხედველზე;

თ) უმცროს ზედამხედველობაზე.

შენიშვნა: დანარჩენი კატეგორიის მოსამსახურეთა (ამა მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა), უფლება-მოვალეობა და აგრეთვე მათი სამსახურში მიღებისა, დათხოვნისა და სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება შრომის კანონთა კოდექსით და შინა-განრიგების წესებით, რაც გამომუშავებულ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსის 55 მუხლის მიხედვით.

ადმინისტრატიული - სამეურნეო შემადგენლობა განიყოფება:

ა) უმაღლეს მეუფროსეთა;

ბ) მაღალ მეუფროსეთა;

გ) საშუალო მეუფროსეთა შემადგენლობა და

დ) ზედამხედველობა.

უმაღლეს სამეთაურო შემადგენლობას ეკუთვნის: საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე და საპატიმრო ადგილის ინსპექტორი; მაღალი მეუფროსეთა შემადგენლობას ეკუთვნის: ცენტრალური საპატიმრო ადგილების უფროსები, მათი თანაშემწენი და მაზრის საპატიმრო სახლების უფროსები;

შენიშვნა. ცენტრალურ საპატიმრო სახლებს ეკუთვნიან: თბილისში—ცენტრალური გამასწორებელი სახლი, სპეციალური დანიშნულების იზოლიატორი, გარდამავალი შრომა-გასწორების სახლი და სასოფლო-სამეურნეო ახალშენი, ქუთაისში—გამასწორებელი სახლი.

საშუალო მეთაურთა შემადგენლობას ეკუთვნიან თავისუფლების აღკვეთის ადგილების თანაშემწენი.

ზედამხედველობას ეკუთვნიან უფროსი, თავმდები და უმცროსი ზედამხედველი.

2. შინა სამსახურის სფეროში საპატიმრო ადგილი იხელმძღვანელებს:

ა) ამა დებულების და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკანონებს და ბ) მათ განსავითარებლად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ დადგენილებებს და საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემულ ბრძანებებს.

3. ადმინისტრატიული - სამეურნეო შემადგენლობის მომუშავეს პირადი და სამსახურებრივი თვისებებისა და პოლიტიკური მომზადების ხარისხის განსაზღვრა სწარმოებს ატესტაციის მიხედვით, თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელსაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი I.

საპატიმრო ადგილის ადმინისტრატიულ-სამეურნეო შემადგენლობის ზოგადი უფლება-მოვალეობანი

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი საპატიმრო ადგილების მომუშავეებზე, როგორც დაქირავებული შრომის პირებზე, გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსი და მის განსავითარებლად გამოცემული დადგენილებანი შემდეგი გამონაკლისით:

ა) შინა სამსახურისა და დისციპლინის მხრივ ისინი უთანასწორდებიან სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს;

ბ) მათ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი სამუშაოს შესრულება, რაც სიცოცხლისათვის საფრთხეს წარმოადგენს;

გ) საოპერაციო მუშაობის დრო არ შეიძლება [illegible] იქნეს;

დ) [illegible] უარი სთქვან მუშაობაზე [illegible], უქმე დღეს და დასვენების დღეს (შრომის კანონთა კოდექსის 110—112 მუხლი).

შენიშვნა 1. ამა მუხლის „გ" და „დ" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საპატიმრო ადგილის მომუშავეს, შრომის კანონთა კოდექსის 110, 111 და 112 მუხლის თანახმად, შემოღებული საერთო ყოველკვირეული დასვენების დღეებისა და უქმე დღეების ნაცვლად, უნდა მიეცეთ, პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით სხვა დასვენების დღეები, როცა მომუშავე საოპერაციო მუშაობიდან თავისუფალია.

შენიშვნა 2. უკეთუ ადმინისტრაცია უქმე დღეების ნაცვლად არ მისცემს მომუშავეს სათანადო დასასვენებელ დღეებს, მოსამსახურეს უნდა მიეცეს კომპენსაცია ფულად—შრომის კანონთა კოდექსის 60 მუხლის წესამებრ.

5. მობილიზაციის გამოცხადებისას, წითელ არმიაში გასაწვევი საპატიმრო ადგილის სამსახურში მობილიზაციით გაწვეულ პირად და მისი სამხედრო სამსახურში გაწვევა შეიძლება მხოლოდ სპეციალური განმარტების მიხედვით.

6. საპატიმრო ადგილში სამსახურისათვის შესული პირი ვალდებულია იმსახუროს ერთი წლის განმავლობაში, რისთვისაც განცხადების შეტანასთან ერთად, იგი იძლევა სათანადო ხელწერილს. წლიური ვადის გათავებისას, ხელწერილი შეიძლება განახლებულ იქნეს.

7. სამსახურის სავალდებულო ვადის გათავებამდე სამსახურის თვიდანებისათ მიტოვებისათვის საპატიმრო ადგილის ადმინისტრატიულ-სამეურნეო შემადგენლობის პირი მიეცემა პასუხისგებაში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

8. ადმინისტრატიულ-სამეურნეო შემადგენლობის პირს,—როცა ის სამსახურში ირიცხება,—სათანადო დაწესებულების ხარჯით მიეცემა შემოღებული ფორმის ტანსაცმლის კომპლექტი.

9. ხელთ ქონებული სახაზინო იარაღისა, საბრძოლო მასალისა და გაწყობილობის დაკარგვისათვის ან განზრახ წახდენისათვის საპატიმრო ადგილის მომუშავე მიეცემა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 203 მუხლის მიხედვით.

თ ა ვ ი 2

საპატიმრო ადგილის თანამდებობაზე მიწვევა და დანიშვნა

10. ის პირი, რომელსაც სურს საპატიმრო ადგილის ადმინისტრატიული - სამეურნეო სამსახურში მიიღოს,—უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციით მას უნდა ჰქონდეს საბჭოებში არჩევის უფლება;

ბ) იგი 21 წლის მაინც უნდა იყოს;

გ) თავისი ჯანმრთელობით იგი უნდა შეეფერებოდეს საპატიმრო ადგილის სამსახურის წესების ყველა მოთხოვნას და არ უნდა იქნეს შეპყრობილი ისეთი სენით, რაც სამსახურის ასრულებას ხელს შეუშლის,—თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა, რომელსაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა 1. საპატიმრო ადგილის სამსახურში არ მიიღება სამართალში მიცემული მყოფი პირი და აგრეთვე ისეთი პირი, ვინც დანაშაულის ჩადენის გამო უფლება-აყრილია (სისხლის სამართლის კოდექსის 45 მუხლით).

შენიშვნა 2. საპატიმრო ადგილის ადმინისტრატიული - სამეურნეო სამსახურში ამა თუ იმ პირის მიღების დროს, როცა დანარჩენი პირობები თანაბარია, უპირატესობა მიეცემა იმას, ვინც სამხედრო სამსახურში ყოფილა.

11. ის პირი, რომელიც მე-10 მუხლის მოთხოვნებს შეეფერება, მიღებულ იქნება ამ ნამდებების ასასრულებლად გამოცდის ვადის განმავლობაში, რომელიც ერთ თვეს უდრის, ამ ვადის გასვლისას იგი ან დამტკიცებულ უნდა იქნეს თანამდებობაზე, ან მან უარი უნდა ეთქვას.

12. თანამდებობაზე დანიშვნა მოხდება შემდეგი წესით:

ა) საპატიმრო ადგილის უმფროსი და მისი თანაშემწე დაინიშნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების განყოფილებისადმი გაცემული ბრძანებით.

ბ) ზედამხედველი დაინიშნება საპატიმრო ადგილის უფროსის მიერ.

(დასასრული იქნება)

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პროპაგანდისტთა კურსების ქართული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა გამგეობის და სარევიზიო კომისიების კომუნისტ წევრებს გამოცხადდენ კრებაზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში დღეს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგში დასმულია საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა საქალაქო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები.

დასწრება სავალდებულოა პარტდისციპლინის ძალით.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება ამხ. კიმ (ამბროსი) ქრისტიფორესძე რამიშვილს სთხოვს გამოცხადდეს ამხ. ჩარკვიანთან.

1-ლი ქართულ მსროლელ ლეგ. სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: დევიძე ანდრო ნიკოლოზისძე, ახკომკავშირის წევრი 1925 წ. და ნებიერიძე ალექსანდრე იორდანესძე, ახ. კომ. წევრი 1925 წ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ხსენებულ ამხანაგების მიმართ პარტიაში მიღების შესახებ—უნდა აცნობონ ზემოაღნიშნულ კომუჯრედს 15 დღის განმავლობაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის გაფართოებული პლენუმი, უჯრედთა ბიუროების წევრების მონაწილეობით. დღის წესრიგი: 1) ქალაქის რაიკომის პრეზიდიუმის ანგარიში.

2) უჯრედთა ბიუროების არჩევნების შესახებ.

3) კომპარტიის წევრების და კანდიდატების დამტკიცება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 6 აპრილს, საღამოს 5 საათზე, (რაიკომის ბინაზე) შესდგება ქალაქის რაიონის ქალთა ორგანიზატორების მორიგი თათბირი. დღის წესრიგი: 1) უჯრედების ქალთა ორგანიზატორების მეცადინეობის დღის დანიშვნა, 2) მეცადინეობა პროგრამის მიხედვით (პირველი საუბარი—„ლენინიზმი მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განთავისუფლების საკითხში), 3) მიმდინარე საქმეები.

უჯრედების ყველა ქალთა ორგანიზატორები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

ქ. ქუთაისში, 1926 წელს, 2 აპრილს, საღამოს 10 საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბესარიონ (ბეკო) ნიკოლოზის ძე
მ დ ი ვ ა ნ ი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მეუღლე მისი დესპინე ნიკოლოზის ასული, შვილები: დავითი, ალექსანდრე, ელენე, ნინო, ვლადიმერი, სიმონი; რძლები: ნადეჟდა, შარლოტა, მამიკა, ეკატერინე: შვილისშვილები: ქეთევანი, თამარი, ბესარიონი, გიორგი, ივანე, რობერტი, ირაკლი, ვახტანგი, ავთანდილი და ნოდარი. გამოსვენება სამშაბათს, 6 აპრილს, საკუთარ სახლიდან ნინოშვილის ქუჩა—ნაშუადღევის სამ ნახევარ საათზე და დაკრძალვა სოფ. ვაკისუბანში.
2064   2—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ლევან და გულდათუთქული დედა ფელოდოსი, დედამთილი ლისა, მული მარუსია, ძმები ნიკოლოზი, შალვა გრიგოლ და ვალიკო, და ქეთო, ბიძა გიორგი, ბიცოლა ნინა კალანდაძე შვილებით, დეიდები ელვასი, ჯულიეტა შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ა-წ. 3 აპრილს ქობულეთის სანატორიუმში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

თამარი მენაბდე—დუმბაძისა

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 6 აპრილს, 3 საათზე. ქ. ოზურგეთში თბილისის ქ. № 18 საკუთარი ბინიდან.
2068   1—1

25.387 კაცმა ინახულა
პირველი ექვსი დღის განმავლობაში

აპოლო
[illegible]
სოლეი

სურათი
„ნათელა“
ჩვენება გრძელდება
მეორე კვირაში

ამ დღეებში „არფასტო“-ში და „სოლეი“-ში: **„დათვური ქორწილი“**
„აპოლო-“ში და „პალას-„ში: საბჭ. კინემატოგრაფიის სიამაყე—**„ჯავშნოსანი პოტიომკინი“**
ნ. 972 0—5

ა.-კ. ფინანსთა სახალ. კომისარიატისაგან

დონის-როსტოვში 1926 წლის 1 აპრილიდან დაიწყება 1925 წ.

მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის

მოგებათა მე-2 ტირაჟი

მოგებათა მეორე ტირაჟში მონაწილეობას იღებს ხმარებაში გამოშვებული **სესხის შვიდი სერია** (№ 1-დან დაწყებული გათავებული № 7-თ). საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს (1925 წ. 2 ოქტომბ.) დადგენილების მე-7-ე მუხლის თანახმად მეორე საგლეხო სესხის გამოშვების შესახებ, მეორე ტირაჟში გათამაშებული იქნება:

22,967 მოგება 375,000 მანეთის რაოდენობით,
მათ შორის:

7	მოგება თვითეული	5000 მანეთიანი,	350	მოგება თვითეული	100 მანეთიანი
35	„	„ 1000 „	4900	„	„ 50 „
175	„	„ 500 „	17500	„	„ 25 „

მოგებათა გასტუმრება დაიწყება ფინორგანოების სალაროებში, სახელმწიფო ბანკის ყველა დაწესებულებებში, შემნახველ სალაროებში და საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებებში „საბჭოთა კავშირის და სრულიად რუსეთის ცაკების უწყებების“ („იზვესტია“-ს) და ჩრდილოეთ-კავკასიის მხარის გაზეთის „სოვეტსკი იუგ“-ის იმ ნომრების გამოსვლიდან ან ადგილებზე მიღებიდან სამი დღის გასვლის შემდეგ, რომლებშიაც მოთავსებული იქნება მოგებათა ოფიციალური ცხრილები.
ნ. 1008 1—1

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების

გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აუწყებს აქციონერებს, რომ აქციონერთა

მეხუთე ჩვეულებრივი საზოგადო კ რ ე ბ ა

დანიშნულია ქ. ჭიათურაში
1926 წ. 27 აპრილის დღის 12 საათისათვის
შემდეგი კითხვების განსახილველად

1. მოხსენება გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.
2. 1925 საოპერაციო წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
3. მომავალი მუშაობის გეგმის განხილვა.
4. 1926 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. მიმდინარე საკითხები.
6. თანამდებობის პირთა არჩევანი.

ნ. 1009 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ნიკოლოზ, ძმები, კირილე, სამსონ, რემანოზ და გიორგი, რძალი ბარბალე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 7 აპრილს, დღის 12 საათზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

სერგო ნიკოლოზის ძე ურუშაძის

სულის მოსახსენებლათ. გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე ქ. ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესიაში.
2069   1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვერა სიმონის ასული, შვილი გივი და მამა სიმონ ბექანის ძე, უცხადებენ მადლობას ყველას, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშებით და წერილებით გამოსთქვა თავისი მწუხარება-თანაგრძნობა

გიორგი სიმონის ძე სვანიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.
2072   1—1

თავზარდაცემული და გულმოკლული მეუღლე ვუკოლ დავითის ძე იაშვილი, შვილები: დავით, შალვა და ლალა და მამა ივანე მერაბის ძე პაჭკაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 3 აპრილს, საღამოს 10 საათზე, ქ. ხონში. გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნადია პაჭკაძის ასული იაშვილისა

რომლის დასაფლავება მოხთება ქ. ხონში.
2074   1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე თამარა დავითის ასული, შვილები: მურმანი და კოწია მამა გიგო, ძმები: ლექსო, ლადო და შაქრო და სალომე, რძლები: ოლა და ანიჩკა, ძმის წულები: ვასო გოგი და აკაკი შუბითიძეები, და სონა, სიძე ესტატე, დისწულები თამარა და გრიშა, სიმამრი დავით, სიდედრი მარიამი, ცოლის ძმები კონსტანტინე და იოსებ, და ცოლის და ქეთევანი ჯაბადრები აუწყებენნაცნობთ და ნათესავთ, რომ მათთვის დაუვიწყარი ძვირფასი

კონსტანტინე შუბითიძის

გარდაცვალების წლის თავზე წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფ. საღოლაშენში 7 აპრილს.
2073   1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ანასტასია და ალექსანდრე კობიძეები; მეუღლე ვენერა ჯაყელის ასული, შვილი პატარა ეთერიკო, ძმები ლადო, ილიკო და მირიან, დები ბაბო, გოგოლა ციცინო და რუშა, სიძე ვალიკო კეკელიძე, სიდედრი როზა, სიმამრი ბარნაბ, ცოლისდა ელენე და ცოლისძმები დათიკო და ზურაბ ჯაყელები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს

არჩიფო ალექსანდრეს ძე კობიძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 8 აპრილს, ს. ერკეთში (გურია).
2078   2—1

ძმა ლადო და ბიძაშვილი იაშა (იაკობ) კობიძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარი ძმის და ბიძაშვილის

არჩიფო ალექსანდრეს ძე კობიძის

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 8 აპრილს, სოფელ ერკეთში (გურია).
2077 1—1

რუსთაველის თეატრი

პრემიერა
ფულდის კომედია
„ვირის ჩრდილი“
დადგმა აკ. ფალავასი
საოპერო სტუდიის ორკესტრი
ახალი დეკორაციები მხატვარ ირ. გამრეკელისა
1—1 ნ. 1010

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 6 აპრილს, და
ხუთშაბათს, 8 აპრილს,
ზ. ფალიაშვილის ორიგინალური ოპერა
„თამარ ცბიერი“
დადგმა ალ. წუწუნავასი
დირიჟორი დამს. მს. სტოლერმანი
1—1 ნ. 1011

მოსკოვის მე-2 სამხატვრო აკადემიურ თეატრის მსახიობებისათვის,
რომელნიც ამ ცოტა ხანში თბილისში ჩამოვლენ

საჭიროა 30 ოთახი

იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ქირის გადახდევინებით ქალაქის ცენტრში დაუთმონ მათ ოთახები ა | წ. 29 აპრილიდან—18 მაისამდე, ე. ი. 20 დღით, ვსთხოვთ ამ ოთახების მისამართები დასტოვონ სახელმწიფო ოპერის კასაში მოსკოვის მე-2 სამხატვრო აკადემიურ თეატრის „МХАТА 2-го“ რწმუნებულის სახელზე.
1—1 2081

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური დამთვლელი მანქანა

დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამეცნიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კონტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის ადვილად მისაწვდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ საჭიროდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფათ. საუცხოვო სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გ მოიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპიკის მიღებისთანავე. 3 მა ნეთამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით. ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.

გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნეს 15 კაპიკი.

შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 6. ბინა 8. ავტორს ა. ი. ცუ ფერშტეინს.
ნ. 896 8—7

ქალ. ზესტაფონი
26 თებერვლის ქუჩა № 58

დაარსდა
სავაჭრო საწარმოო ამხანაგობა
„გლეხთა დახმარება“

რომელიც აწარმოებს ყოველგვარ სავაჭრო საწარმოო ოპერაციას. ამხანაგობა გატარებულია რეგისტრაციაში ქალ ზესტაფონის სახალხო ნოტარიუსთან რეესტრის № 28 ქვეშ, და შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში

1926 წლის 20 მარტის თარიღით № 5182

ამხანაგობა „გლეხთა დახმარება“.

7—4 ნ. 961

ხამშაბათს, ა-წ. 20 აპრილს დღის 12 საათზე
ქ. თბილისში, კურორტთა მთავარ სამმართ.
შენობაში, ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქ. № 30.

დანიშნულია

შ ე რ ე უ ლ ი
საჯარო შეჯიბრება

შენობათა და მოწყობილობათა იჯარით გასაცემად:

ბ ო რ ჯ ო მ შ ი

1. რესტორანი „მინერალური წყლები“ სასტუმროსთან.
2. კურზალის ბუფეტი (რძის და ტკბილეულობის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით)
3. საბილიარდო კურზალში
4. მზის აბაზანებთან ბუფეტი (ლუდის, რძის და ტკბილეულობის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით)
5. კიოსკი პარკში
6. სასწორი ექიმის—პარკში
7. ლოტოს სათამაშო ფარდული პარკში.

წ ა ღ ვ ე რ შ ი

1. რესტორანი „სინათლე“
2. კიოსკი მინერალურ წყლებთან
3. კიოსკი პარკში
4. ფოტოგრაფის სასწრაფო სურათების გადაღების მონოპოლიური უფლება რესტორანის ეზოში
5. სასწორი საექიმო პარკში

ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი

1. პირველ ტევრში ბუფეტი
2. მეორე ტევრში ბუფეტი
3. სასწრაფო ფოტოგრაფის უფლება ტევრში და სხვა ადგილებში გარდა არაზინდოსი
4. სასწორი საექიმო
5. სასტუმროსთან როტონდის ბუფეტი—სამზარეულოთი

წ ყ ა ლ ტ უ ბ ო

1. რესტორანი
2. ბუფეტი პარკში ტკბილეულობის და რძის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით
3. ფურნე
4. ფოტოგრაფიის უფლება პარკში (მონოპოლია)
5. საპარიკმახერო

ა ხ ტ ა ლ ა

1. საპარიკმახერო
2. ფოტოგრაფიის უფლება

ბ ა ხ მ ა რ ო

1. რესტორანი დიდი
2. კეკელბან
3. ფურნე
4. საწვრიმალო დუქნები დიდი და პატარა
5. საყასბო

შეჯიბრება მოხდება 30 აპრილს, ქ. ოზურგეთში ჯანმრთელობის განყოფილების ბინაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი იჯარით გაიცემა, როგორც მთლიანად, ისე ცალკე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველნი ვალდებულნი არიან შემოტანილ განცხადებაში თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ შენობის ან მოწყობილობისათვის შემოძლეული თანხა ცელ-ცალკე აღნიშნონ. განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს სათანადო საღერბო მარკები და ქვითარი ხაზინისა ან კურორტთა მთავარ სამმართველოს სალაროში შემოძლეულ თანხის 10 პროც. გირაოს შეტანისა. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე საჯარო შეჯიბრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში 23 აპრილს მოხდება განმეორებითი სიტყვიერი შეჯიბრება (პერეტორჟკა), რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვს როგორც წერილობითი განცხადების წარმომდგენელს, ისე სხვა პირებსაც, რომელთათვისაც სავალდებულოა 10 პროც. გირაოს წარდგენა.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოში: ქ. თბილისი, ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქ. № 30, სამეურნეო-საექსპლოატაციო ნაწილში, ოთახი № 22 ყოველ დღე, გარდა უქმეებისა დღის, 10—2 საათამდე.

ნ. 993 2—2

ქ. ფოთის მ. გ. მილიციის თანამშრომელი და სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეობის აღმასრულებელი პ. კობალაძე

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილს დილის 10 საათზე ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა სოლომონ ხაიმის ძე ბურშტეინის ქონების დასაკმაყოფილებლად 1. თბილისის კომუნალური ბანკის ფოთის განყოფილების 4612 მან. 25 კაპ. რასაც დაერიცხება საბანკო პროცენტები და 2. ლუკა ჩიკვილაძის 630 მან. 31 კაპ. ხსენებული ქონება მდებარეობს ქალ. ფოთში 1 რაიონში მეხუთე კვარტალზე № 59 არჩილ ჯორჯაძის ქუჩაზე ერთ-ერთი სართულიანი ხის სახლი ოთხი განყოფილებით, აივანით, დახურული კრამიტით, ერთი ხის სამზარეულოთი ორი განყოფილებით დახურული თუნუქით რომელიც შეფასებულია 400 მან., საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინონ გირაოს შეფასებით თანხის 10 პროცენტი წინდაწინ. საფუძველი ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს ბრძანებები №№ 375, 559 და 560 ყოველივე ამა საგანზე ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე გარდა უქმი დღისა 9—3 საათამდე ფოთის მ. გ. მილიციის სამმართველოში.

1—1 № 2054

ქ. თბ. მე-8 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 8 აპრილს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 2 გოსპიტალის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლიზარიტ მელიქ-სარქისოვას უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს რომელშიაც არის 10 ოთახი, მიწა ვარაუდით 100 კ. საჟ. შეფასებულს 2000 მანეთად, კოოპერატივის „კანკორდია“ ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 19 დეკემბერს, 1925 წ. თარიღით, № 4159 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მამულის მყიდველი ვალდებულია წარმომიდგინოს უმფროს ნოტარიუსიდან მოწმობა მის შესახებ, რომ არც თითონ, არც შვილებს არ აქვს უძრავი ქონება.
2082   1—1

ბათომის რაიონული საბაჟო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილს ინიშნავს

ქ. ფოთში საჯარო ვაჭრობას

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გასაცემად ფოთის საბაჟოსთან

1. საჯარო ვაჭრობა დახურულია და პირობების წარდგენა შეიძლება მხოლოდ დახურულ კონვერტებში.

2. შეჯიბრება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ნიხრზე და მხოლოდ პროცენტული ანარიცხის საშუალებით მთელ ნიხრზე და არა მის ცალკე ნაწილებზე.

3. ხელშეკრულების ტექსტი არ არის შეჯიბრების საგანი და სავალდებულოა მთლიანად საჯარო ვაჭრობის ყველა მონაწილეთათვის.

4. იმ სახელმწიფო დაწესებულებებმა, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოებს აიღებენ, უნდა შეიტანონ საწინდარი—300 სამასი) მანეთი და ყოველთვიურად მთელი შემოსავლიდან 10 პროც. გადარიცხვით აიყვანონ იგი 2.000 მანეთამდე, კერძო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა კი 1.000 მანეთი—და უნდა აიყვანონ იგი 7.000 მანეთამდე.

5. საწინდარის შეტანა სავალდებულოა არა მარტო კერძო და კოოპერატიულ წარმოებათათვის, არამედ სახელმწიფო ორგანოებისათვისაც.

6. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე შრომის სახ. კომისარიატის განსაკუთრებულ დადგენილებათა თანახმად შედგენილ კოლექტივებს და არტელებს და აგრეთვე კერძო ორგანიზაციებს.

7. იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც აიღეს იჯარით საარტელო სამუშაოები, არ აქვთ უფლება შეასრულონ საექსპედიტორო ვალდებულებანი საბაჟოსთან.

8. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა აღნიშნულ საბაჟოს დეპოზიტში უნდა შეიტანონ მე-4 მუხლში აღნიშნულ პირვანდელ საწინდრის 10 პროც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საარტელო სამუშაოების აღების შემდეგ საწინდარი გადაირიცხება მე-4 მუხლში აღნიშნულ საერთო საწინდარში, ხოლო იმათ, ვინც სამუშაოებს არ აიღებს, საწინდარი დაუყოვნებლივ უბრუნდებათ უკან.

9. ხელშეკრულების, ნიხრის, ვაჭრობის პირობების გაცნობა შეიძლება ფოთის საბაჟოში საბაჟოს მმართველთან.

10. ვაჭრობის შედეგებს ამტკიცებს საბჭოთა კავშირის მთავარ საბაჟო სამმართველოს საბაჟო-სატარიფო კომიტეტი, რის შემდეგაც კონტრაგენტი იწყებს მუშაობის შესრულებას.

11. დახურულ კონვერტების შეტანა ფოთის საბაჟოში შეიძლება ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ა | წ. 10 აპრილის დღის 12 საათამდე.

3—2 ნ. 1002   **ბათომის რაიონული საბაჟო**

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც [illegible] მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

ექ. ე. გ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მ ი ს ა მ ა რ თ ი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).   25—13

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ უკან.   25—18

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.   25—25

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.   25—8

ექიმი ნ. ტურიაშვილი

სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

პროფ. გრ. მუხაძე

ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მ ი ს ა მ ა რ თ ი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასამართლოს ქ. № 12. ტელეფონი 22—59.   12—9

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).   25—25

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ლისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 8—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ექ. ვასილი ნიკიფორესძე ჩუპრინინი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87.   25—11

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—11

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

იხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნები, ბუასილის, სქესობრი ი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.   25—17.

ე ქ ი მ ი
ნ. გ. ახვერდოვი.

ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი).   25—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 249, და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ერემია პავლეს ძე კობახიძის სახელზე, ჩ. გ.   2067 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 715 მიხეილ ეგაძეს სახელზე, ჩ. გ.   2070 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1819 ივანე ზიბროვის სახელზე, ჩ. გ.   2066 1—1

დავკარგე სიმწიფის მოწმობა № 5, გაცემული ქიათურის ცხრაწლედიდან. ფილიმონ ბესარიონის-ძე პეტრიაშვილის სახელზე, ჩ. გ.
2071 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 428, სილარიბის მოწმობა № 542 და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა გრიგოლ იოსებისძე ებანოიძის სახელზე, ჩ. გ.   2079 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ბარათი კონსტანტინე ლუკასძე მიქელაძის სახელზე, ჩ. გ.   2030 1—1

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 13326 მარია თედიაშვილის სახელზე. ჩ. გ.   2075 1—1

დავკარგე მოწმობა მოც. თბილისის სემინარიიდან. პირ. მოწ. მეორე უბ. სამილ. სამმარ. სამხედრო აღრიცხვის მოწ. მოწმობა ბათომის საესპ. კანტორის ალექსანდრე ტერენტისძე ხელიძის სახელზე, ჩ. გ.   2073 1—1

საზოგადოება „ჩემო“-ს საბოლოო ბალანსი

ა ქ ტ ი ვ ი.   **1925 წლის 1 სექტემბრისათვის.**   **პ ა ს ი ვ ი.**

	გირ. სტერ.	გირ. სტერ.
1. ფულადი საშუალებები		
1) კასა	544. 8/5	
2) უცხოეთის ვალიუტა	2.537. 8/7	
3) მიმდინარე ანგარიშები	130.224.14/7	133.306.11/7
2. ფასიანი ქაღალდები		
4) აქციები, ობლიგაციები და სხვ.		478.19/1
3. თამასუქები		
5) თამასუქები უზრუნველსაყოფად		598. 6/10
4. მატერიალური ღირებულებანი		
6) მასალები		1.693. 7/4,5
5. ქ ო ნ ე ბ ა		
7) მოძრავი ქონება (ინვენტარი)	10.599.19/2,5	
8) უძრავი ქონება (შენობები და ნაშენობანი)	32.909. 8/1	43.509. 7/3,5
6. დებიტორები		
9) აგენტები უცხოეთში	101.749.14/11	
10) სხვადასხვა პირები და დაწესებ.	56.957. 1/8	
11) საანგარიშო თანხები	1.532.14/6	
12. გარდამავალი თანხები	1.492. 3/4	161.731.14/5
7.		
13) ექსპორტი		26.422.18/9
ბალანსი		367.741. 5/4

	გირ. სტ.	გირ. სტერ.
1.		
1) საბრუნავი კაპიტალი მტვირთავებიდან		12.500.0/0
2.		
2) უზრუნველყოფა		51.258.2/1,5
3. კრედიტორები		
3) მთავრობა	26 866.14/4	
4) აგენტები საზღვარგარეთ	3.595. 8/2	
5) სხვადასხვა პირები და დაწესებ.	79.291.17/10	
6) მტვირთავები	138.9-8. 4/4,5	
7) 20 % დაჭერა მტვირთავებისგან	6.039.19/4	
8) ანარიცხი მტვირთავებიდან	32.471. 8/10	
9) გარდამავალი თანხები	16.589.10/4	303.843.3/2,5
4.		
10) გადაგზავნა		140.0/0
ბალანსი		367,741,5/4

საზ-ბა „ჩემო“-ს საქმეთა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე: გ. ვაშაძე.
მთავარი ბუღალტერი: ა. დანელია.
ნ. 1004 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68   ტირაჟი—25.543